საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

ლელო

№213 (12 283)

10 სექტემბერი ორშაბათი 2007
გამოდის 1934 წლიდან

ფასი 50 თეთრი



სამზადისი აზერბაიჯანისთვის

***კლაუს ტოპმიოლერი***

# ყენია ნაკრების კაცია, ტატანაშვილმა ორთაბრძოლებზე უნდა იმუშაოს

## ასათიანი მაინც დაცვაში. მინუს მენთეშაშვილი, რევიშვილი საეჭვოა

საქართველოს ნაკრები აზერბაიჯანთან ამხანაგური შეხვედრისთვის სამზადისს გუშინვე შეუდგა. **კლაუს ტოპმიოლერმა** გუნდი სავარჯიშოდ 18 საათზე შეკრიბა. წვრთნამ საათნახევარს გასტანა. **კახა კალაძე, ლევან კობიაშვილი, გიორგი დემეტრაძე** და **ალექსანდრე იაშვილი** უკვე დაუბრუნდნენ თავიანთ კლუბებს, **გიორგი შაშიაშვილი** და **დავით სირაძე** კი თბილისიდან დღეს გამთენიისას გაემგზავრნენ.

ასე რომ, სააზერბაიჯანოდ მწვრთნელთა განკარგულებაში ეს ფეხბურთელები იქნებიან: **გიორგი ლომაია, გიორგი მაკარიძე, ლაშა სალუქვაძე, ილია კანდელაკი, მალხაზ ასათიანი, ლევან ცქიტიშვილი, ლაშა ჯაკობია, ოთარ ხიზანეიშვილი, ოთარ მარცვალაძე, ლექსო კვახაძე, დავით ბოლქვაძე, გიორგი დეკანოსიძე, გრიგოლ დოლიძე, დავით ლომაია, ჯაბა კანკავა, ლევან ყენია** და **დიმიტრი ტატანაშვილი.**

**მალხაზ ასათიანი** გუშინ დაასვენეს. **ნუკრი რევიშვილს** ძველმა ტრავმამ შეახსენა თავი და როგორც ტოპმიოლერმა გვითხრა, ექიმები ხვალ იტყვიან, დარჩება თუ არა გუნდთან ერთად. **ზურაბ მენთეშაშვილს** კი ტვინის შერყევა აქვს და ნაკრებს ნამდვილად ვერ დაეხმარება.

**ცქიტიშვილმა, სალუქვაძემ, ჯაკობიამ** და **მარცვალაძემ** ინდივიდუალურად ივარჯიშეს. კარში დარტყმებისას მეკარე **მაკარიძემ** იდაყვი იტკინა და წვრთნას შუა ნაწილიდან გამოეთიშა. თუმცა საგანგაშო არაფერია. ვარჯიშის ბოლოს "ორკარა" გაჩაღდა, რომელშიც მწვრთნელებმა, **ბესიკ ფრიდონაშვილმა** და **მამუკა აბუსერიძემაც** მიიღეს მონაწილეობა. შემადგენლობა ორ ნაწილად, პირობითად "ლურჯებად" და "ყვითლებად" დაიყო.

ლურჯები: **გ. ლომაია, კვახაძე, ბოლქვაძე, დეკანოსიძე, დოლიძე, სირაძე, დ. ლომაია.**

ყვითლები: **აბუსერიძე, კანდელაკი, შაშიაშვილი, კანკავა, ყენია, ტატანაშვილი, ფრიდონაშვილი.**

ორმხრივი თამაშში ფეხბურთელები ენერგიულად ირჯებოდნენ. ნაკრების სტაჟიან წევრებთან ერთად, თავს არც ახალი მოთამაშეები ზოგავდნენ.

***წვრთნის დამთავრების შემდეგ, კლაუს ტოპმიოლერს რამდენიმე კითხვით მივმართეთ.***

4

LIVE
სპორტული საინფორმაციო ცენტრი
272-272
ინფორმაცია მიმდინარე და დასრულებული შეხვედრების შესახებ
LIVE

# არაფერი ახალი, შეცდომები ძველი

დავით თავართქილაძე

**კლაუს ტოპმიოლერის** განვრთნილმა საქართველომ ჯგუფში პირველი არაფარეული ქულა მოიპოვა. დავით სირაძის გოლმა ტოპმიოლერის, როგორც სანაკრებო მწვრთნელის, რეპუტაციას არსებობის შანსი მისცა, ხოლო უკრაინას ძალიან გაურთულა ჯგუფიდან გასვლა...

ეს სირაძის მესამე გოლი გახლდათ ეროვნულ ნაკრებში. აქედან, ორი მან ამ შესარჩევში გაიტანა, ერთიც შარშან, თურქეთთან ამხანაგურ შეხვედრაში...

16 წლის ლევან ყენია კი ყველაზე ახალგაზრდა ფეხბურთელი შეიქნა, ვისაც საქართველოს ეროვნულ ნაკრებში უთამაშია. მან ერთხელაც დაამტკიცა, რომ ძალიან კარგი მონაცემების ჭაბუკია...

2



# თბილისში მოგებას ნურავინ დაგეგმავს

ინტერვიუ კახა კალაძესთან

4



# ვალი მაქვს თქვენი?

ოლეგ ბლოხინის ისტერიული პრესკონფერენცია

3

# საქართველო 1:1 უკრაინა



ნუგზარ სუარიძის ფოტოები

გახსენი... ყაზბეგი
www.kazbegi.com
ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი
www.pfl.ge
ეროვნული ბიბლიოთეკა

**საქართველო-უკრაინა**

**1:1**

08.09. თბილისი. ეროვნული
25 000 მაყურებელი

0:1 შელაევი (8. ნაზარენკოს პასით), 1:1 სირაძე (88. დემეტრაძის პასით)

*საქართველო:* ლომაია - ღვინიანიძე, კალაძე, ასათიანი, სალუქვაძე - ცქიტიშვილი, მენთეშაშვილი (79. ტატანაშვილი) - მარცვალაძე, ჯაკობია (62. სირაძე) - დემეტრაძე, იაშვილი (62. ყენია).

*სათადარიგოები:* რევიშვილი, ხიზანეიშვილი, კანდელაკი, შაშიაშვილი.

*უკრაინა:* შოვკოვსკი - გუსევი, იეზერსკი, რუსოლი, კუჩერი - ტიმოშჩუკი, როტანი (80. გაი), ნაზარენკო, შელაევი (90. გლადკი) - შევჩენკო, ვორონინი (72. კალინიჩენკო).

*სათადარიგოები:* პიატოვი, ჩიგრინსკი, კრავჩენკო, გრიცაი.

*გაფრთხილება:* იაშვილი (51), ცქიტიშვილი (64), როტანი (68), ღვინიანიძე (90)

*არბიტრი:* ალან ჰამერი (ლუქსემბურგი)

**7** - 0:1 ნაზარენკოს კუთხურის შემდეგ შელაევი ჩვენს საჯარიმოში უმეთვალყურეოდ დატოვეს და მასაც არ გასჭირვებია გატანა.

**23** - მარცვალაძე აქტიურობს მარცხენა ფრთაზე, გზად ორი მეტოქე ჩამოიტოვა, მაგრამ საბოლოო დარტყმა არ გამოუვიდა ძლიერი და შოვკოვსკიმ ადვილად მოიგერია.

**30** - ლომაია ნაზარენკოს შორეული დარტყმას კუთხურზე იგერიებს.

**45** - იაშვილის გამჭოლი გადაცემა მარცხენა ფრთიდან, ჯაკობია ცდილობს ბურთის კარში გადაგზავნას, მაგრამ მცირედით ააცილა.

**46** - ასათიანს ჩინებული გადაცემით მენთეშაშვილი გაჰყავს მეკარესთან პირისპირ, მაგრამ ნახევარმცველმა მაიც და მაინც შოვკოვსკის გაარტყა ბურთი.

**70** - ვორონინისა და შევჩენკოს მიერ გათამაშებული კომბინაცია ამ უკანასკნელის დარტყმულით დასრულდა, მაგრამ ლომაიამ "ცხრიანიდან" მოხსნა ბურთი.

**82** - ნაზარენკოს ლომაიასთან პირისპირ გაჰყავს კალინიჩენკო, მაგრამ ფორვარდმა კარს ააცილა.

**84** - ამჯერად უკვე ნაზარენკო ცდილობს გატანას, მაგრამ ისევ ლომაიამ იმარჯვა, შევჩენკოს კი მცველებმა არ დაამატებინეს.

**88** - 1:1 დემეტრაძის კუთხური და სირაძე თავური დარტყმით ათანაბრებს ანგარიშს.

ევრო 2008. საკვალიფიკაციო მატჩი. B ჯგუფი

# მაქსიმუმი, ძველი შეცდომები და კვლავ არანაირი სიახლე

## თავი მაქვსო, სირაძემ უნდა თქვას. ტოპის თავი კი დიდად არც უკრაინასთან გამოჩნდა: მხოლოდ საგოლე შეცვლა

*პირველი გვერდიდან*

ამ მატჩზე სალაპარაკო კიდევ ბევრია, თუმც შევეცდებით ისეთი კომპაქტურები ვიყოთ, როგორც უკრაინის ნაკრები იყო და ისიც მხოლოდ ეპიზოდებში. **ოლეგ ბლოხინის** გუნდმა თავი დიდად ვერც ბურთის კოლექტიურ ართმევაში გამოიჩინა და საერთოდაც, ვერ გაისარჯა შთამბეჭდავად, ვერც მისი პირველკაცი **ანდრეი შევჩენკო** ჰგავდა სუპერვარსკვლავს. ბლოხინს, პრესკონფერენციაზე ლამის შიზოფრენიული შეტევა რომ მოუვიდა, საამისო საბაბი ნაღდად ჰქონდა: მისმა გუნდმა ცუდად ითამაშა...

საქართველოს ნაკრებს პირველად არ დაუშვია ისეთი შეცდომა, როგორიც გაშვებული გოლისას მოუვიდა. გავიხსენოთ ამ შესარჩევში პირველი მატჩი სწორედ უკრაინასთან (2:3). ორი გოლი სტანდარტულებიდან გავუშვით და ორივეჯერ, ჩვენს საჯარიმოში, მეტოქე ფეხბურთელს, ფაქტობრივად, არავინ კეტავდა. შოტლანდიასთან თამაშიც (1:2) გავიხსენოთ. **კრის ბოიდმა** ახლოდან თავურით ისე გაიტანა, რომ დარტყმის მომენტში მას ხელს არავინ უშლიდა. და ახლაც ასე მოხდა. **სერგეი ნაზარენკოს** კუთხურზე **გიორგი ლომაია** კარიდან გამოვიდა, **ლაშა სალუქვაძემ ოლეგ შელაევი** მიატოვა და მარტოდ დარჩენილმა უკრაინელმა მეკარისგან მიტოვებულ კარში გადაგზავნა ბურთი...

ერთი მხრივ, აქ მწვრთნელის შეცდომა არ არის, მაგრამ, როცა რამდენჯერმე მეორდება ერთი და იგივე, მწვრთნელი ვალდებულია, რაღაც ილონოს, რაღაც შეცვალოს. ვფიქრობ, გაუგებარი და არაფრისმომტანია ტოპმიოლერის სიჯიუტე მეტად მნიშვნელოვან საკითხში: გამოკვეთილ ფორვარდებად კვლავ **გიორგი დემეტრაძესა და ალექსანდრე იაშვილს** ათამაშებს, თუმც დემეტრაძე სულ იმას ცდილობს, ფლანგზე გაიჭრას და იქიდან გაამწვავოს თამაში, ხოლო იაშვილი სულ უკან იხევს, მოედნის სიღრმიდან ეშურება შეტევას. მაშ, ვინლამ უნდა იტრიალოს მეტოქის საჯარიმოში? ვინლა უნდა დაუხვდეს ფლანგურ ჩაწოდებას თუ გამჭოლ გადაცემას ცენტრიდან? ვინლამ უნდა მოიპოვოს მაღალი ბურთი მეტოქის საჯარიმოსთან თუ მის მისადგომთან?

გაშვებული გოლის შემდეგ ჩვენებს დაახლოებით 10 წუთი დასჭირდათ, რათა ძალა კარგად მოეკრიბათ და ცალკეული ფეხბურთელების აქტიურობით მატჩის სიუჟეტი შეეცვალათ. საქართველოს ნაკრებს გუნდური თამაში არ გამოსდიოდა და ამას ფეხბურთელებიც ძალიან კარგად გრძნობდნენ.

იაშვილი და **ოთარ მარცვალაძე** - მათი მონდომებით თამაშის გამწვავება მაინც ხერხდებოდა. უკრაინა ძალიან ფრთხილობდა, როცა საქართველო უტევდა, თავს ათი კაცი იცავდა, შევჩენკოს გარდა, ყველა დაცვითი ფუნქციების შესრულებით იყო დაკავებული. ტოპმიოლერის გუნდის, ასე ვთქვათ, მუშა ფლანგი მარცხენა იყო - იაშვილი, მარცვალაძე და **ლევან ცქიტიშვილი** იქიდან ცდილობდნენ უკრაინელთა დაცვით ეშელონებში ღრიჭოების მოძებნას.

ცქიტიშვილს არცთუ ცოტა წუნი ჰქონდა გადაცემებში, მაგრამ სულ აქტიურობდა, არ იმალებოდა, სულ ბურთს ითხოვდა და ტექნიკისა თუ გამოცდილების ხარჯზე თანაგუნდელებს ამოსუნთქვის საშუალებას აძლევდა, გუნდს შეტევის დაწყებაში ეხმარებოდა.

ტაიმის ბოლოს, მარჯვენა ნახევარმცველად გამწესებულმა **ლაშა ჯაკობიამ** ჩვეულ ადგილას, თავდასხმის ცენტრში შეიწია და საქართველოს ნაკრებმა პირველი საგოლე მომენტიც გაახერხა: იაშვილის ფლანგურ პასს ჯაკობია ვარდნაში ჩაუწვა და ბურთი ფაქტობრივად ცარიელ კარს ზემოდან გადააცილო.

შესვენების შემდეგ ტოპმა ჯაკობია ცენტრფორვარდად გაამაგრა, იაშვილი კი **ჯაკობია-დემეტრაძის** უკან გაამწესა, **მათე ღვინიანიძე** დაცვის მარჯვენა ფლანგიდან საყრდენად გადაიყვანა, **ზურაბ მენთეშაშვილი** კი ცენტრიდან მარჯვენა ფლანგზე გადაწია. მეორე ტაიმი საქართველომ აქტიურად კი დაიწყო, მაგრამ ამას, თუ ერთ ეპიზოდს არ ჩავთვლით, არაფერიც არ შეუცვლია. იაშვილი, პირველი ტაიმიდან მოყოლებული, დიდი მოცულობის სამუშაოს ასრულებდა და მალე მოიქანცა. მარცხენა ფლანგიდან ველარ აქტიურობდა მარცვალაძე, მენთეშაშვილს კი, უბრალოდ, თამაში არ წაუვიდა. ღვინიანიძე-ნახევარმცველი კი ტოპმიოლერის ისეთი გამოგონებაა, რომლისაც, ალბათ, მხოლოდ თავად სჯერა.

მეორე ტაიმის პირველ 10-15 წუთის შემდეგ ჩვენი გუნდის შეტევები ჩაცხრა. უკრაინას ასეთი ვარიანტი ხელს აძლევდა და წინ დიდი ძალებით არ მიდიოდა, მეტოქის შეცდომებს ელოდა და კიდევაც გამოადნო საგოლე მომენტი: შევჩენკოს ლომაიამ აუღო, მერე კი ჩვენმა მეკარემ არც ნაზარენკოს დაანება გატანა, ხოლო **მაქსიმ კალინიჩენკომ** ახლოდან ვერ დაუმიზნა კარს.



კალაძისა და ვორონინის ორთაბრძოლა

ნუგზარ სუარიძის ფოტო

საქართველო კი სახიფათო მომენტსაც ველარ ქმნიდა, ჩვენი ერთადერთი შანსი სტანდარტული სიტუაცია ან მეტოქის უხეში შეცდომა იყო. და ასეც მოხდა: კუთხური **ვლადიმირ იეზერსკიმ** გვაჩუქა, საკუთარი კარიდან ოციოდ მეტრში მყოფმა ბურთი ძალიან უხეიროდ მოიგერია. დემეტრაძემ კუთხურიდან ჩინებულად ჩააბზრიალა ბურთი, ხოლო **დავით სირაძემ** ლონიერი, ეფექტური თავურით **ალექსანდრ შოვკოვსკის** აულებლად დაურტყა.

შეხვედრის დასრულებამდე ორი წუთილა რჩებოდა. არ იყო სასიამოვნო, როცა ჩვენები დროის გაყვანას ცდილობდნენ, თუმცა, შესაძლოა, ეს სწორიც იყო. ვაღიაროთ, რომ ფრეზე მეტი საქართველოს ამ დღეს, უბრალოდ, არ შეეძლო...

...ტოპმიოლერმა **მალხაზ ასათიანს** დაცვის ცენტრში მიუჩინა ადგილი და ნამატჩევს გვითხრა კიდეც, **ასათიანი-კალაძის** ტანდემი ევროპაში ერთ-ერთი საუკეთესო დაცვის ცენტრიაო. ასათიანი უკრაინასთან იშვიათად ირჯებოდა შეტევაში და ასედაც კარგად გვიჩვენებდა, თუ რა შემოქმედებითი უნარი გააჩნია. მეორე ტაიმის პირველ წუთებზე მისი დიდებული, შორეული პასით მენთეშაშვილი შოვკოვსკისთან პირისპირ დარჩა, მაგრამ მეკარეს ველარ აჯობა. ასათიანმა უნდა შეუტიოს, ასათიანი დაცვაში უნდა იყოს - აქ კამათი სწორედაც რომ შეიძლება, მაგრამ ტოპმიოლერის ნაკრები უკრაინასთან რიგიან გუნდს რომ არ ჰგავდა, ვფიქრობ, ეს კი უნდა იყოს საკამათო...

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. საფრანგეთი | 8 | 6 | 1 | 1 | 15-2 | 19 |
| 2. შოტლანდია | 8 | 6 | 0 | 2 | 16-7 | 18 |
| 3. იტალია | 8 | 5 | 2 | 1 | 13-6 | 17 |
| 4. უკრაინა | 7 | 4 | 1 | 2 | 9-7 | 13 |
| 5. ლიტვა | 8 | 2 | 1 | 5 | 5-10 | 7 |
| 6. საქართველო | 9 | 2 | 1 | 6 | 14-15 | 7 |
| 7. ფარერები | 8 | 0 | 0 | 8 | 2-27 | 0 |

**12 სექტემბერი. ოთხშაბათი**

**უკრაინა–იტალია**
**საფრანგეთი–შოტლანდია**
**ლიტვა–ფარერები**

აზერბაიჯანი-საქართველოს მატჩის რეპორტაჟების სპონსორი
ბეკო
BEKO

ყაზბეგი
www.kazbegi.com
გახსენი... ყაზბეგი
ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი
www.pfl.ge







ნუგზარ სულაძის ფოტოები

# თქვენი ვალი მაქვს?

**მატჩისშემდგომ პრესკონფერენციაზე ბლოხინი და ტოპმიოლერი ერთმანეთს არ გადაჰყრიან. ჩვენ წინაშე ჯერ უკრაინელთა დამრიგებელი წარდგა, რომელსაც, ბუნებრივია, იმედგაცრუება ეტყობოდა. ყველაზე დასამახსოვრებელი მისი და უკრაინელი ჟურნალისტის კამათი იყო, როდესაც ვლადიმიროვიჩმა ნერვები ვერ მოთოკა.**

**- შეაფასეთ თქვენი გუნდის თამაში.**

- რა უნდა შევაფასო? რასაც ხედავთ, ის დაწერეთ.

**- კმაყოფილი ხართ გუნდით?**

- როგორ უნდა ვიყო კმაყოფილი, როცა მეტოქეემ ორი ნახევრადმომენტი შეგვიქმნა და გოლი ასე გაგვიტანა. 1:0-ზე მეკარესთან პირისპირ ორჯერ გავედით, მაგრამ რად გინდა. ეს უბრალოდ, ცირკი იყო - გამარჯვება ხელიდან გავუშვით.

**- და მაინც, საქართველოს ნაკრებმა ორ ნახევრადმომენტზე ცოტა მეტი შექმნა.**

- კარგი, სამი მომენტი. ცვლის ეს რამეს? ჩვენ ხომ ასპროცენტიანი მომენტები გვქონდა და მატჩის ბოლოს უაზრო გოლი მივიღეთ. ბუნებრივია, შედეგზე მე ვარ პასუხისმგებელი, მაგრამ არც ფეხბურთელებს აქვთ ისეთი შეცდომების დაშვების უფლება, როგორიც დღეს დაუშვეს. გარდა ამისა, მოთამაშეები საქმეს პასუხისმგებლობით უნდა მიუდგნენ და მოედანზე არ უნდა იცინონ. თუ მოტივაცია არ აქვთ, მითხრან და ნულარ ითამაშებენ ნაკრებში. საქართველოს ნაკრებში 16 წლის ყენიამ და 18 წლის (ასე თქვა - რედ.) სირაძემ ითამაშეს, ჩვენ კი მსოფლიო ჩემპიონატზე ნათამაშები ხალხი გვყავს და მათ ამდენი შეცდომა დაუშვეს!

**- ფეხბურთელთა მიმართ რეპრესიებს ხომ არ გეგმავთ?**

- რეპრესირებული მე ვარ პრესისგან, თორემ მოთამაშეებს რა უჭირთ. საერთოდაც რა რეპრესიაზე მელაპარაკებით, მაზოხისტი კი არ ვარ. ვაღიარებ, რომ უმნიშვნელოვანესი ქულები დავკარგეთ. იმედია, საფრანგეთი იტალიას მოუგებს. ასეთ შემთხვევაში, ჩვენთვის საკვალიფიკაციო ციკლი დასრულებული არ იქნება. ისე კი, ასეთი თამაშით კიევში, იტალიასთან შანსი არ გვექნება.

**- იტალიასთან შეხვედრისთვის ძირითად შემადგენლობაში ცვლილებებს უნდა ველოდოთ?**

- მითხარით, ვინ დავაყენო ძირითადში.

**- ჩიგრინსკი, გლადკი...**

- თქვენ ზიხართ სავარძელში, შედეგით უკმაყოფილო, და რაღაც გაუგებარ აზრებს აყალიბებთ. დავიღალე ამდენი მითითებით, ის დააყენე, ის არ დააყენო... ოლეგ ბლოხინი არაა ის კაცი და მწვრთნელი, ვინმეს მითითებებს ასრულებდეს. მოდით, თქვენ დააყენეთ შემადგენლობა, ოღონდ თავადვე აგეთ პასუხი შედეგზე. ჩემზე პრესა საშინელ ზეწოლას ახორციელებს. არ გინდათ ბლოხინი? კეთილი, სხვა დანიშნეთ მწვრთნელად, მაგრამ ელემენტარული პატივისცემა მაინც გამოიჩინეთ ჩემ მიმართ, თუნდაც იმიტომ, რომ უკრაინის ნაკრები მსოფლიო ჩემპიონატის მეოთხედფინალში გავიყვანე. ისეთი ტონით მისვამთ შეკითხვებს, თითქოს თქვენი ვალი მქონდეს.

**- უბრალოდ შეგიძლიათ მიპასუხოთ კი ან არა, რად უნდა ამას ამდენი საუბარი...**

- კიდევ გიმეორებთ ვინ შევცვალო?

**- როგორ ფიქრობთ, შეძლებს საქართველოს ნაკრები შოტლანდიისთვის ქულების ართმევას?**

- თუ ჩვენ დაგვაკარგვინა ქულები, სავსებით შესაძლებელია, შოტლანდიასაც დააკარგვინოს. აბა რა გამოვიდა, საქართველო ყველასთან აგებს და მარტო უკრაინას ამწარებს? ეს უსამართლობა იქნება (იცინის).



გიორგი დემეტრაძის შეტევა

# ნაწილი კლუბებში, ნაწილიც ბაქოში...

**ეროვნული ნაკრების მესაჭის პრესკონფერენცია ხანგრძლივი არ ყოფილა, მაგრამ კლაუს ტოპმიოლერმა განვლილ მატჩსა და აზერბაიჯანთან მოახლოებულ ამხანაგურ დაპირისპირებაზე ამომწურავად ისაუბრა. მან ჯერ შესავალი სიტყვა აილო და შემდეგ შეკითხვებსაც უპასუხა.**

- სამწუხაროდ, მატჩის დებიუტშივე უაზრო გოლი გავუშვით, რის გამოც თამაშის გადარჩენა ძალიან გაგვიჭირდა. ძლიერი გუნდისგან ბურთის მიღების შემდეგ, ყოველთვის ძნელია მდგომარეობის გამოსწორება. იმის მიუხედავად, რომ პირველი ტაიმის ბოლოს გატანის რეალური შანსი გვქონდა, უკრაინამ საწყისი 45 წუთი დამსახურებულად მოიგო. მეორე ნახევრის დასაწყისში კი კიდევ ერთხელ გავატანეთ ქარს საგოლე მომენტი. მეტოქის კარი ერთხელ მაინც დავლაშქრეთ, რაც გარკვეული რისკის ფასად გავაკეთეთ. საბედნიეროდ, მეტოქემ მწვავე კონტრშეტევებით ვერ იხეირა.

საკადრო დანაკლისს ვერც ამჯერად ავცდით. ზაალ ელიავას შემდეგ, ლევან კობიაშვილიც დაგვაკლდა, დღეს დილითღა გადაწყდა, რომ იგი ვერ ითამაშებდა.

აზერბაიჯანში ორი მეკარით წავალთ, ნუკრი რევიშვილითა და გიორგი მაკარიძით. ბაქოში თავის გამოჩენის შანსი სხვებსაც მიეცემათ. დაგვემატებიან დავით ბოლქვაძე, გიორგი დეკანოსიძე, გრიგოლ დოლიძე და დავით ლომაია. მეკარეებს რაც შეეხება, ვაპირებ, ახალგაზრდა მაკარიძე ერთი ტაიმი ვათამაშო. ახალი ფეხბურთელების გამოსაცდელად მხოლოდ აზერბაიჯანთან მატჩს არ გამოვიყენებ. მიმდინარე ციკლის დარჩენილ შეხვედრებში კი, იმის მიუხედავად, რომ ძლიერი მოწინააღმდეგეები გვყავს, ქულების მაქსიმალური რაოდენობისთვის ვიბრძოლებთ.

- ისიც გადაწყდა, რომ მათე ღვინიანიძე ესპანეთში გაჰყვება საქართველოს ახალგაზრდულ ნაკრებს. ჯაბა კანკავა კი ბაქოში წამოვა. აზერბაიჯანში მათეს გარდა, არ წამოვლენ კახა კალაძე, გიორგი დემეტრაძე, დავით სირაძე, ლევან კობიაშვილი, გიორგი შაშიაშვილი და გიორგი ლომაია. ნაკრებში გამოძახებული სხვა მოთამაშეები, შესაბამისად, ოთხშაბათის მატჩისთვის მზადებას შეუდგებიან.

**- ისეთი შთაბეჭდილება იქმნებოდა, რომ ნაკრების ახალწვეულებს პასებს ხშირად არ აძლევდნენ.**

- ყენია და ტატანაშვილი ბიჭებმა კარგად მიიღეს და მათ იგნორირებაზე საუბარი, უბრალოდ, არ შეიძლება.

**- მალხაზ ასათიანს სამომავლოდაც დაცვაში გაამწესებთ?**

- დიახ, სავარაუდოდ, ასე იქნება. როგორც უკვე ვთქვი, ასათიანისა და კალაძის დაცვის წყვილი ერთ-ერთი საუკეთესოა ევროპაში და ეს დღესაც დამტკიცდა. საერთოდ, ცალკეული ფეხბურთელების ქება არ მიყვარს, მაგრამ სიტყვამ მოიტანა და დღეს ასათიანი მოედანზე ერთ-ერთი საუკეთესო იყო.

**- ოთხი ნომინალური ფორვარდის ძირითადში გამწესება რამ განაპირობა?**

- თავიდანვე გადაწყვეტილი მქონდა, რომ კობიაშვილის გამოკლების შემთხვევაში, ძირითადში მას ჯაკობია შეცვლიდა. იმედი მქონდა, რომ იაშვილი და დემეტრაძე სისწრაფის ხარჯზე მეტოქის საჯარიმოში ხიფათს შექმნიდნენ. აქვე გეტყვით, რომ დემეტრაძეს ტრავმა აწუხებს და შესაძლოა, ოპერაცია დასჭირდეს.

დარჩენილი მატჩებიდან იტალია-საქართველო გამორჩეულია. იტალიაში დაცვიდან ვითამაშებთ და ვიმედოვნებ, ეს ტაქტიკა შედეგს მოგვიტანს. კარგია, რომ ამ მატჩში დისკვალიფიკაციის გამო არავინ დაგვაკლდება. რომ არა რიცხობრივ უმცირესობაში დარჩენა, იტალიასთან თბილისშიც შეგვეძლო არ წაგვეგო.

ძალიან გამახარა დავით სირაძის წარმატებამ. მას კლუბში საქმეები ცუდად მისდის, ამ სეზონში "პადერბორნს" ჯერ გოლი არ გაუტანია. იმედია, სანაკრებო წარმატება მის საკლუბო კარიერაზეც დადებითად აისახება.

ყველაზე მთავარი კი ისაა, რომ ჩვენს გუნდში საბრძოლო განწყობაა. შესვენებისას ერთმანეთს პირობა მივეცით, რომ საქართველოსთვის ბოლომდე დავიხარჯებოდით და თამაში გადავარჩინეთ.

**ლევან ჯანეზაშვილი**

## კომენტარები

**გიორგი ლომაია:** ვფიქრობ, დამსახურებული ფრე მოვიპოვეთ. მჯერა მაყურებელიც კმაყოფილი დარჩა. ეს ფრე მომავალ მატჩებშიც სტიმულად წაგვადგება.

**დავით სირაძე:** დაძაბული მატჩი გვქონდა. ბედნიერი ვარ, რომ მორიგი ქულა მოვიპოვეთ. ორმაგად გახარებული ვარ, რომ კიდევ ერთი მნიშვნელოვანი გოლის ავტორობა მერგო... დემეტრაძემ კარგად ჩამოაწოდა და მეც დროულად, სათანადო ადგილზე დავხვდი ბურთს. მართალი გითხრათ, მსგავს სიტუაციაში არაერთი ბურთი მაქვს გატანილი...

**ლაშა სალუქვაძე:** უკრაინა მსოფლიო ჩემპიონატის მეოთხედფინალისტია და ძლიერ მეტოქესთან დაძაბული მატჩი გვქონდა. პირველ ნახევარში ჩვენ რომ გვინდოდა ისე არ წაგვივიდა თამაში, მაგრამ მეორე ტაიმში ბევრად უკეთ წარმოვჩნდით. მთლიანად გუნდმა მაქსიმალური მობილიზება გავაკეთეთ და მატჩის ბოლო წუთებზე შედეგიც მივიღეთ. კარგი იყო, იმ ორი მომენტიდან ერთ-ერთი მაინც რომ გამოგვეყენებინა და თამაში მოგვეგო, მაგრამ... იმედია, ამ შეხვედრაში ჩვენი გუნდის თამაშით გულშემატკივარი კმაყოფილი დარჩა.



გახსენი... ყაზბეგი
ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი
www.kazbegi.com
www.pfl.ge
ეროვნული ბიბლიოთეკა



კახა კალაძე

უკრაინასთან მატჩის შემდეგ. ინტერვიუ კახა კალაძესთან

# თბილისში მოგებას ნურავინ დაგეგმავს

**გასულ შემოდგომაზე, კიევში, უკრაინასთან მატჩში ნაკრებს კახი კალაძე აკლდა. შაბათს ნაკრების კაპიტანი მოედანზე იყო და დიდი სამუშაოც გასწია. კალაძეს ანდრეი შევჩენკოს გარდა უკრაინის ნაკრებში არაერთი ნაცნობ-მეგობარი ჰყავს. საინტერესოა, თუ რას ფიქრობს ის უკრაინელებთან განვლილ მატჩსა და ეროვნულის მომავალ თამაშებზე. მას თამაშის შემდეგ გავესაუბრეთ...**

- საინტერესო თამაში იყო. სამწუხაროა, რომ პირველ ტაიმში ისეთი ბურთი გავუშვით, რომელსაც თითქმის არავინ ელოდა. უკრაინელებმა სტანდარტული მდგომარეობიდან გაგვიტანეს. ცუდია, როცა თითქმის მთელი თამაშის განმავლობაში, მეტოქე მინიმალური ანგარიშით იგებს. მატჩის მიწურულს კი სირაძემ დემეტრაძის პასით მართლაც ლამაზი და მნიშვნელოვანი გოლი გაიტანა.

**- კლაუს ტოპმიოლერმა შესვენებაზე რა გითხრათ?**

- გადაადგილებებს მიმართა. მეორე ნახევარი სამი მცველით დავიწყეთ და როგორც ხედავთ, ამან გაამართლა კიდეც.

**- მატჩის შემდეგ რა ხდებოდა გასახდელში?**

- როცა ბოლო წუთზე გადაარჩენ თამაშს, რა თქმა უნდა, სასიამოვნოა, ყველანი კმაყოფილები ვიყავით და ვხარობდით...

**- ანდრეი შევჩენკოსთან საუბარი გქონდა?**

- განსაკუთრებული არაფერი. უკრაინელებს ძალიან უნდოდათ თბილისში მოგება და ორი ქულა რომ დაკარგეს გული დასწყდათ. ისინი განაწყენებული იყვნენ, მაგრამ ყველა უნდას შეგუოს იმ აზრს, რომ თბილისში სამ ქულას ნურავინ დაგეგმავს.

**- ამ ფრემ ალბათ ძალები შეგმატათ და მთელი გუნდისთვის სტიმულად იქცევა. იმედია, ბევრი ირწმუნებს, რომ თბილისში შოტლანდიის დამარცხება შეგვიძლია. მეთანხმები?**

- დიახ, ასეა. ბიჭები, განსაკუთრებით ახალგაზრდები ახლა უფრო მეტად ირწმუნებენ საკუთარ ძალას. შოტლანდიის ძლევა მართლაც შეგვიძლია.

**- ამ შეხვედრაში ყენიასა და ტატანაშვილს ეროვნულ გუნდში დებიუტი ჰქონდათ. მათზე რისი თქმა შეგიძლია?**

- გაახალგაზრდავების პროცესს მივესალმები. ახალი ფეხბურთელები შეგვემატნენ, რომელთაც პოტენციალი გააჩნიათ. ყველაფერი მათზეა დამოკიდებული. ნაკრების გამოცდილი წევრები გვერდში დავუდგებით. ნიჭიერები არიან. მათ აქვთ შესაძლებლობა კარგი ფეხბურთი ითამაშონ. თუმცა სამუშაოც ბევრი აქვთ და მხოლოდ იმით არ უნდა დაკმაყოფილდნენ, რომ ეროვნულ ნაკრებში უკვე ითამაშეს.

დავით ცაბაძე

ინტერვიუ კლაუს ტოპმიოლერთან

# ყენია ნაკრების კაცია, ტატანაშვილმა ორთაბრძოლებზე უნდა იმუშაოს

*პირველი გვერდიდან*

**- ნაკრებს ბოლოს ბოლქვაძე, დეკანოსიძე, დოლიძე და დავით ლომაია დაამატეთ. რა შთაბეჭდილება დაგრჩათ მათზე?**

- კარგი ბიჭები არიან. მათ დიდი ფეხბურთის თამაში შეუძლიათ. ახლა, პირველ ნაკრებში დამკვიდრების შანსი ეძლევათ და ეს შესაძლებლობა უნდა გამოიყენონ. იმედია, ასეც იქნება.

**- ყენიასა და ტატანაშვილის დებიუტზე რას გვეტყოდით?**

- შესაძლებლობებით, ტექნიკით და საერთოდ, საფეხბურთო ფილოსოფიით, თამამად შეიძლება ითქვას, რომ ყენია ეროვნულ გუნდში ადგილს იმსახურებს. ასეთი ახალგაზრდები მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის ნაკრებებშიც თამაშობენ და ამაზე არც ჩვენ უნდა ვთქვათ უარი. რაც შეეხება ტატანაშვილს, ის სწრაფი, ტექნიკური ფეხბურთელია, მაგრამ ორთაბრძოლაში მოიკოჭლებს, ამ კომპონენტში მას აშკარად უკეთ გარჯა შეუძლია და ამაზე უნდა იმუშაოს. ჯერჯერობით, როცა ორთაბრძოლა 50/50-ზეა, ტატანაშვილი თითქმის ყველას აგებს. მას ასევე სამუშაო აქვს დაცვით ოპერაციებზე.

**- ტატანაშვილს ფორვარდად განიხილავთ თუ მარჯვენა ნახევარმცველად?**

- ჩემს წარმოდგენაში, ორი ფორვარდით თამაშისას, ტატანაშვილის ადგილს უკანა თავდამსხმელად ვხედავ. ვფიქრობ, მას ამ პოზიციაზე უფრო კარგად შეუძლია თამაში. როცა 4-2-3-1 სქემით ვითამაშებთ, მაშინ სამ შემტევ ფეხბურთელს შორის მისი დაყენება მარჯვენა ფრთაზეც შეიძლება.

**- ნაკრების უმეტეს მოთამაშეთა მინუსი, მხოლოდ ცალი ფეხით თამაში, უკრაინასთან მატჩშიც გამოჩნდა. მაგალითად, "მემარჯვენე" მარცვალაძე მარცხენა ფრთაზე იყო გამწესებული. საერთოდ, მეორე ტაიმში არაერთ ფეხბურთელს ადგილი შეუცვალეთ, ღვინიანიძე საყრდენად ვიხილეთ...**

- მარცვალაძის ერთ-ერთი გამორჩეული თვისება ისიცაა, რომ მარცხენა ფრთიდან მას შუაში კარგად შეუძლია შეჭრა და მარჯვენათი კარში დარტყმა. მან ეს უკრაინასთან მატჩისწინა ვარჯიშებზეც დაგვანახა, ათი ცდიდან ცხრაჯერ დაარტყა კარში და გოლებიც გაიტანა. თუ გახსოვთ, ოთარმა მსგავსი რამ უშუალოდ თამაშის დროსაც გააკეთა, მარცხნიდან შუაში კარგად შეიჭრა, მარჯვენათი კარშიც დაარტყა, მაგრამ შორეულ კუთხეში კარგად ვერ აჭრა ბურთი, თორემ მეკარეს გაუჭირდებოდა მისი აღება... რაც შეეხება პოზიციების შეცვლას, მიზეზი მარტივია: ვაგებდით და გააქტიურება იყო საჭირო... ცალკე ვმუშაობთ "მემარჯვენე" და ცაცია ფეხბურთელებთან. თუ დააკვირდით წვრთნებს, დაინახავდით, რომ თითოეული მოთამაშე თავის სუსტ ფეხს გამორჩეულად ტვირთავდა. თუმცა ეს არაა საკმარისი, ბიჭებმა დამატებით, ინდივიდუალურადაც უნდა ივარჯიშონ. ამით იმის თქმა მსურს, რომ მათი მომავალი მათსავე ხელშია, ისინი ან საქართველოში დარჩებიან და აქ დაამთავრებენ კარიერას, ანდაც საკუთარ თავზე ნაყოფიერად იმუშავებენ და კარგ უცხოურ კლუბებში გადავლენ.

**- აზერბაიჯანის მატჩს რა ასპექტში განიხილავთ? ვინც ბაქოში კარგად ითამაშებს, მიეცემა თუ არა შანსი შოტლანდიასა და ლიტვასთან? და კიდევ: ასათიანს ამჯერადაც დაცვაში ათამაშებთ?**

- დიახ, ასათიანი დაცვაში ითამაშებს. ბაქოს მატჩს სრული სერიოზულობით ვუდგებით, შემადგენლობაც კარგია... იმედი მაქვს, ახალი ფეხბურთელები თავს კარგად წარმოაჩენენ და ნაკრების გამოცდილ მოთამაშეებს კონკურენტულ გარემოს შეუქმნიან, ყველას უნდა დაანახონ, რომ მათაც შეუძლიათ ეროვნულში თამაში, ნაკრების სტაჟიან წევრებს კი მოდუნების საშუალება არ ექნებათ...

დავით ცაბაძე

ამხანაგური მატჩი. მეტოქე

# აზერბაიჯანის ნაკრებში სიცხემ გადაიარა

ქართველებთან ზეგინდელ მატჩამდე აზერბაიჯანის ნაკრებში გამოსარჩევი ბევრი მოხდა.

ნაკრების თავკაცმა **შაჰინ დინიევმა** ქართველებთან მატჩისწინა მოსამზადებელი შეკრება 6 სექტემბერს დაიწყო და გუნდში სხვებთან ერთად, ბაქოს "ნეფთჩის" ფეხბურთელებსაც უხმო, თუმცა გამოძახებულები (**რამინ გულიევი, ალექსანდრ ჩერტოგანოვი, რამაზან აბასოვი, სამირ ალიევი, ბრანიმირ სუბაშიჩი**) არ გამოცხადნენ. ბაქოელთა გუნდის ახალმა თავკაცმა **ვლასტიმილ პეტრჟელამ** განაცხადა, რომ ფიფასა და უეფას რეგლამენტის მიხედვით იმოქმედებს და 12 სექტემბრის მატჩამდე მხოლოდ 2 დღით ადრე გაუშვებს ფეხბურთელებს ეროვნულ ნაკრებში. ერთი სიტყვით, ვითარება დაიძაბა და საქმეში აზერბაიჯანის ფეხბურთის ფედერაცია ჩაერია. როგორც ჩანს, ყველაფერი მოგვარდა, რადგან აზერბაიჯანული წყაროების მიერ გავრცელებულ ცნობათა თანახმად, "ნეფთჩის" ხუთივე ფეხბურთელი ნაკრებშია. არადა, დინიევმა მანამდე საჯაროდ განაცხადა, რომ თუ ეს ხუთეული ეროვნულში არ გამოცხადდება, სანქციები არ ასცდებათო.

მოგვიანებით, "აზერიფუტბოლის" ცნობით, გუნდს ტრავმირებული **გულიევი** და **ყურბანოვი** გამოაკლდათ. მათ ნაცვლად, მწვრთნელმა ბაქოს "ინტერის" მცველი **მახირ შიუკუროვს**, "ხაზარის" ნახევარმცველ **რაშიდ ქერიმოვსა** და "ოლიმპიკის" ფორვარდ **ფარუხ ისმაილოვს** უხმო.

გუშინ აზერბაიჯანის ნაკრები "ოლიმპიკის" კიდევ ორმა ფეხბურთელმა, **ელვინ ალიევმა** და **ფარუხ ისმაილოვმა** დატოვა. მათ კლუბში პირველი ტურის გამოტოვებული მატჩი ჰქონდათ "არაზთან". დინიევმა განაცხადა, რომ ქართველებთან ამხანაგურ შეხვედრაში ეს ორი მოთამაშე სასტარტო შემადგენლობაში არ იქნება და ისინი დროებით კლუბს დაუთმო.

დაბოლოს, აზერბაიჯანის ნაკრები ბოლო სამი დღეა სუმგაითში ვარჯიშობს. დინიევის გუნდი დღესაც იქ ჩაატარებს წვრთნას, ხვალ კი ბაქოში გადაინაცვლებს, სადაც 12 სექტემბერს საქართველოს ნაკრებს დაუპირისპირდება. აზერბაიჯან-საქართველოს მატჩი, ოთხშაბათს 21 საათზე (თბილისის დროით 20 საათზე) დაიწყება.

დავით ცაბაძე

CDN კავკასიის ციფრული ქსელი
CAUCASUS DIGITAL NETWORK
გთავაზობთ სატელეკომუნიკაციო მომსახურების სრულ პაკეტს:
CDN DSL ყველაზე სტაბილური ინტერნეტი;
CDN 55 ტელეფონის დადგმა;
CDN 8-66 კავშირი ყველგან და ყოველთვის;
GIGACARD ისაუბრე მეტი, გადაიხადე ნაკლები;
CDN ქსელების მონტაჟი და მომსახურება;
24 საათის განმავლობაში
• უწყვეტი მომსახურება • ტექნიკური მხარდაჭერა
• გარანტირებული ხარისხი • გადახდა სახლიდან გაუსვლელად
სატელეფონო საუბრების წამობრივი აღრიცხვა!
მხოლოდ ოპტიკურ-ბოჭკოვანი ტექნოლოგიები!
დარეკე, შეუკვეთე, ჩაერთე!
ირ. აბაშიძის 14
ტელ.: 550 055, 259 555
cdn@cdn.ge, www.cdn.ge



უკრაინული პრესის გამოხმაურება

# ჩავყვინთეთ

უკრაინულმა "სპორტ-ექსპრესმა" საქართველო-უკრაინის შეხვედრის მიმოხილვა ყველაზე ოპერატიულად გამოაქვეყნა.

"ჩავყვინთეთ" - ასეთი სათაურით იწყება სტატია, რომლის ყველაზე საინტერესო ნაწყვეტებსაც შემოგთავაზებთ:

"იღბლის ყველა რესურსი ამოიწურა, თამაში როგორც არ გვქონდა, ასევე არ გვაქვს. რომელ ევროპის ჩემპიონატზე ვოცნებობთ?

თბილისში ოლეგ ბლოხინის შეგირდებმა მთელი სიმძაფრით იწვნიეს საფეხბურთო კანონის სიმწვავე, "არ გაგაქვს, გაგიტანენ". იღბალი წამებში გაგვიფრინდა, ვერაფერს იტყვი, ძალიან მერკანტილურია ქალბატონი იღბალი. ეგაა, რომ წარმატება ისე არ მოდის, ის უფრო თამაშის ხარისხზეა დამოკიდებული, რომლითაც ჩვენი ნაკრები დიდი ხანია ვერ გამოირჩევა.

საქართველოში "ცისფერ-ყვითლების" გუნდი მიფრინავდა მოსაგებად, 3 ქულის აღების გარდა, არაფერი აინტერესებდა. ჯგუფში ვითარება უკრაინის ნაკრებს საშუალო გუნდებთან მხოლოდ გამარჯვებას აიძულებდა, რადგან ჯერ გრანდებთან თამაში ვერ ვისწავლეთ. არავინ უარყოფდა, რომ ქართველების სახლში მოგება ძნელი ამოცანა იყო, მაგრამ ბლოხინის ხელქვეითებს სხვა გზა არ ჰქონდათ. ევრო 2008-ზე მოხვედრის საკითხი ხომ დღის წესრიგიდან ჯერ არაა მოხსნილი.

საქართველოს ნაკრების შემადგენლობას რომ გადავხედეთ, უნებლიედ კითხვა დაგვებადა - მათთან პრობლემა რატომ უნდა შეგვექმნას? ჯაკობია, დემეტრაძე, მარცვალაძე - სულაც არ არიან უკრაინის ჩემპიონატის საუკეთესო თავდამსხმელები. მეკარე ლომაია სულაც ლვოვის "კარპატიდან" გააგდეს. ერთი სიტყვით, სავსებით საკბილო მეტოქე გვყავდა.

ოლეგ ვლადიმიროვიჩმა ექსპერიმენტებს იძულებით მიმართა. ერთგვარი 3-5-2 გამოვიდა, მაგრამ უკრაინული მანერით. არანაირი შემტევი ფეხბურთი, ერთ-ერთი ფორვარდი, ვორონინიც ხშირად იხევდა ცენტრალური ნახევარმცველის პოზიციაზე. ტოპმიოლერის ხელქვეითებმა. მეტოქეს თავდაცვითი ფეხბურთისკენ თავად უბიძგეს.

ქართველებმა შეხვედრა ძალიან "გულუხვად" დაიწყეს. მე-7 წუთზე ნაზარენკომ კუთხური ჩააწოდა და შელაევმა კარისკენ დაარტყა. ამ დროს ანდრეი მეკარის საჯარიმოს კუთხესთან მარტო იდგა. აი, ასეთია დაცვის ორგანიზაცია "ქართულად".

უფრო ხელსაყრელი სტარტი წარმოუდგენელიც იყო. გახსენი ანგარიში და ითამაშე საყვარელ კონტრშეტევებზე, მით უფრო, როდესაც მეტოქეს სულაც არ ჰყავს რკინის დაცვა. თავდაპირველად ასეც იყო, უკრაინელები შეხვედრის პულსს აკონტროლებდნენ, მასპინძელთა შეტევებს ჯერ კიდევ შოვკოვსკის საჯარიმომდე ახშობდნენ. ყველაფერი გეგმით მიდიოდა. მეტოქეები გულშემატკივრებს საგოლე მომენტებით არ ანებივრებდნენ.

საერთო ჯამში, პირველი ტაიმი ჩვენი იყო, მაგრამ მაინც "ინფარქტის" გარეშე ვერ დასრულდა. იაშვილმა ბურთი საჯარიმოში ჩაკიდა და ჯაკობიამ კარისკენ დაუბრკოლებლად დაარტყა. ამ მომენტში ფორტუნა ჩვენკენ იყო და ბურთი კარს ასცდა.

ჩვენი მცველები "მიღწეულით" დაკმაყოფილებას არ აპირებდნენ. მეორე ტაიმი როგორც კი დაიწყო, მენთეშაშვილი მეკარესთან პირისპირ აღმოჩნდა. ქართველმა კარგად ვერ დაარტყა, ბურთი შოვკოვსკის მოხვდა და კარისკენ წავიდა, იქ უკვე როტანმა მიასწრო და ვითარება განმუხტა. ცენტრალური მცველების გრანდიოზული ტრიო ვითარებას შორიდან აკვირდებოდა.

ტაიმის შუანელში თამაში ჩვეულებრივ კალაპოტში ჩაჯდა, ქართველებს არაფერი გამოსდიოდათ, უკრაინელები არაფრისკენ არ ისწრაფოდნენ. თამაშის დასრულებამდე ათი წუთით ადრე, კალინიჩენკომ საკუთარი ფსიქიკის განადგურებისკენ მორიგი ნაბიჯი გადადგა. ნაზარენკოს ჩინებული გადაცემის შედეგად, ლომაიას კარის წინ დარჩენილმა კარს ააცილა. ასეთ ვითარებაში უფრო თავდაჯერებული უნდა უნდა იყო. სასტვენის შემდეგ ეს მომენტი უკრაინის გულშემატკივრებს ბევრჯერ გაახსენდათ, ეჰ, ნეტავ...

კალინას შეეძლო რეაბილიტაცია. მერე ჟანრის კლასიკური გაგრძელება იყო - ბურთი საკუთარ კარში მივიღეთ. დემეტრაძის კუთხური სირაძემ წარმატებით დააგვირგვინა. მოსაგებად დრო აღარ რჩებოდა. არც არის ეს ჩვენი კოზირი - ბოლო წუთებზე გამარჯვება".

სხვათა შორის, მატჩამდე უკრაინის ნაკრების ნახევარმცველმა მაქსიმ კალინიჩენკომ ძალიან გაიხარა, როდესაც საქართველოს ნაკრების დანაკლისი შეიტყო: "სიმართლე გითხრათ, ძალიან გამიკვირდა, როდესაც ტოპმიოლერმა არ გამოიძახა "კრილიას" კაპიტანი დათო მუჯირი. მადლობა ღმერთს, რომ არ იყო. პროფესიული სლენგით რომ ვისაუბროთ, თამაში თუ აეწყობა, მერე მისი გაჩერება მეტად ძნელია. ბურთს საყვარელი სათამაშოსავით ეპყრობა და დათოსთვის მისი ართმევა პრაქტიკულად შეუძლებელია. სხვათა შორის, კარგი სიახლე იყო გოგიტა გოგუას გამოუძახებლობაც. გოგიტამ შარშანდელი სეზონი ნალჩიკის "სპარტაკში" მშვენივრად ჩაატარა და მისი უთამაშებლობა ჩვენთვის დამატებითი პლუსი გახლდათ."

საინტერესო კიდევ ისაა, რომ გაზეთმა "კომანდამ" მატჩამდე ცნობილ ფეხბურთელებში გამოკითხვა ჩაატარა, თუ როგორ დასრულდებოდა შეხვედრა. უკრაინელები ოლეგ ბლოხინის გუნდს უეჭველი მოგებას უწინასწარმეტყველებდნენ.

ერთადერთი გამონაკლისი ახტირკის" ნეფტიანიკის" ქართველი თავდამსხმელი **ვასილ გიგიაძე** აღმოჩნდა, რომელმაც მატჩის ფრედ, 1:1 დასრულება ივარაუდა და საბოლოოდ, ამ გამოკითხვაში სწორედ მან გაიმარჯვა.

**მერაბ მამულაშვილი**

## აბრამიძე სამართალს ეძებს

**ვალერი აბრამიძე** ძალიან რთულ ვითარებაში აღმოჩნდა. ჩვენ ვწერდით, რომ ის ხანგრძლივი მოლაპარაკებების შემდეგ, მახაჩყალის "ანჟიში" დაბრუნდა და გუნდში ჩაირიცხა. თუმცა ამ ისტორიაში კიდევ ერთხელ გამოჩნდა აზერბაიჯანული კუდები. ქართველი მცველი ამჟამად "ანჟიში" ვარჯიშობს, მაგრამ კლუბმა განაცხადში მაინც ვერ შეიყვანა. მიზეზი ძველ კლუბთან დაკავშირებული პრობლემები აღმოჩნდა. აბრამიძის იმედის მიუხედავად, ის დღემდე არ მოგვარებულა - 27 წლის მცველს ლენქორანის "ხაზარი" არ ათავისუფლებს.

აზერბაიჯანული კლუბის ხელმძღვანელობა აცხადებს, რომ ვალერის კონტრაქტი არ დასრულებია და 2008 წლის ივლისამდე მათ საკუთრებაშია. თავად ფეხბურთელი ამას უარყოფს და "ხაზარის" ხელმძღვანელობას ორმაგი კონტრაქტის გაფორმებაში საჯაროდ ადანაშაულებს. მან რუსულ ინტერნეტ-გამოცემა "ჩემპიონატს" განუცხადა, სამართალს მაინც მივაღწევ და "ანჟიშიც" აუცილებლად ჩავირიცხებიო: "გადასვლაში ხელს ვერ შემიშლიან, კანონი ჩემ მხარეზეა. კონტრაქტი მხოლოდ 2007 წლის ზაფხულამდე გავაფორმე და როდესაც დამიმთავრდა, ბუნებრივია, კლუბიდან წავედი. აღმოჩნდა, რომ "ხაზარმა" საიდუმლოდ მეორე კონტრაქტი გაამზადა და მითხრეს, რომ კლუბს 2008 წლამდე ვეკუთვნი. აზერბაიჯანში დაბრუნებას არ ვაპირებ. ადრე თუ გვიან, ჩემსას მაინც მივაღწევ. ერთადერთი პრობლემა ის არის, რომ განაცხადში შეყვანის დრო დასრულდა და პრობლემა მოუგვარებელია".

**მერაბ მამულაშვილი**

**იტალია-საფრანგეთი 0:0**

**იტალია:** ბუფონი, ოდო, ბარძალი, კანავარო, ძამბროტა, გატუზო, პირლო, დე როსი, კამორანეზი (58. პეროტა), დელ პიერო (83. დი ნატალე), ინძაგი (65. ლუკარელი).

**საფრანგეთი:** ლანდრო, ლ. დიარა, ესკუდე, ტურამი, აბიდალი, მაკელელე, ვიეირა, მალუდა, რიბერი (86. ტულალანი), ანელკა, ანრი.

**მაყურებელი:** 80 000

ამ დღეებში მთელი მსოფლიო, და მეტადრე იტალია, **ლუჩანო პავაროტის** გლოვობდა. და კვირას, აპენინებზე, კინაღამ ევრო 2008-ის საგზურიც გამოიგლოვეს. მატჩის წინ ფრანგები ამბობდნენ - მეტოქეს მოგება უნდა და დიდი წნეხის ქვეშ იქნება, ჩვენ კი ფრეც გვაძლევს ხელსო. ზუსტად ასე მოხდა. "სკუადრა აძურამ" ვერ მოიგო სეზონის უმთავრესი მატჩი და ახლა ისე შეიძლება მოხდეს, რომ გაისად, ევროპის პირველობამ, მსოფლიო ჩემპიონის გარეშე ჩაიაროს. ანუ, განმეორდეს 1984 წელი, როცა საფრანგეთში გამართულ ევროფორუმზე **ენცო ბეარძოტის** გუნდისთვის ადგილი არ აღმოჩნდა. ვაჭარბებთ? სულაც არა. **ჯანლუიჯი ბუფონი** დავიმოწმოთ:

"რა თქმა უნდა, გამარჯვება გვინდოდა და ჩვენთვის ეს ბრწყინვალე შედეგი იქნებოდა, მაგრამ გამომდინარე იქედან, რაც მოედანზე ხდებოდა, ვთვლი, რომ ფრე სამართლიანია. ფრანგების ამოცანა არწაგება იყო. მათ ეს ამოცანა შეასრულეს. აქედან კი შეგიძლიათ დაასკვნათ, თუ ვინ როგორ იხეირა. ევრო 2008-ზე მოხვედრა კითხვის ნიშნის ქვეშ დავაყენეთ, თუმცა ჯერ დაკარგული არაფერია, ბოლომდე უნდა ვიბრძოლოთ".

უკმაყოფილო იყო **ალესანდრო დელ პიეროც**, აყიოტაჟმა დაგვთრგუნაო. მხოლოდ **რობერტო დონადონი** გამოიყურებოდა მხნედ, მაგრამ ეს უფრო მოჩვენებითი იყო, როგორც მწვრთნელების უმეტესობას სჩვევია. "დონმა" იხტიბარი არ გაიტეხა და საგანგაშო არაფერიაო, განაცხადა მატჩისშემდგომ პრესკონფერენციაზე. მერე იქვე დასძინა - თამაშის ხარისხითაც კმაყოფილი ვარ. ცალკეულ ნიუანსებს თუ არ ჩავთვლით, მეტოქემ ვერაფრით გვაჯობაო:

"კარგად ვითამაშეთ, მაგრამ ეგ იყო, რომ ბოლოს საწვავი გამოგველია. მატჩის წინ მუდმივად მესმოდა, აუცილებლად მოსაგები შეხვედრა გვაქვსო. სულ ასე ხდება. იქნებ, მითხრათ, რომელია წასაგები მატჩები? ახლა კიევში უნდა ვითამაშოთ და ისევე, როგორც დღეს, იქაც სამი ქულისთვის ვიბრძოლებთ".

ახლა კი მივყვეთ თავიდან. რეპორტაჟის დაწყების წინ იტალიელები აღფრთოვანებით საუბრობდნენ იმაზე, რომ საქართველომ უკრაინას ორი ქულა დააკარგვინა. **ფაბიო კაპელომ** და **მარკო ტარდელიმ**, რომლებიც "ჯუზეპე მეაცას" მატჩს პირდაპირ ეთერში უკეთებდნენ კომენტარს, ჟურნალისტების აჟიოტაჟი ერთი წინადადებით ჩააქრეს - დაანებეთ უკრაინას თავი, ჩვენს გამარჯვებაზე ვიფიქროთო...

თამაში, რომელსაც შარშანდელი ფინალის დარი ვნებათაღელვა ახლდა თან, საშუალო ტემპში დაიწყო. ორივე გუნდი მოედნის ცენტრის დაუფლებას შეეცადა. მოვლენებს წინ გავუსწრებთ და ვიტყვით, რომ ამ მხრივ უფრო ფრანგებმა ივარგეს. შეიძლება, მათი უპირატესობა არ იყო გადამწყვეტი, მაგრამ "აძურის" აქ სერიოზული მინუსები ჰქონდა. **გატუზო** ჩვეულებრივად ომობდა (ასევე ჩვეულებრივი იყო ყვითელი ბარათიც, რის გამოც მას უკრაინასთან მატჩის გამოტოვება მოუწევს), **პირლო** და **დე როსიც** ცდილობდნენ მეტოქის შეტევების ჩაშლას, მაგრამ საპასუხო სვლების დროს ხშირად სცოდავდნენ. უჩვეულოდ სუსტი იყო პირლო საფირმო "სტანდარტულების" დროსაც, ნაკლები ეფექტი ჰქონდა დელ პიეროს მოქმედებებსაც. ჰოდა, ნახევარდაცვის ნაწილობრივი ჩავარდნა მთავარი მიზეზი იყო იმისი, რომ **ინძაგის** ერთადერთხელ მიეცა კარში დარტყმის შანსი და რთული სიტუაციიდან მაქსიმუმს გამორჩა - ხარიხა. იტალიელებმა გაცილებით უკეთ გაართვეს თავი სხვა ამოცანას - ვგულისხმობთ **რიბერის** ნეიტრალიზებას, რაც პირველ რიგში **ძამბროტას** დამსახურება იყო. თუმცა მეორე ტაიმში, როცა ბარსელონელმა შეტევაში გადასვლას მოუხშირა, რიბერის მეტი სივრცე მიეცა. აქ კი დაზღვევაზე რამდენჯერმე იყოჩაღეს **კანავარომ** და **ოდომ**.

მეტოქეები

# რა უნდოდა დომენეკს გასახდელში?

## იტალია ეჭვქვეშ დადგა, ფრე საფრანგეთის სასარგებლოდ



იტალია-საფრანგეთი. ძამბროტა რიბერის (22) წინააღმდეგ

კანავარომ იყოჩაღა იმ ეპიზოდშიც, როცა **ბუფონის** ერთადერთ შეცდომას კინაღამ გოლი მოჰყვა. ჯიჯი არადამაჯერებლად გამოვიდა მაღალ ჩაწოდებაზე და **ანელკას** დარტყმის საშუალება მისცა. კაპიტანმა კი უცებ გათვალა ყველაფერი და კარისკენ მხტუნავი ბურთი საჯარიმოდან გამოიტანა. ბუფონი ამ ეპიზოდს ასე იხსენებს.

"ცხადია, ეს ჩემი შეცდომა იყო. უფრო სწრაფად რომ მემოქმედა, ანელკა ვერ დაარტყამდა. პენალტის არ შემშინებია. ახლა რომ ვფიქრობ, მას შეეძლო გოლის გატანა. კიდევ კარგი, ეს არ მოხდა. მადლობა კანავაროს".

მაგრამ იტალიელებმა უშუალოდ ბუფონს უნდა უთხრან მადლობა იმ ეპიზოდში, როცა მეკარე მასთან პირისპირ გასულ ანელკას ჩაუწვა და, ფაქტობრივად, ასპროცენტიანი მომენტი განმუხტა. მოკლედ, საბოლოო ჯამში, ფრანგებმა უფრო ლაღად ითამაშეს. ჩანდა, რომ **ანრი** არ არის საუკეთესო ფორმაში, თუმცა ისიც აღვნიშნოთ, რომ ტიერი ხშირად ჩადიოდა ნახევარდაცვაში, ბურთისთვის იბრძოდა და პარტნიორებს მოედნის ცენტრში უპირატესობის მოპოვებაში ეხმარებოდა. ეს არის სწორედ პროფესიონალიზმი. როცა უშუალო ამოცანას რაღაც მიზეზით სათანადოდ ვერ ასრულებ, შეგიძლია, გუნდს სხვა მხრივ დაეხმარო...

მეორე ტაიმში დონადონიმ თავდასხმა გადაახალისა. ინძაგის ნაცვლად **ლუკარელი** შევიდა, დელ პიერო კი **დი ნატალემ** შეცვალა. ვფიქრობთ, ეს ბოლო შეცვლა დაგვიანებული იყო. უდინელმა ცოტათი გაამწვავა თამაში და უფრო ადრე რომ მისცემოდა შანსი, ვფიქრობთ, "რაღაცის" გამორჩენას შეძლებდა.

ბოლოს კი ბუფონის კიდევ ერთი კომენტარი: "ჩვენ მათ ჰიმნს ვუსტვინეთ, არადა, ერთი წლის წინათ, როცა საფრანგეთში ვითამაშეთ, სტადიონი ტაშით მოგვესალმა, როგორც მსოფლიო ჩემპიონებს. ეს არის სწორედ კულტურა, რაც ჩვენ ნამდვილად გვაკლია".

ისე, კულტურის თაობაზე მასპინძლებსაც ჰქონდათ პრეტენზია. ნამატჩევს, იტალიის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა **ჯანკარლო აბეტემ** საფრანგეთის ნაკრების მწვრთნელი **რაიმონ დომენეკი**, რომელიც დისკვალიფიკაციის გამო მატჩს ტრიბუნიდან ადევნებდა თვალყურს, წესების დარღვევაში ამხილა - აქაოდა, ფრანგების დამრიგებელი დასჯილი იყო, მე კი ის გასახდელში ჩასული ვნახე, რისი უფლებაც არ ჰქონდაო. თუ რა ნახა სინიორ აბეტემ, ეს ერთია, მეორე კი ის გახლავთ, უეფას წარმომადგენელმა თუ დააფიქსირა ასეთი რამ. თუ არა და, სიყალბისთვის ახლა იტალიელებს მოუწევთ პასუხისგება. აი, აბეტეს კომენტარი:

"ჩვენ უნდა დავგმოთ ასეთი საქციელი. მსგავსი რამ სპორტული კულტურის ნაწილად ვერ ჩაითვლება. სირცხვილია, რომ თითქმის ანალოგიური რამ ხდებოდა მოედანზეც. ჩვენი მოთამაშეები მუდმივად პროვოკაციის საფრთხის ქვეშ იყვნენ. მადლობა ღმერთს, არ ავყევით მეტოქეს, თორემ არ ვიცი, რით დასრულდებოდა ეს ყველაფერი".

**შოტლანდია-ლიტვა 3:1**

**შოტლანდია:** გორდონი, ჰატონი, მაკევენლი, მაკმანუსი, უეირი, ბრაუნი, ფლეტჩერი, მაკკალოხი (76. მელოუნი), ტილი (69. მაკფადენი), ბოიდი, ო'კონორი (76. ბიტი).

**ლიტვა:** კარჩემარსკასი, კლიმავიჩუსი, შემბერასი, სკერლა, სტანკევიჩუსი (76. იანკაუსკასი), ჟვირგჟდაუსკასი, დ. ჩესნაუსკისი, კალონასი, მორინასი (47. მიკოლაიუნასი), ველიჩკა (47. კსანავიჩუსი), დანილევიჩუსი.

**გოლები:** 1:0 ბოიდი (31), 1:1 დანილევიჩუსი (61-პენ), 2:1 მაკმანუსი (77), 3:1 მაკფადენი (83)

**მაყურებელი:** 51 349

შოტლანდიის ნაკრებმა ლიტვასთან დაგეგმილი გამარჯვება მოიპოვა. **ალექს მაკლიშის** გუნდისთვის ამ სამ ქულას უდიდესი მნიშვნელობა აქვს. სკოტები მეორე ადგილს ინარჩუნებენ და კარგი განწყობით ჩადიან საფრანგეთში, სადაც ბევრ კითხვას შეიძლება გაეცეს პასუხი. გლაზგოში კი თამაში პრიმიტიული სცენარით წარიმართა: მასპინძლები უტევდნენ, ხოლო სტუმრები თავს იცავდნენ და შიგადაშიგ კონტრდარტყმებს ახორციელებდნენ. თუმცა ვერ ვიტყვით, რომ ამ ხერხით **ალგიმანტას ლუბინსკასის** გუნდს რაიმე ღირებულის გაკეთება შეეძლო. ლიტველთა ერთადერთი მონაგარი 11-მეტრიანია, რომელიც **დანილევიჩუსმა** გამოიყენა. შოტლანდიელებს კი არაერთი საგოლე მომენტი ჰქონდათ და რომ არა მეკარე **კარჩემარსკასის** თავგანწირული გარჯა, ანგარიში გაცილებით დიდი იქნებოდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ევრო 2008. საკვალიფიკაციო მატჩები

# გერმანია მიდის, ინგლისი მოითმენს, ესპანეთი ვეღარ...

**შაბათს**, ევროპაში რამდენიმე საინტერესო დაპირისპირება შედგა, მათ შორის ისეთიც, რომელშიც გრანდების ბედი უნდა გადაწყვეტილიყო. განახევრებულმა ინგლისის ნაკრებმა ღირსეულად ჩააბარა გამოცდა და ისრაელს შანსი არ დაუტოვა. დაგეგმილი გამარჯვება მოიპოვა გერმანიის ნაკრებმაც, რომელმაც, ფაქტობრივად, უკვე გაინაღდა ევრო 2008-ის საგზური. ესპანეთის ეროვნულმა გუნდმა კი, ყოველგვარი გადაჭარბების გარეშე, თავი მოიჭრა. ლუის არაგონესის შეგირდები ისლანდიის სუსტ ნაკრებთან მარცხს ბოლო წუთებში გადაურჩნენ. ესპანეთი, შეიძლება, ჯგუფში ჩარჩეს...

## A ჯგუფი

### სერბეთი–ფინეთი 0:0

**სერბეთი:** სტოიკოვიჩი, დრაგუტინოვიჩი, ივანოვიჩი, რუკავინა, დ. ტოშიჩი (53. ზ. ტოშიჩი), იანკოვიჩი (54. იოვანოვიჩი), კოვაჩევიჩი, კრაშიჩი, კუჟმანოვიჩი, სტანკოვიჩი, ლაზოვიჩი (62. ჟიგიჩი).

**ფინეთი:** იაასკელაინენი, ჰიიპია, კუივასტო, პასანენი, ტიჰინენი, ერიომენკო (74. ფორსელი), ჰეიკინენი, ნურმელა, ტაინიო, იოჰანსონი (78. ვისი), სიოლუნდი.

**მაყურებელი:** 15 000

სერბეთის ნაკრებმა ევრო 2008-ის ფინალურ ეტაპზე მოხვედრის შანსები საგრძნობლად გაიუარესა. მათი ერთადერთი უპირატესობა ახლა ისაა, რომ მეტოქეებზე ერთი მატჩით ნაკლები აქვთ ჩატარებული. გამყარდა ეჭვი, რომ **ხავიერ კლემენტემ**, შეიძლება, პოსტი დატოვოს და ნაკრები **სინიშა მიხაილოვიჩმა** (რომელიც "ინტერში" **რობერტო მანჩინის** ასისტენტად მუშაობს) ჩაიბაროს. ჯერჯერობით, საქმე სწორედ აქეთკენ მიდის.

მატჩს რაც შეეხება, შეიძლება იმის თქმაც, რომ გამარჯვება ფინელებსაც შეეძლოთ, მიუხედავად იმისა, რომ შეხვედრის უდიდესი ნაწილი ალყაში გაატარეს. განსაკუთრებით რთული იყო მათთვის ბოლო წუთები, როცა სერბები პრაქტიკულად არ სცილდებოდნენ მეტოქის საჯარიმოს. კლემენტეს ცვლილებებმაც ვერ უშველა. ბოლო დარტყმა შეასრულა ტანმაღალმა **ჟიგიჩმა**, რომლის თავურმა მიზანს სანტიმეტრებში ჩაუქროლა.

თავის მხრივ, **როი ჰოჯსონის** ბიჭებმა მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადადგეს ფინალური ეტაპის გზაზე. ახლა მათი მთავარი საზრუნავია ჯგუფის ცენტრალური მატჩი, რომელშიც ზეგ ჯგუფის ერთპიროვნულ ლიდერ პოლონეთს უმასპინძლებენ.

### პორტუგალია–პოლონეთი 2:2

**პორტუგალია:** რიკარდო, ბრუნო ალვეში, კანეირა (12. მიგელი), ფერნანდო მეირა, ბოსინგვა, დეკუ, მანიშე, პეტიტი, ნუნუ გომეში (69. კვარეშმა), კრისტიანო რონალდო, სიმაო საბროსა (81. მუტინიო).

**პოლონეთი:** ბორუცი, ბრონოვიცკი (55. გოლანსკი), დუდკა, იოპი, ლევანდოვსკი, ვასილევსკი, ჟევლაკოვი, ბლაჟიკოვსკი, კრჟინოვეკი, სმოლარეკი (73. ლობოძინსკი), ჟურავსკი (56. მატუსიაკი).

**გოლები:** 0:1 ლევანდოვსკი (44), 1:1 მანიშე (50), 2:1 კრისტიანო რონალდო (73), 2:2 კრჟინოვეკი (88)

**მაყურებელი:** 48 000

**ლეო ბეენჰაკერის** ხელში პოლონეთის ნაკრების პროგრესი აშკარაა. ამ გუნდმა მიმდინარე შესარჩევის ორ მატჩში პორტუგალიას 5 ქულა აართვა და მარტო ამისთვის იმსახურებს პირველ ადგილზე გასვლას. **ლუიშ ფელიპე სკოლარიმ** კი, წესით, უკვე განგაშის ზარებს უნდა შემოჰკრას. ბოლო ორ მატჩში ის მაქსიმუმს გეგმავდა, მაგრამ ხელთ მხოლოდ 2 ქულა (გავიხსენოთ ამასწინანდელი ფრე ერევანში, 1:1) შერჩა. ოთხშაბათს, პირენეელებს შინ სერბებთან მოუწევთ ურთიერთობის გარკვევა. სკოლარის უკანდასახევი გზა აღარ აქვს, მხოლოდ გამარჯვება!

...პოლონელებმა ანგარიში პირველი ტაიმის მიწურულს გახსნეს და მეორე ნახევრის ბოლოში გაათანაბრეს. ამათ შორის კი იყო მასპინძელთა გააქტიურება და ორი გოლი. ჯერ **მანიშემ** დაამატა მეკარისგან უკუგდებულ ბურთს, მერე კი მცველებს ამოფარებულმა **კრისტიანო რონალდომ** ბურთი მოულოდნელად გაგზავნა შორეულ მაღალ კუთხეში. თითქოს ისე ჩანდა, რომ პორტუგალიელებმა საქმე მოთავებულად ჩათვალეს. სკოლარიმაც აღარ გარისკა შეტევაში წასვლა და გუნდი ანგარიშის შენარჩუნებაზე გადააწყო. ჰოდა, ისე დაემართა, როგორც თბილისში **ოლეგ ბლოხინს**...

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. პოლონეთი | 10 | 6 | 2 | 2 | 17-9 | 20 |
| 2. ფინეთი | 10 | 5 | 3 | 2 | 11-6 | 18 |
| 3. პორტუგალია | 9 | 4 | 4 | 1 | 18-8 | 16 |
| 4. სერბეთი | 9 | 4 | 3 | 2 | 12-7 | 15 |
| 5. ბელგია | 9 | 3 | 1 | 5 | 8-12 | 10 |
| 6. სომხეთი | 8 | 2 | 2 | 4 | 4-8 | 8 |
| 7. ყაზახეთი | 9 | 1 | 3 | 5 | 6-13 | 6 |
| 8. აზერბაიჯანი | 8 | 1 | 2 | 5 | 4-17 | 5 |

12 სექტემბერი, ოთხშაბათი
სომხეთი-აზერბაიჯანი
ფინეთი-პოლონეთი
ყაზახეთი-ბელგია
პორტუგალია-სერბეთი

## C ჯგუფი

### მოლდოვა–ნორვეგია 0:1

**მოლდოვა:** პაშჩენკო, ეპურეანუ, ლაშჩენკოვი, რებეჟა, ბორდიანი, კომლენოკი, გატკანი (66. სუვოროვი), ოლექსიჩი (78. როგაჩოვი), ზმეუ, ბუგაევი, ფრუნზა.

**ნორვეგია:** ოპდალი, ჰანგელანდი, ველერი (66. რიზეტი), ანდერსენი, გრინდჰეიმი, პედერსენი, ი. რიისე, ბ. რიისე, სტორბეკი, კარუ, ივერსენი (68. ჰელსტადი).

**გოლი:** 0:1 ივერსენი (47)

**მაყურებელი:** 15 000

ნორვეგიელებს უთუოდ ემახსოვრებოდათ კიშინიოვის ის შეხვედრა, რომელიც 2005 წლის შემოდგომაზე გაიმართა. მაშინ, 2 ქულის დაკარგვამ გუნდს, ფაქტობრივად, მსოფლიო ჩემპიონატის საგზური წაართვა. ახლა მსგავსი გულგრილობა დაუშვებელი იყო. ნორვეგიის ეროვნული გუნდი აშკარად აღმავლობის გზაზეა და ამ ჯგუფიდან ავსტრია-შვეიცარიაში გამგზავრების სერიოზული კანდიდატიც გახლავთ...

პირველი ტაიმი მოლდოველებისა იყო, მეორეში კი სკანდინავიური ნაკრები დომინირებდა. ამის წინაპირობა კი გახდა ვეტერან **ივერსენის** მიერ შეხვედრის განახლებისთანავე გატანილი თავური, რომელიც ერთადერთი აღმოჩნდა. თუმცა მატჩის ბოლოს მასპინძელს ქულის გადარჩენა შეეძლო. მეკარე **ოპდალმა** ჯერ სასწაულით აილო **ლაშჩენკოვის** შორეული დარტყმა, მერე კი **ფრუნზამ** ბურთი ხარიხას მოარტყა.

### მალტა–თურქეთი 2:2

**მალტა:** ჰაბერი, აზოპარდი, ბრიფა (88. სამუტი), დიმეში, საიდი, შიკლუნა, აგიუსი, პეისი, მიფსუდი, შემბრი (90. სკერი), ვუდსი (83. მალია).

**თურქეთი:** ჰაქან არიქანი, ჰამით ალთინთოფი, სერვეთი, იბრაჰიმ თორამანი, ემრე, საბრი (52. გიოქდენიზი), არდა (30. აიჰანი), იბრაჰიმ უზულმეზი, ჰალილ ალთინთოფი, თუნჯაი (66. დენიზი), ჰაქან შუქური.

**გოლები:** 1:0 საიდი (41), 1:1 ჰალილ ალთინთოფი (45), 2:1 შემბრი (76), 2:2 სერვეთი (78)

**მაყურებელი:** 18 000

ჩეხი სპეციალისტის **დუშან ფიტცელის** ხელში მალტის ნაკრები თამაშიდან თამაშამდე უმატებს. აგერ, შაბათს, კუნძულელებმა უმნიშვნელოვანესი ქულები დაატოვებინეს თურქეთის ეროვნულ გუნდს, რომელმაც ჯგუფიდან გასვლა კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენა. **ფათიჰ თერიმის** სამწყსოს ღირსება შეუნარჩუნა **სერვეთ ჩეთინმა**, რომელმაც მალტელთა წამიერი მოდუნებით ისარგებლა და ანგარიში გაათანაბრა. ნამატჩევს, თურქთა ბოსი სწუხდა - ამხელა უპირატესობა გვქონდა და აფსუს, მხოლოდ ფრეს დავჯერდითო. აღსანიშნავია, რომ თურქებმა ზედიზედ მესამე შეხვედრა ვერ მოიგეს.

### უნგრეთი–ბოსნია 1:0

**უნგრეთი:** ფულოპი, იუჰაში, შელეში, ვანჩაკი, ვაშკო, ტოშერი, ვასი, ჯუჯაკი (90. ჰალმოში), ფეცეშინი (89. ფილკორი), გერა, ჰაინალი (72. ჩიჟმადია).

**ბოსნია:** გუშო, ბაიჩი, ბერბეროვიჩი, რადელიჩი, ჰრგოვიჩი (84. კუსტოვიჩი), მალეტიჩი (79. ბოჟიჩი), მისიმოვიჩი, რაჰიმიჩი, ბლატნიაკი, იბიშევიჩი (67. ჯეკო), მუსლიმოვიჩი.

**გოლი:** 1:0 გერა (39-პენ)

**მაყურებელი:** 10 000

უნგრეთის ნაკრების მთავარი ამოცანა თუ ისაა, რომ ბოსნიას მეოთხე ადგილი ჩამოართვას და სამომავლოდ კოეფიციენტი გაიუმჯობესოს, მაშინ ჩავთვალოთ, რომ **პეტერ ვარხიდის** გუნდმა არა მხოლოდ ლოკალური ამოცანა შეასრულა, არამედ მომავლისთვისაც გადადგა საჭირო ნაბიჯი. მაგრამ აქვე ისიც ვთქვათ, რომ მეკარე **ფულოპის** სანაქებო თამაშმა მასპინძელს დიდი სამსახური გაუწია.

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. საბერძნეთი | 7 | 6 | 0 | 1 | 12-5 | 18 |
| 2. ნორვეგია | 8 | 5 | 1 | 2 | 18-6 | 16 |
| 3. თურქეთი | 7 | 4 | 2 | 1 | 18-8 | 14 |
| 4. ბოსნია | 8 | 4 | 1 | 3 | 14-15 | 13 |
| 5. უნგრეთი | 8 | 3 | 0 | 5 | 8-14 | 9 |
| 6. მალტა | 8 | 1 | 2 | 5 | 7-17 | 5 |
| 7. მოლდოვა | 8 | 0 | 2 | 6 | 4-16 | 2 |

12 სექტემბერი, ოთხშაბათი
ნორვეგია-საბერძნეთი
თურქეთი-უნგრეთი
ბოსნია-მოლდოვა

## D ჯგუფი

### უელსი–გერმანია 0:2

**უელსი:** ჰენესი, ბეილი, კოლინზი, გაბიდონი, ნიატანგა, რიკეტსი, დეივისი (79. კროფტსი), კუმასი (67. ფლეტჩერი), ლედლი (46. ერნშოუ), რობინსონი, ისტვუდი.

**გერმანია:** ლემანი, ა. ფრიდრიხი, იანსენი, მერტეზაკერი, მეტცელდერი, პანდერი (46. ტროხოვსკი), ჰილბერტი, ჰიტცლშპერგერი, შვაინშტაიგერი, კლოზე (87. ჰელმესი), კურანი (72. პოდოლსკი).

**გოლები:** 0:1 კლოზე (5), 0:2 კლოზე (60)

**მაყურებელი:** 25 000

ისე ჩანს, რომ **იოახიმ ლიოვის** გუნდისთვის გადაუჭრელი პრობლემა არ არსებობს. კარდიფის მატჩის წინ ბუნდესგუნდი მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა. ლიოვს ოთხი პირველხარისხოვანი ნახევარმცველი გამოაკლდა. მწვრთნელი იძულებული გახდა, სერიოზული გადაადგილებები გაეკეთებინა. მაგრამ ნათქვამია, ზოგი ჭირი მარგებელიაო. მაგალითად, **ბერნდ შნაიდერის** არყოფნაში გარკვეული საერთაშორისო გამოცდილება მიიღო **ჰილბერტმა**, რომელმაც მეორე გოლში დაიდო წილი. ის მარჯვენა ფლანგზე გაიჭრა და ზედ პირითი ხაზიდან ბურთი თავზე დაასვა კაპიტან **კლოზეს**, რომელსაც ასეთ დროს არაფერი ეშლება ხოლმე. რაც შეეხება პირველ გოლს, მირომ ის **კურანის** დახმარებით, თამაშის დებიუტშივე შეაგდო. "შალკეს" ფორვარდმა დროულად შენიშნა პარტნიორის მანევრი და მეკარის პირისპირ დატოვა. დამაგვირგვინებელი დარტყმა ამჯერზეც უზადო იყო.

მეორე გოლი, პრაქტიკულად, უელსის ნაკრების კაპიტულაციას მოასწავებდა. თუმცა გადაჭარბებული იქნება იმის თქმა, თითქოს ბრიტანელებს მანამდე რაიმე შანსი ჰქონდათ. "მანშაფტმა" პირველივე წუთიდან ხელთ იგდო ინიციატივა და **რაიან გიგზის** გარეშე დარჩენილ უელსს მოედნის ერთი მტკაველიც არ დაუთმო.

გერმანიის ნაკრების უახლოესი მეტოქე ირლანდიაა (13 ოქტომბერს, დუბლინში). გამარჯვების შემთხვევაში, ლიოვი და კომპანია ევრო 2008-ის საგზურს ინაღდებს. ჩვენ კი ვფიქრობთ, რომ დროა, გერმანელებმა ავსტრია-შვეიცარიაში გასამგზავრებელი ბილეთები დღეიდანვე დაჯავშნონ.

### სლოვაკეთი–ირლანდია 2:2

**სლოვაკეთი:** შენეცი, ჩეხი, დურიცა, გრეშკო, კლიმპლი, ჰამსიკი, კრაიჩიკი, მინტალი, საპარა (71. სებო), ჰოლოშკო, შეშტაკი (65. ობჟერა).

**ირლანდია:** გივენი, დანი, კელი, მაკშეინი, ო'ში, კარსლი, აილენდი (76. დუგლასი), კილბეინი, მაკგიდი (61. ჯიბსონი), დოილი (89. მერფი), კინი.

**გოლები:** 0:1 აილენდი (7), 1:1 კლიმპლი (37), 1:2 დოილი (57), 2:2 ჩეხი (90)

**მაყურებელი:** 12 360

სლოვაკეთის ნაკრებს ჯგუფიდან გასვლაზე უარის თქმა მოუწევს. ასეთია შედეგი ბრატისლავური მატჩისა, რომელმაც ბოლოს დრამატული ხასიათი მიიღო. **მარეკ ჩეხის** შორეული ყუმბარისებური დარტყმა **გივენისთვის** აუღებელი აღმოჩნდა და სლოვაკეთმა პრესტიჟი გადაირჩინა. სხვათა შორის, ანალოგიური ეფექტით გამოირჩა ირლანდიელი **დოილის** გოლიც - 25 მეტრიდან დარტყმულმა "ცხრიანი" გაარღვია. მთლიანობაში კი, მატჩი თანაბარი იყო და მოგება ორივე გუნდს შეეძლო.



უელსი-გერმანია. კლოზემ ერთი გოლი კურანის პასით გაიტანა

ამ შედეგით კი ირლანდია ხეირობს, თუმც ჯერ ჩეხეთთან აქვს ურთიერთობა გასარკვევი. მეორე საგზურის მფლობელზე უფრო მეტს გავიგებთ ოთხშაბათს, პრაღაში ამ გუნდების უშუალო დაპირისპირების შემდეგ.

### სან მარინო–ჩეხეთი 0:3

**სან მარინო:** ა. სიმონჩინი, ჯან. ბოლინი (85. მარიოტი), დელა ვალე, დ. სიმონჩინი, ვალენტინი, ვანუჩი, ჯოვ. ბოლინი, ფ. ბოლინი (58. ანდრეინი), ბული (67. ვიტაიოლი), მარანი, სელვა.

**ჩეხეთი:** ჩეხი, იანკულოვსკი, კოვაჩი, როზენალი, უიფალუში, გალაშეკი (82. პლაშილი), იაროლიმი (69. პოლაკი), როსიცკი, ფენინი, კოლერი, კულიჩი (56. ვლჩეკი).

**გოლები:** 0:1 როსიცკი (33), 0:2 იანკულოვსკი (75), 0:3 კოლერი (90)

**გაძევება:** დელა ვალე (64. სან მარინო)

**მაყურებელი:** 3 412

ჩეხეთის ნაკრებმა გაჭირვებით მოუგო სან მარინოს, რომელმაც თითქმის ბოლო ნახევარი საათი 10 კაცით გაატარა. **იანკულოვსკიმ** და **კოლერმა** სწორედ ამის შემდეგ შეყარეს ორი გოლი.

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. გერმანია | 8 | 7 | 1 | 0 | 31-4 | 22 |
| 2. ჩეხეთი | 8 | 5 | 2 | 1 | 18-4 | 17 |
| 3. ირლანდია | 8 | 4 | 2 | 2 | 14-10 | 14 |
| 4. სლოვაკეთი | 8 | 3 | 1 | 4 | 18-15 | 10 |
| 5. უელსი | 7 | 2 | 1 | 4 | 8-11 | 7 |
| 6. კვიპროსი | 7 | 2 | 1 | 4 | 10-16 | 7 |
| 7. სან მარინო | 8 | 0 | 0 | 8 | 1-40 | 0 |

12 სექტემბერი, ოთხშაბათი
ჩეხეთი-ირლანდია
სლოვაკეთი-უელსი
კვიპროსი-სან მარინო

## E ჯგუფი

### ინგლისი–ისრაელი 3:0

**ინგლისი:** რობინსონი, ე. კოული, ფერდინანდი, რიჩარდსი, ტერი, ბერი, ჯ. კოული, ჯერარდი (71. ფ. ნევილი), რაიტ-ფილიპსი (83. ბენტლი), ჰესკი (71. ჯონსონი), ოუენი.

**ისრაელი:** ავატი, ბენ-ჰაიმი, ბენადო (57. გოლანი), გერშონი, შპუნგინი, ზივი, ბადირი, ბენაიუნი, ტალი, იცხაკი (46. თამუზი), კატანი (73. ზანდბერგი).

**გოლები:** 1:0 რაიტ-ფილიპსი (20), 2:0 ოუენი (49), 3:0 რიჩარდსი (66)

**მაყურებელი:** 85 372

**მაიკლ ოუენმა** სანაკრებო კარიერაში ერთ-ერთი ულამაზესი გოლი შეაგდო. ინგლისმა დამაჯერებლად მოიგო და სატურნირო მდგომარეობა გამოისწორა. ეს იყო ოუენის 38-ე გოლი ეროვნული გუნდის მაისურით. იქამდე **შონ რაიტ-ფილიპსმა** გახსნა ანგარიში. თამაშს წერტილი **მიკა რიჩარდსმა** დაუსვა. ინგლისმა ახალ "უემბლიზე" პირველ გამარჯვებას გაუსინჯა გემო. ოთხშაბათს იმავე სტადიონზე კიდევ ერთი პრინციპულია მატჩია - რუსეთთან. მასპინძლებს საკუთარი თავისა სჯერათ. **სტივ მაკლარენმა** თქვა: "*თამაშითაც კმაყოფილი ვარ და შედეგითაც. მთავარია, ეს ყველაფერი ოთხშაბათის შეხვედრაში გავიმეოროთ. ფანები შესანიშნავნი იყვნენ. ისინი გუნდს მხარში ამოუდგნენ და მოდუნების საშუალება არ მიუციათ. ოთხშაბათს მათი მხარდაჭერაც დაგვჭირდება... შონ რაიტ-ფილიპსი დიდი წნეხის ქვეშ იყო. გასულ სეზონში მისი თამაშით უკმაყოფილონი ვიყავით, მაგრამ დღეს მინდორზე სულ სხვა შონი ვიხილეთ. ოუენის გოლის აღსაწერად სიტყვები არ მეყოფა...*"

ინგლისელთა ძირითად შემადგენლობაში სიურპრიზები არ ყოფილა. **ოუენ ჰარგრივსმა** გამოჯანმრთელება ვერ მოასწრო. მისი ადგილი ასტონვილელმა **გარეთ ბერიმ** დაიკავა (მან ძირითადში 2000 წლის შემდეგ პირველად ითამაშა). ხანგრძლივი პაუზის შემდეგ ინგლისელთა თავდასხმაში კვლავ **მაიკლ ოუენისა** და **ემილ ჰესკის** დუეტი ვიხილეთ. ჰესკი ნაკრებს სამწლიანი პაუზის შემდეგ დაუბრუნდა. ის უკანდახეულ ფორვარდად თამაშობდა და კარგად ახერხებდა ბურთის დაჭერას. როცა ემილს გოლის გატანის საშუალება მიეცა, 12 იარდიდან კარს გვარიანად ააცილა. ჰესკი ბომბარდირი არასოდეს ყოფილა. აკი 43 სანაკრებო მატჩშიც მხოლოდ 5 გოლი მოეპოვება.

ინგლისმა თამაში აქტიურად დაიწყო. ისრაელს დაცვაში პრობლემები ჰქონდა. მის საჯარიმოში ჩაკიდებული ყველა ბურთი პანიკას იწვევდა. ანგარიში მე-20 წუთზე გაიხსნა. იერიში **სტივ ჯერარდმა** წამოიწყო. "ლივერპულის" კაპიტანმა **ეშლი კოულს** ფლანგზე გრძელი გადაცემა გაუკეთა. ეშლიმ **ჯო კოულს** უკან გაუგორა ბურთი. ჯომ მეკარის მოედნის კიდეზე რაიტ-ფილიპსი მოძებნა. მას კი **დუდუ ავათის** დამწუხრება არ გასჭირვებია. ტაიმის მიწურულს ინგლისს მეორე გოლიც უნდა გაეტანა. ოუენს ორი მომენტი ჰქონდა, მაგრამ პირველად ავათმა აუღო, მეორედ კი კარს გვარიანად ააცილა.

მეორე ნახევარში ისრაელმა ნიგერიული წარმომავლობის ფორვარდი **ტოტო თამუზი** გამოიყვანა. ამ ბიჭმა თელ ავივის მატჩისას ინგლისელები გვარიანად ანერვიულა. მაგრამ "უემბლიზე" ვერაფერს გახდა. მეორე ნახევარი ხუთი წუთის დაწყებული იყო, როცა ოუენმა ანგარიში ორამდე გაზარდა. მან **გარეთ ბერის** პასი საჯარიმოს კიდეზე მიიღო და შეუჩერებლად მაღალ კუთხეში გაიტანა. ბერიმ კიდევ ერთი საგოლე პასი

# ევრო 2008. საკვალიფიკაციო მატჩები

მიითვალა. 67-ე წუთზე ბირმინგემელმა ნახევარმცველმა კუთხური მოაწოდა, რიჩარდსი ყველაზე მაღლა ახტა და ძლიერი თავურით საბოლოო ანგარიში დააფიქსირა. რიჩარდსი დაცვის მარჯვენა ფლანგზე ისეთი საიმედო იყო, რომ დაშავებულ **გარი ნევილს**, შეიძლება, სანაკრებო კარიერის დასრულება მოუხდეს. მაკლარენი: *"ძალიან მნიშვნელოვანი სამი ქულა მოვიპოვეთ. გოლების ბალანსიც დამაკმაყოფილებელი გვაქვს. დარწმუნებული ვარ, რუსები ამ თამაშის ვიდეოჩანაწერს ნახავენ და "უემბლიზე" სათანადო განწყობით გვესტუმრებიან... ჰესკიმ ბევრი იშრომა. ის ქმნის სივრცეს, თავდამსხმელებს შეტევას უადვილებს, ხოლო მეტოქის მცველებს მუდამ წნეხის ქვეშ ამყოფებს..."*

## რუსეთი–მაკედონია 3:0

**რუსეთი:** გაბულოვი, ა. ბერეზუცკი, ა. ბერეზუცკი, იგნაშევიჩი, ბილიალეტდინოვი, ბისტროვი (89. ანიუკოვი), სემშოვი, ზურიანოვი, არშავინი, პავლიუჩენკო (66. კერჟაკოვი), სიჩოვი (70. მალაფეევი).

**მაკედონია:** მილოშევსკი, ლაზარევსკი, ი. მიტრესკი, პოპოვი, სედლოსკი, ა. მიტრესკი (46. ტრაიანოვი), შუმულიკოვსკი, ტაშევსკი, ვასოვსკი (88. ტოლესკი), პანდევი, სტოიკოვი (46. მაჟნოვი).

**გოლები:** 1:0 ვ. ბერეზუცკი (8), 2:0 არშავინი (84), 3:0 კერჟაკოვი (88)

**გამოუყენებელი პენალტი:** ი. მიტრესკი (72. მაკედონია)

**გაძევება:** გაბულოვი (70. რუსეთი)

**მაყურებელი:** 26 000

რუსეთმა მაკედონიას დიდი ანგარიშით მოუგო, მაგრამ თამაში საკმაოდ რთული გამოვიდა. რუსები სათადარიგო მეკარე **ვიაჩესლავ მალაფეევს** უნდა უმადლოდნენ. 70-ე წუთზე, როცა ანგარიში 1:0 იყო, მან **იგორ მიტრესკის** 11-მეტრიანი მოიგერია. პენალტამდე ერთი წუთით ადრე არბიტრმა წითელი ბარათი აუფრიალა მასპინძელთა ძირითად მეკარე **ვლადიმირ გაბულოვს**. მან მეტოქის თავდამსხმელი **ველიჩე სუმულიკოსკი** საკუთარ საჯარიმოში წააქცია. მასპინძლებმა ანგარიში მეხუთე წუთზე გახსნეს. **ანდრეი არშავინის** საჯარიმოს **ვასილი ბერეზუცკი** გამოეხმაურა, 1:0. შესვენებამდე რუსებს მეორე გოლის გატანაც შეეძლოთ. ჯერ **ვლადიმირ ბისტროვმა** მახვილი კუთხიდან ააცილა, შემდეგ კი მეკარე **პეტარ მილოშევსკიმ დმიტრი სიჩოვს** აუღო. სიჩოვმა მეორე ტაიმის დასაწყისში კიდევ ერთი საუცხოო მომენტი ვერ გამოიყენა. მან ხუთი მეტრიდან ააცილა. მომდევნო იერიშისას **რომან პავლიუჩენკომ** ძელი შეაზანზარა. ამას პენალტის დრამატული ეპიზოდი მოჰყვა. ათი კაცით დარჩენილმა რუსებმა ძალები მოიკრიბეს და თამაშის მიწურულს ზედიზედ ორჯერ დაამწუხრეს მეტოქე. 83-ე წუთზე **ანდრეი არშავინმა** სოლო-რეიდი მოაწყო და გაიტანა, 89-ე წუთზე კი შეცვლაზე შესულმა **ალექსანდრ კერჟაკოვმა** თამაშს წერტილი დაუსვა. ამ გამარჯვებით რუსეთი მეორე ადგილზე გადავიდა. ნამატჩევს გუნდის თავკაცმა **გუუს ჰიდინკმა** თქვა: *"ფეხბურთში არსებობს დაუწერელი კანონი: თუ უპირატესობას გოლებში არ გამოსახავ, აუცილებლად დაისჯები. დღეს ამ სასჯელს გადავურჩით. მადლობა მალაფეევს, რომელმაც თამაში ჩვენს სასარგებლოდ შემოატრიალა..."*

## ხორვატია–ესტონეთი 2:0

**ხორვატია:** პლეტიკოშა, კორლუკა, რ. კოვაჩი, შიმიჩი, შიმუნიჩი, ნ. კოვაჩი, კრანჩარი (60. რაკიტიჩი), მოდრიჩი, სრნა (82. ბაბიჩი), ედუარდო, პეტრიჩი (70. ოლიჩი).

**ესტონეთი:** ლონდაკი, ალასი, კრუგლოვი, პიიროია, როობა (84. ანისტე), სტეპანოვი, დმიტრიევი, ლინდპერე (90. რეიმი), რანი, კინკი (80. სააგი), ოპერი.

**გოლები:** 1:0 ედუარდო (39), 2:0 ედუარდო (45)

**გამოუყენებელი პენალტი:** სრნა (6. ხორვატია)

**მაყურებელი:** 20 000

ლონდონის "არსენალის" თავდამსხმელმა **ედუარდო და სილვამ** ესტონეთს ორი გოლი გაუტანა. ხორვატებმა მისი წყალობით დაგეგმილი სამი ქულა მოიპოვეს და ცხრილის სათავეში პოზიციები განიმტკიცეს. მასპინძლებს კიდევ ერთი გოლის გატანა მართებდათ. მეექვსე წუთზე და ხილვა მეტოქის საჯარიმოში წააქციეს. პენალტის შესრულება **დარიო სრნამ** ითავა, მაგრამ ბურთი ძელს გაარტყა. ხორვატთა ბრაზილიელმა ვარსკვლავმა 39-ე წუთზე მაკრატელა დარტყმით გახსნა ანგარიში. მერე კი **ლუკა მოდრიჩის** გადაცემით ისარგებლა და თავისი გუნდის უპირატესობა გაზარდა. ხორვატების თავკაცი **სლავენ ბილიჩი** მიიჩნევს, რომ შესარჩევ ჯგუფში ყველაფერი ბოლო მატჩებში გადაწყდება: *"ჩვენ თითქოს ფორმულა ერთის გუნდი ვართ. დღეს გავიმარჯვეთ და მეტოქეებს რამდენიმე წამით გავასწარით, მაგრამ სიფრთხილე გვმართებს, რომ ფატალური შეცდომები არ მოგვივიდეს."* ოთხშაბათს ხორვატები ანდორას ეთამაშებიან და აქტივს, ალბათ, მორიგ სამ ქულას შემატებენ. ჯერჯერობით კი უახლოეს მდევარ რუსეთს ორი ქულით აღემატებიან.

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ხორვატია | 8 | 6 | 2 | 0 | 18-4 | 20 |
| 2. რუსეთი | 8 | 5 | 3 | 0 | 14-1 | 18 |
| 3. ინგლისი | 8 | 5 | 2 | 1 | 15-2 | 17 |
| 4. ისრაელი | 9 | 5 | 2 | 2 | 17-10 | 17 |
| 5. მაკედონია | 8 | 2 | 1 | 5 | 6-10 | 7 |
| 6. ესტონეთი | 9 | 1 | 0 | 8 | 2-17 | 3 |
| 7. ანდორა | 8 | 0 | 0 | 8 | 2-30 | 0 |

12 სექტემბერი, ოთხშაბათი
ანდორა-ხორვატია
მაკედონია-ესტონეთი
ინგლისი-რუსეთი

## F ჯგუფი

## ისლანდია–ესპანეთი 1:1

**ისლანდია:** არასონი, ჰრეიდარსონი, ინგიმარსონი, რ. სიგურდსონი, კ. სიგურდსონი, სტეინსონი, ვიდარსონი (69. სკულასონი), არნასონი, გუდიონსონი (79. ადალსტეინსონი), ჰალფრედსონი, ტორვალდსონი (88. ბიონსონი).

**ესპანეთი:** კასილიასი, ხუანიტო, მარჩენა, პერნია (26. ალბელდა), რამოსი, ჩაბი ალონსო, ჩავი, ხოაკინი (69. ლუის გარსია), დავიდ სილვა, ტორესი (57. ინიესტა), ვილია.

**გოლები:** 1:0 ჰალფრედსონი (40), 1:1 ინიესტა (86)

**გაძევება:** ჩაბი ალონსო (20. ესპანეთი)

**მაყურებელი:** 9 483

ესპანეთი ისლანდიასთან სენსაციურ წაგებას გადაურჩა. **ანდრეს ინიესტამ** ანგარიში თამაშის დასრულებამდე ოთხი წუთით ადრე გაათანაბრა. სტუმრები მე-19 წუთის შემდეგ ათი კაცით ასპარეზობდნენ. მათ **ჩაბი ალონსო** გაუძევეს. ისლანდიამ გოლი პირველსავე ტაიმში შეაგდო. ესპანელთა დაცვამ ვერაფერი მოუხერხა ათლეტური აღნაგობის თავდამსხმელ **ემილ ჰალფრედსონს**, რომელმაც თავით გაიტანა. რვა თამაშის შემდეგ ესპანელებს 16 ქულა აქვთ და მესამე ადგილი უკავიათ. ამდენივე ქულა აქვს მეორეადგილოსან ჩრდილო ირლანდიასაც. ლიდერმა შვედეთმა კი სამი ქულით მეტი დააგროვა. ნამატჩევს ესპანელთა თავკაცმა **ლუის არაგონესმა** განაცხადა: *"ათი კაცით თამაში ძალიან ძნელი იყო, მაგრამ ბევრი ვიშრომეთ და ერთი ქულა მაინც მოვიპოვეთ. ვფიქრობ, უფრო მეტსაც ვიმსახურებდით."*

ესპანელებმა აქტიურად დაიწყეს. ისლანდიელთა კართან პირველი სახიფათო მომენტი მე-4 წუთზე შეიქმნა. **დავიდ ვილიამ** საჯარიმო დაბალ კუთხეში დასცხო. მეკარე **არასონმა** ბურთი კუთხურზე მოიგერია. ისლანდიელებს აქცენტი ფიზიკურ ორთაბრძოლებზე გადაიტანეს. ისინი უკეთესი ფიზიკური მონაცემებით ცდილობდნენ ფონს გასვლას. ესპანელებმა საკუთარ თამაში მალევე დაკარგეს. მე-19 წუთზე კი ერთი ფეხბურთელიც გამოაკლდათ. ლივერპულელი **ჩაბი ალონსო არნარ ვიდარსონს** ეუხეშა და მაშინვე წითელი ბარათი აუფრიალეს. ორ წუთში ისლანდიამ მეტოქეს პირველად შეუტია. **იოჰანეს გუდიონსონის** დარტყმამ ძელს სანტიმეტრებში ჩაუქროლა. არაგონესმა ტაქტიკური შეცვლა გააკეთა: მან ცენტრალური მცველი ნახევარმცველით შეცვალა. მართალია, ამით ესპანელთა შემტევი პოტენციალი გაძლიერდა, მაგრამ დაცვა დასუსტდა. მასპინძლებმა კარგად გამოიყენეს მეტოქის უკანა ხაზში გაჩენილი სივრცეები და გოლიც გაიტანეს: გუდიონსონმა მარჯვენა ფლანგიდან საჯარიმოში ჩააწოდა. იქ კი ჰალფრედსონმა ყველას დაასწრო.

ესპანელებს ბოლო ოთხი შესარჩევი მატჩი მოგებული ჰქონდათ. რიცხობრივი უმცირესობის მიუხედავად, მეორე ტაიმში ისინი სრულ ტერიტორიულ უპირატესობას დაეუფლნენ. ისლანდიელებმა კონტრშეტევები აირჩიეს. **იკერ კასილიასმა გუნარ ჰეიდან ტორვალდსონის** სახიფათო იერიში მოიგერია. თამაშის დასასრულს უახლოვდებოდა. ამ დროს ვილიამ ინიესტა დასარტყამ პოზიციაზე გაიყვანა. ბარსელონელ ნახევარმცველს მეკარესთან დუელის მოგება არ გასჭირვებია, 1:1. სხვათა შორის, ინიესტამ ისლანდიელებს საშინაო მატჩის დროსაც ბოლო წუთებზე გაუტანა. მალიორკაში გამართული ის შეხვედრა ესპანელებმა მინიმალური ანგარიშით დაასრულეს...

## შვედეთი–დანია 0:0

**შვედეთი:** ისაკსონი, ედმანი, ჰანსონი, მელბერგი, ნილსონი, ალექსანდერსონი, ლინდეროთი, ა. სვენსონი (69. კალსტრიომი), ვილჰელმსონი (57. ბაქიროღლუ), ელმანდერი, იბრაჰიმოვიჩი (89. პრიცა).

**დანია:** სორენსენი, აგერი, ანდრეასენი (81. ლოვენკრანდსი), ჰელვეგი, ნ. იანსენი, ლაურსენი, დ. იანსენი, კალენბერგი (54. ბენდტნერი), რომედალი, გრონკიაერი, ტომასონი (90. გრავგაარდი).

**მაყურებელი:** 33 082

შვედეთი და დანია უგოლო ფრეს დასჯერდნენ. ეს თამაში რადიკალურად განსხვავებული იყო თრილერისაგან, რომელიც 2 ივნისს კოპენჰაგენში გათამაშდა. მართალია, შვედებს რამდენიმე მომენტი ჰქონდათ, მაგრამ **ტომას სორენსენს** ვერაფერი დააკლეს. დანიელთა მეკარემ **იოჰან ელმანდერის, კრისტიან ვილჰელმსონისა** და **კენედი ბაკირჩოღლუს** სახიფათო იერიშები მოიგერია. პირველი ტაიმის მიწურულს გოლის გატანა შეეძლო **ზლატან იბრაჰიმოვიჩსაც**. მისი დარტყმა კარს ოდნავ ასცდა. ზლატანმა მეტოქის ნახევარმცველ **იესპერ გრონკიაერს** ხელი უთავაზა, რისთვისაც ყვითელი ბარათი მიიღო. იბრაჰიმოვიჩმა ერთმატჩიან ლისკვალიფიკაციასაც გამოჰკრა ხელი. ამიტომ ლიხტენშტაინთან მომდევნო შესარჩევ მატჩს გამოტოვებს. შვედეთმა რვა მატჩის შემდეგ 19 ქულას მოუყარეს თავი. დანიას შვიდი თამაშიდან მხოლოდ 11 ქულა აქვს...

## ლატვია–ჩრ. ირლანდია 1:0

**ლატვია:** ვანინსი, გორკსი, ივანოვსი, კლავა, ზირნისი, ასტაფიევსი, ბლეიდელისი, ლაიზანსი, რუბინსი, კარლსონსი (72. რიმკუსი), ვერპაკოვსკისი (90. ბლანკსი).

**ჩრ. ირლანდია:** ტეილორი, ბეირდი, დაფი, ევანსი, მაკკარტნი, კლინგენი, დევისი, ელიოტი (66. ბრენტი), გილესპი, ჰილი, ლეფერტი (72. ფინი).

**გოლი:** 1:0 ბეირდი (56-საკ. კარში)

**მაყურებელი:** 7 500

F ჯგუფის კიდევ ერთმა, მოულოდნელმა ფავორიტმა ჩრდილოეთმა ირლანდიამ რიგაში მინიმალური ანგარიშით წააგო. მარცხი მით უფრო გულდასაწყვეტია, რომ ერთადერთი გოლი კაპიტანმა **კრის ბეირდმა** საკუთარ კარში გაიტანა. თუ ირლანდიელებს ჯგუფიდან გასვლა სურთ, ოთხშაბათს ისლანდიასთან აუცილებლად უნდა მოუგონ. თამაშის წინ მთავარმა მწვრთნელმა **ნაიჯელ უორთინგტონმა** რამდენიმე საკამათო გადაწყვეტილება მიიღო: მან ძირითადის სამი ფეხბურთელი სკამზე დასვა. ამათგან ყველაზე მოულოდნელი ნახევარმცველ **სტივ კრეიგანის** ძირითადიდან ამოგდება გახლდათ. მას ნაკრების ბოლო 18 შეხვედრა შეუცვლელად ჰქონდა ჩატარებული. მატჩის ერთადერთი გოლი 56 წუთზე გავიდა. ირლანდიელთა კუთხურს ლატვიელების სწრაფი კონტრიერიში მოჰყვა. **ანდრეი რუბინსმა** მეურვეს გაასწრო და ფლანგზე **მარის ვერპაკოვსკისს** გადააწოდა. ამ უკანასკნელმა ბურთი საჯარიმოში ჩაჰკიდა, ბეირდმა კი ის საკუთარ კარში ჩაჭრა. იმასაც გეტყვით, რომ თამაშის წინა დღეს ლატვიის პოლიციამ ექვსი სტუმარი ფანი დააპატიმრა. მათ რიგის ცენტრში ლატვიელ ფანებთან ჩხუბი ატეხეს.

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. შვედეთი | 8 | 6 | 1 | 1 | 17-4 | 19 |
| 2. ჩრ. ირლანდია | 8 | 5 | 1 | 2 | 13-9 | 16 |
| 3. ესპანეთი | 8 | 5 | 1 | 2 | 14-7 | 16 |
| 4. დანია | 7 | 3 | 2 | 2 | 9-5 | 11 |
| 5. ლატვია | 7 | 2 | 0 | 5 | 5-7 | 6 |
| 6. ისლანდია | 8 | 1 | 2 | 5 | 6-16 | 5 |
| 7. ლიხტენშტაინი | 8 | 1 | 1 | 6 | 5-21 | 4 |

12 სექტემბერი, ოთხშაბათი
ისლანდია-ჩრ. ირლანდია
ესპანეთი-ლატვია
დანია-ლიხტენშტაინი

## G ჯგუფი

## ჰოლანდია–ბულგარეთი 2:0

**ჰოლანდია:** ვან დერ სარი, ბუმა, ჰეიტინგა, მატიისენი, მელხიოტი (57. ბულარუზი), ვან ბრონკჰორსტი, დე ზეეუვი (81. დე იონგი), სნეიდერი (73. ზეედორფი), ბაბელი, ვან ნისტელროი, ვან პერსი.

**ბულგარეთი:** ივანკოვი, ანგელოვი, ტომაზიჩი, ტუნჩევი, ლუსიო ვაგნერი (78. იანკოვი), კიშიშევი, პეევი (60. პოპოვი), ს. პეტროვი, ტელკიისკი (68. დიმიტროვი), ბერბატოვი, მ. პეტროვი.

**გოლები:** 1:0 სნეიდერი (22), 2:0 ვან ნისტელროი (58)

**მაყურებელი:** 51 000

ჰოლანდიის ნაკრებმა ბულგარეთს მნიშვნელოვანი მატჩი მოუგო და ეს "რეალის" ფეხბურთელთა გოლებით გააკეთა. ბრწყინვალე ფორმაშია ნახევარმცველი **სნეიდერი**, რომელიც მადრიდში გადასვლის დღიდან მოედანს უგოლოდ არ ტოვებს. **ვან ნისტელროისგან** კი ეს ნამდვილად არაა გასაკვირი. რუუდმა უნდა დაუმტკიცოს **მარკო ვან ბასტენს**, რომ ჩამოსაწერი არ არის. ვგონებთ, მან ეს უკვე შეძლო. შარშანდელი მუნდიალის შემდეგ, ამსტერდამული დაპირისპირება მისი პირველი სანაკრებო მატჩი იყო...

ჰოლანდიელთა თავკაცმა სამი ფორვარდი დააყენა **ვან ნისტელროის, ბაბელისა და ვან პერსის** სახით. ცხადია, ვან ბასტენის სტრატეგიაც შესაფერისი იყო - გოლი, და რაც შეიძლება სწრაფად. ეს უკვე 22-ე წუთზე მოხდა, როცა "ამსტერდამ არენამ" ყოფილი კუმირის ბრწყინვალე ჯარიმა იხილა. სნეიდერის მიერ 20 მეტრიდან დარტყმული ბურთი ბულგარელთა კარის მარცხენა დაბალა კუთხეში აფართხალდა.

აღმოსავლეთევროპული ნაკრები, რომელიც გუნდში დაბრუნებული **დიმიტარ პენევის** ხელმძღვანელობით პირველ ოფიციალურ მატჩს ატარებდა, გულხელდაკრეფილი სულაც არ მჯდარა. **ვან დერ სარის** კართან ხიფათი იშვიათი ხილი კი იყო, მაგრამ ჰოლანდიური დაცვა უსაქმურად ნამდვილად არ ყოფილა...

"ტიტებმა" უპირატესობა მეორე ტაიმის დასაწყისშივე გაზარდეს. ბაბელის გადაცემის შემდეგ, ვან ნისტელროოის დაბალი დარტყმა უზადო გამოდგა. მერე მოედანზე გამოჩნდა კიდევ ერთი მივიწყებული ფიგურა - **ზეედორფი**, რომელმაც გულშემატკივარს თავი ხარიხის შეზანზარებით შეახსენა. საბოლოოდ, 2:0 და უკვე ოთხშაბათს ჰოლანდიის ნაკრებს შეუძლია გაუთანაბრდეს ლიდერ რუმინეთს, რომ მომდევნო ტურში თავისუფალია.

## ბელარუსი–რუმინეთი 1:3

**ბელარუსი:** ხომუტოვსკი, პლასკონი, რადკოვი, ტიგორევი, ა. გლები, კალაჩევი (77. სკვერნიუკი), კორიტკო, რომაშჩენკო, სტასევიჩი, კორნილენკო, როდიონოვი (61. ვასილიუკი).

**რუმინეთი:** ლობონტი, კივუ, გოიანი, მარინი, რაცი, კოდრეა (90. ტრიკა), ნიკოლიცა, ო. პეტრე, დიკა (67. მუნტეანუ), მუტუ, რადუ (56. ფ. პეტრე).

**გოლები:** 0:1 მუტუ (16), 1:1 რომაშჩენკო (20), 1:2 დიკა (42), 1:3 მუტუ (77-პენ)

**მაყურებელი:** 19 320

მატჩის დებიუტი ბელარუსის ნაკრებს მარცხს ნამდვილად არ უქადდა. **ბერნდ შტანგეს** შეგირდებმა მეტოქის კარზე რამდენიმე მწვავე იერიში მიიტანეს და ერთ-ერთ მომენტში, **კალაჩევი-გლები-რომაშჩენკოს** კომბინაციის შემდეგ, ეს უკანასკნელი ვალდებული იყო, ანგარიში გაეხსნა. თუმცა რუმინელებმა მალევე დაალაგეს თამაში და მეტოქეს ადეკვატური პასუხი გასცეს. **მუტუ** დაცვას გაექცა და **ლობონტმა** მასთან პირისპირ გასული ფორვარდი ველარ შეაჩერა.

**რომაშჩენკომ** კი ოთხ წუთში გამოასწორა შეცდომა, როცა არსენალელი **გლების** პასით წონასწორობა აღადგინა. ეს მასპინძელთა ბოლო ბანაობა აღმოჩნდა. რუმინეთის ნაკრებმა მყარად იგდო ხელთ თამაშის სადავეები და მეტოქეს, რომ იტყვიან, ფეხი აღარ გაანძრევინა. ჯერ, **დიკამ** თავურით დააგვირგვინა **ნიკოლიცას** კუთხური, თამაშის დასკვნით ნაწილში კი იმავე მუტუმ მისივე წაქცევისთვის დანიშნული პენალტი გამოიყენა.

## ლუქსემბურგი–სლოვენია 0:3

**ლუქსემბურგი:** ჟობერი, ბიგარი, ჰოფმანი, პეიფერი (52. ალვეში), შტრასერი, ბეტმერი, ფერეირა, ლომბარდელი (46. პაიალი), მუტში, პეტერსი, ჰუსი (63. კიტანჟი).

**სლოვენია:** ჰანდაროვიჩი, ბრეჩკო, კოკოტი, მორეცი, ზლოგარი (82. ჩიპოტი), კირმი (64. კომაჩი), კორენი, სტევანოვიჩი, ვრზიჩი (78. მიჰელიჩი), ლავრიჩი, ნოვაკოვიჩი.

**გოლები:** 0:1 ლავრიჩი (7), 0:2 ნოვაკოვიჩი (37), 0:3 ლავრიჩი (47)

**მაყურებელი:** 2 012

ორი აუტსაიდერის მატჩში კლასით უფრო მაღლა მდგომ სლოვენიას საგრძნობი უპირატესობა ჰქონდა და ეს ანგარიშშიც აისახა. შეიძლება ითქვას, უსუსტეს ლუქსემბურგს ორმა კაცმა მოუგო: **ლავრიჩმა** დუბლით, **ნოვაკოვიჩმა** კი გოლითა და ორი საგოლე პასით.

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. რუმინეთი | 8 | 6 | 2 | 0 | 17-5 | 20 |
| 2. ჰოლანდია | 7 | 5 | 2 | 0 | 10-2 | 17 |
| 3. ბულგარეთი | 8 | 4 | 3 | 1 | 11-6 | 15 |
| 4. ალბანეთი | 7 | 2 | 3 | 2 | 8-6 | 9 |
| 5. ბელარუსი | 8 | 2 | 1 | 5 | 11-18 | 7 |
| 6. სლოვენია | 8 | 2 | 1 | 5 | 8-12 | 7 |
| 7. ლუქსემბურგი | 8 | 0 | 0 | 8 | 1-17 | 0 |

12 სექტემბერი, ოთხშაბათი
სლოვენია-ბელარუსი
ბულგარეთი-ლუქსემბურგი
ალბანეთი-ჰოლანდია



ინგლისი-ისრაელი. ოუენს გააქვს მეორე გოლი ისრაელის კარში

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტოტენჰემი

# ლიპი, ახალი ფავორიტი?

## მამლებმა 17-წლამდელთა მუნდიალზე ორი ბიჭი შეარჩიეს

არ წყდება სპეკულაციები "ტოტენჰემის" თავკაცის, **მარტინ იოლის** მოსალოდნელ აბარგებასთან დაკავშირებით. მისი პოტენციური შემცვლელების სიას **მარჩელო ლიპი** დაემატა. მომავალ უქმეებზე ჩრდილოლონდონური დერბია. "ტოტენჰემი" "არსენალს" უმასპინძლებს. წაგების შემთხვევაში, იოლს ჩემოდნების ჩალაგება მოუწევსო, წერს "ნიუს ოფ ზე უორლდი". სპეკულაციების თანახმად, აგვისტოს მიწურულს "მამლები" "სევილიის" თავკაც **ხუანდე რამოსთან** აწარმოებდნენ მოლაპარაკებებს. ესპანელმა მწვრთნელმა დაადასტურა, რომ მაცდუნებელი კონტრაქტი შესთავაზეს, მაგრამ ანდალუსიიდან აბარგება არ ისურვა. "ტოტენჰემმა" რამოსთან კონსულტაციების ფაქტი საერთოდ უარყო. დირექტორებმა იოლს საჯაროდ გამოუცხადეს ნდობა. ვნებები ჩაცხრა, მაგრამ, როგორც ჩანს, დროებით. "ნიუს ოფ ზე უორლდს" თუ ვერწმუნებით, ლიპი თანახმაა, "ტოტენჰემის" შეთავაზება განიხილოს. სინიორ მარჩელოს წარდგენა არ სჭირდება. სანაკრებო ტრიუმფის გარდა, მას უთვალავი საკლუბო წარმატება უმაგრებს ზურგს. სახელგანთქმული იტალიელს ინგლისურ ფეხბურთში მუშაობა დიახაც სურს და ლონდონელებს ჩემპიონთა ლიგაშიც სიამოვნებით გაუძღვება.

ხუთი წლის წინათ, როცა **სერ ალექს ფერგიუსონმა** პენსიაში გასვლა დააპირა, ამბობდნენ, მას ლიპი შეცვლისო. წლის დასაწყისში, როცა **ჟოზე მოურინიოს** "ჩელსიში" პრობლემები შეექმნა, მაშინაც ლიპის გვარმა გაიჟღერა. როგორც ჩანს, ინგლისში მუშაობა მისი დებისწერაა. მოსალოდნელ დანიშვნასთან დაკავშირებით კომენტარები არ გაკეთებულა.

აქვე ორი სატრანსფერო შინაარსის ინფორმაცია "ტოტენჰემის" ბანაკიდან: ლონდონელები "კორინთიანსის" თინეიჯერი თავდამსხმელით, **ლულინიათი** დაინტერესდნენ. ის ბრაზილიის 17-წლამდელთა ნაკრების კაპიტანია. კომპანია "ნაიკმა" მას უკვე გაუფორმა სპონსორული კონტრაქტი. ასე რომ, ეს ყმაწვილი ამერიკული გიგანტის ერთ-ერთი სახეა. ლულინიას აგენტი ის **ვაგნერ რიბეიროა**, რომელმაც კაკა "მილანში" გადაიყვანა, ხოლო რობინიო "რეალში". "მამლებმა" "კორინთიანსს" უკვე შესთავაზეს 10 მილიონი გირვანქა, მაგრამ ცივი უარი მიიღეს. ამასობაში, "ტოტენჰემმა" განის 17-წლამდელთა ნაკრების თავდამსხმელი **რენსფორდ ოსეიც** მოიკითხა. ლონდონელებს კორეაში მიმდინარე 17-წლამდელთა მუნდიალზე სკაუტების მთელი არმია ჰყავდათ მივლენილი. ლულინია და ოსეი მისმა ემისრებმა იქ აღმოაჩინეს.



მარჩელო ლიპი ინგლისს უმიზნებს

პრემიერლიგა

# ინგლისური ფეხბურთი ინგლისელების გარეშე?



ნანი მანჩესტერელთა მორიგი იმედისმომცემი უცხოელი ახალწვეულია

**სერ ალექს ფერგიუსონი** შიშობს, რომ ინგლისის საფეხბურთო სკოლები მალე უფუნქციოდ დარჩებიან. ინგლისური კლუბები ახალგაზრდა ფეხბურთელებს კონტინენტურ ევროპაში ეძებენ. პრემიერლიგის კლუბებში პერსპექტიული ინგლისელი ყმაწვილების დეფიციტი შეინიშნება. ამ პრობლემას "გარდიანმა" მოზრდილი სტატია მიუძღვნა. მას შემოკლებით გთავაზობთ.

ინგლისის საფეხბურთო ასოციაციის ტექნიკურმა დირექტორმა **ჰოვარდ უილკინსონმა** 1997 წელს "ხარისხის ქარტია" გამოაქვეყნა. ქარტია პრემიერლიგის კლუბებს ოფიციალური საფეხბურთო აკადემიების შექმნას ავალებდა. იმ დოკუმენტის გამოცემის შემდეგ უმაღლეს დონეზე მოთამაშე ინგლისელი და ბრიტანელი ფეხბურთელების რიცხვი საგრძნობლად შემცირდა.

პრემიერლიგის პირველ სეზონში კლუბების ძირითადი შემადგენლობების 76 პროცენტს ინგლისელები შეადგენდნენ. 15 წლის შემდეგ მათი წილი 37 პროცენტამდე შემცირდა. დღეს პრემიერლიგის 20 კლუბის 596 ფეხბურთელიდან მხოლოდ 233-ია ინგლისელი. მათი უმრავლესობა სასტარტო შემადგენლობაში ვერ ხვდება. 1992 წელს პრემიერლიგის კლუბების ძირითადში 23 არაბრიტანელი ფეხბურთელი თამაშობდა. ეს ძირითადში მოთამაშე ყველა ფეხბურთელის 10 პროცენტი იყო. 2007 წელს არაბრიტანელთა რაოდენობა 123-მდე გაიზარდა, რაც 56 პროცენტია. ინგლისის ყველა დონის ჩემპიონატში ინგლისელი ფეხბურთელების წილობრივი მაჩვენებელი 43 პროცენტია. შედარებისათვის, ესპანეთსა და საფრანგეთში ადგილობრივი ფეხბურთელები 61 პროცენტს, ხოლო იტალიაში 71 პროცენტს შეადგენენ. პრემიერლიგის მიმდინარე სეზონში გატანილი გოლების 69 პროცენტი არაბრიტანელ ფეხბურთელებზე მოდის.

ერთი შეხედვით, დიდი ოთხეულის აკადემიები ნაყოფიერად მუშაობენ, მაგრამ აკადემიათა აღსაზრდელებს არცთუ ნათელი პერსპექტივა ეშლებათ. მათ წინამორბედთაგან მხოლოდ რამდენიმემ მოახერხა მშობლიურ კლუბებში დამკვიდრება. "მანჩესტერ იუნაიტედში" ასეთები **პოლ სქოულზი**, **რაიან გიგზი** და **გარი ნევილი** არიან, პლუს **დარენ ფლეტჩერი** და **კრის იგლზი**, რომლებიც ძირითადში რეგულარულად არ თამაშობენ. "ჩელსის" მხოლოდ **ჯონ ტერი** ჰყავს, "ლივერპულს" - **სტივ ჯერარდი** და **ჯეიმი კარაგერი**, "არსენალს" კი - **ჯასტინ ჰოიტი**. ისრაელსა და რუსეთთან შესარჩევი მატჩებისათვის ნაკრებში გამოძახებული ფეხბურთელებიდან მხოლოდ **ჯონ ტერი**, **მიკა რიჩარდსი**, **ვესლი ბრაუნი**, **სტიუარტ დაუნინგი** და **სტივ ჯერარდი** თამაშობენ იმავე კლუბებში, სადაც გაიზარდნენ.

ბევრი მწვრთნელი, მათ შორის, **სერ ალექს ფერგიუსონი** უილკინსონის ქარტიას იმთავითვე აკრიტიკებდა. მასში რამდენიმე საკამათო პუნქტია, მაგალითად, კლუბს უფლება არ აქვს, კონტრაქტი გაუფორმოს 12 წლამდე ბიჭს, რომელიც მისი აკადემიიდან ერთი საათის სავალზე შორს ცხოვრობს, აგრეთვე 16 წლამდე მოზარდს, რომელსაც აკადემიიდან საათნახევარზე მეტი სავალი მანძილი აშორებს. კლუბები იძულებულნი არიან, 16 წელზე უფროსი ბიჭები ეძებონ, მაგრამ ამ ასაკის ფეხბურთელები 400 ათას გირვანქად ფასობენ. კონტინენტურ ევროპაში მათი შეძენა 85 ათასად შეიძლება.

მოსალოდნელი ტრანსფერი

# ჰუნტელაარის ორი მანჩესტერული შეთავაზება

"მანჩესტერ იუნაიტედსა" და "მანჩესტერ სიტის" აიაქსელი თავდამსხმელის **კლაას იან ჰუნტელაარის** შეძენა სურთ. კლუბები ამსტერდამულ გრანდს იანვრის სატრანსფერო ფანჯრისათვის შეეხმიანებიან. "იუნაიტედსაც" და "სიტისაც" ძლიერი თავდამსხმელი სჭირდებათ. ჰუნტელაარს **რუუდ ვან ნისტელროის** ადარებენ. ვან ნისტელროი "იუნაიტედის" ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული ფორვარდი იყო. კლაასმა მას სანაკრებო პოზიციები შეურყია. ინგლისური სააგენტოების ცნობით, "აიაქსი" ვაჭრობის დასაწყებად მზადაა. ჰოლანდიელები ფეხბურთელს 18 მილიონ გირვანქად აფასებენ.

"დეილი მირორი" იუწყება, რომ "მენიუმ" "ბარსელონის" 18 წლის ნახევარმცველ **ჯოვანი დოს სანტოსსაც** დაადგა თვალი. ამ ბიჭს დიდი რიგი უდგას. მისი შეძენა თითქმის ყველა ინგლისურ გრანდს სურს. დოს სანტოსი მექსიკის ახალგაზრდული ნაკრების წევრია. ის 20 მილიონი ევრო ღირს. "ბარსელონა" ყმაწვილთან გამოთხოვებას არ აპირებს. კატალონიელებს მასთან ახალი ხელშეკრულების გაფორმება სურთ. ფეხბურთელის ხელფასი საგრძნობლად გაიზრდება. ამასთან, გაიზრდება მისი ფასიც. ის დაახლოებით 100 მილიონ ევროს მიაღწევს. ეს კლუბების ნაცადი ტაქტიკაა. როცა მათ მოთამაშის გაყიდვა არ სურთ, მათ განგებ ადებენ ისეთ ფასს, რომ დაინტერესებულთ მოლაპარაკებების სურვილი გაუნელდეთ. დოს სანტოსს ახალ **რონალდინიოს** უწოდებენ. "იუნაიტედის" გარდა, მისი შეძენა "ჩელსიმაც" მოინადინა.

## რეალი უპრეცედენტო პრემიის მოლოდინში

თუ "რეალი" ჩემპიონთა თასს დაეუფლება, მისი თითოეული ფეხბურთელი - უპრეცედენტო მოცულობის პრემიას, 400 ათას ევროს მიიღებს. "ელ მუნდო დეპორტივოს" ცნობით, მადრიდელთა პრეზიდენტმა **რამონ კალდერონმა** ეს საკითხი დირექტორატის ბოლო სხდომაზე განიხილა. განისაზღვრა იმ პრემიალურთა ოდენობაც, რომელსაც ფეხბურთელებს სხვა ტიტულების სანაცვლოდ გადაუხდიან. ესპანეთის ჩემპიონობა მათ 250 ათას ევროს მოუტანს, ესპანეთის სამეფო თასი - 200 ათასს. ქვეყნის თასი ყველაზე ნაკლებად პრესტიჟული ჯილდოა, მაგრამ ის მაინც ძვირად ფასობს. ხუმრობა ხომ არ არის, სამეფო კლუბს ეს ესპანური ჯილდო 14 წელია, არ მოუგია. საერთო ჯამში, ჰეთ თრიკის შესრულების შემთხვევაში, თითოეული მადრიდელი ფეხბურთელი, ხელფასის გარდა, 850 ათასი ევროთი გამდიდრდება.

## პეპეს ატლეტიკოში უხმეს

მადრიდის "ატლეტიკომ" "ლივერპულის" მეკარე **პეპე რეინა** მოიკითხა. ინფორმაცია, რომელსაც "ასი" ავრცელებს, თითიდან გამოწოვილს ჰგავს. "ატლეტიკოს" ორი მაღალი კლასის გოლკიპერი ჰყავს - **ლეო ფრანკო** და **კრიატიან აბიატი**. მაგრამ გამოცემა გვარწმუნებს, ხელმძღვანელობას რეინას გადაბირება მაინც სურსო. პეპემ "ლივერპულთან" ახალი კონტრაქტი გასული სეზონის მიწურულს გააფორმა. ის მერსისაიდელების შეუცვლელი მეკარეა. მაგრამ რეინების ოჯახს "ატლეტიკოსთან" განსაკუთრებული მოგონებები აკავშირებს. პეპეს მამა, **მიგელ რეინა**, 1960-იანი წლების მიწურულსა და 1970-იანი წლების დასაწყისში მადრიდელთა ღირსებას იცავდა. მას ესპანეთის ჩემპიონატი და სამეფო თასი აქვს მოგებული. 1974 წელს მისი "ატლეტიკო" ჩემპიონთა თასის ფინალშიც გავიდა, მაგრამ "ბაიერნთან" ჯერ 1:1 ითამაშა, გადათამაშება კი 4:0 დათმო. რეინა-უმცროსი პატარაობიდან "როხიბლანკოს" თავგადაკლული ქომაგია.

## სოსა ექვსი კვირა დაისვენებს

"ბაიერნის" ახალწვეულმა **ხოსე ერნესტო სოსამ** კოჭის ოპერაცია გაიკეთა. არგენტინელ ნახევარმცველს ექვსი კვირა გაუცდება. 22 წლის სოსა მიუნხენში ორიოდე თვის წინ "ესტუდიანტესიდან" გადავიდა. ის წინასასეზონო შეკრებისას დაშავდა. ინტენსიური მკურნალობის შემდეგ სოსა გუნდს დაუბრუნდა და "ჰამბურგთან" ბოლო ტურის მატჩში (1:1) შეცვლაზე ითამაშა კიდეც. ხოსე ერნესტოს ტრავმა გაურთულდა. ამიტომ მისი ქირურგებთან გაშვება გადაწყვიტეს. თუ ყველაფერი გეგმის მიხედვით წარიმართება, სოსა "ბოხუმთან" 20 ოქტომბრის მატჩში ითამაშებს.

## შმაიხელის ახალი კონტრაქტი

**კასპარ შმაიხელი** "მანჩესტერ სიტისთან" ახალ კონტრაქტს გააფორმებს. 20 წლის მეკარე "ისტლენდზე" სამი წელინადი დარჩება და უწინდელზე სამჯერ მეტ ხელფასს მიიღებს. სამჯერ მეტი შეიძლება მაცდურად ჟღერდეს, მაგრამ "დეილი მეილი" ირწმუნება, რომ დღესდღეობით დანიელ გოლკიპერს კვირაში სულ რაღაც 1.5 ათას გირვანქას უხდიან. ეს კი მინიმალურზე მინიმალური შემოსავალია.

## ორი დებიუტი მილანში

გასული კვირის მიწურულს "მილანმა" კიევის "დინამოსთან" ამხანაგური მატჩი გამართა. შეხვედრა ფრედ, 2:2 დასრულდა. "როსონერის" შემადგენლობაში დებიუტი ჰქონდა **ალეშანდრე პატოს**. ბრაზილიელმა თინეიჯერმა უმალ გოლი შეაგდო. ეს თამაში მილანელთა თავკაც **კარლო ანჩელოტისათვის** მეორე მიზეზითაც იყო საგულისხმო. მან პირველად შეუშვა მინდორზე თავისი შვილი, 17 წლის **დავიდე ანჩელოტი**. ანჩელოტი-უმცროსმა 87-ე წუთზე **კრისტიანო ბროკი** შეცვალა. "დინამომ" და "მილანმა" იმ ფეხბურთელების გარეშე ითამაშეს, რომელთაც ეროვნულ ნაკრებებში უხმეს. აქვე გეტყვით, რომ **რონალდო** მინდორს 15 სექტემბერს, "სიენასთან" კალენდარულ მატჩში დაუბრუნდება. მილანელთა ექიმი **ჟან-პიერ მეერსემანი** ამბობს, რომ ფეხბურთელი ბოლომდე გამოჯანმრთელდა და დატვირთვებისათვის მზადაა.

ბარსელონა

# რიიკაარდი ნაწყენიაო

ესპანურ ტაბლოიდებს თუ დავუჯერებთ, "ბარსელონის" თავკაცი **ფრანკ რიიკაარდი** პრეზიდენტ **ხოან ლაპორტაზე** ნაწყენია. მათი ურთიერთობა უწინდელივით ულრუბლო აღარ არის. "ასი" ამის მიზეზად სატრანსფერო კამპანიას ასახელებს. **ტიერი ანრის** შეძენის შემდეგ "ბარსაში" ოთხმა სუპერთავდამსხმელმა მოიყარა თავი. რიიკაარდს მათგან ერთ-ერთის გაყიდვა სურდა. მწვრთნელს ყველა მათგანი არ სჭირდება, მაგრამ ლაპორტამ ვარსკვლავების შენარჩუნება მოინადინა. ამით რიიკაარდი ფაქტობრივად გამოუვალ მდგომარეობაში ჩააგდო.

"ასის" ცნობით, ჰოლანდიელი სპეციალისტი **რონალდინიოს** ან **ეტოოს** გაყიდვას ითხოვდა. აგვისტო მიწურულს პრესაში ინტენსიურად განიხილებოდა ბრაზილიელის "ჩელსიში" მოსალოდნელი ტრანსფერი. **რომან აბრამოვიჩი** მასში მსოფლიოს სატრანსფერო ბაზრისათვის სარეკორდო თანხას იხდიდა - სხვათა შორის, "ჩელსის" მწვრთნელთან შეუთანხმებლად. ლაპორტამ კი რონალდინიოს აბარგების გაგონებაც არ ისურვა. ამის ნაცვლად, მან **დეკუ სოუზათი** დაინტერესებული კლუბების ძებნა დაიწყო. საბოლოოდ, ბრაზილიელ-პორტუგალიელი ნახევარმცველიც "კამპ ნოუზე" დარჩა. ამ ინფორმაციას ოფიციალური გამოხმაურება არ მოჰყოლია.



რიიკაარდი და ლაპორტა: არის თუ არა დაპირისპირება?

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინტერვიუ ალესანდრო დელ პიეროსთან

# დღეს ჩვენი ისევ ეშინიათ

## დელ პიერო ამ სეზონში 32 გოლს გეგმავს

ორი დღის წინათ, ალესანდრო დელ პიერო "ოქროს ტერფის" მფლობელი გახდა. ეს არის ჯილდო, რომელიც მონაკოში "მსოფლიო ჩემპიონი კლუბების" მიერაა დაარსებული და გადაეცემა ფეხბურთელს, რომელიც 29 წელს ზემოთაა. ალექსისთვის ნებისმიერი ჯილდო დიდი გამარჯვება და აღიარებაა. აი, რა კომენტარი გააკეთა მან პრიზის გადაცემის შემდეგ: "როცა მონაკოს პრინცი ესოდენ საპატიო ჯილდოს თავისი ხელით გადმოგცემს, თავისთავად ტანში ჟრუანტელი დაგივლის. ასეთ დროს დღევანდელობაზე ნაკლებად ფიქრობ. უცებ თვალწინ დაგიდგება მთელი კარიერა, ის წლები, როცა ბურთს პირველად დაარტყი ფეხი, ის დღე, როცა მსოფლიო ჩემპიონი გახდი, არაერთხელ მოიგე სკუდეტო და ასე შემდეგ. ამაყი ვარ, რომ "ოქროს ტერფის" ლაურეატი გავხდი. ჩემს კოლექციაში ის გამორჩეულ ადგილს დაიკავებს".

"გაძეტა დელო სპორტის" კორესპონდენტმა ისარგებლა შემთხვევით და დელ პიეროს ინტერვიუ სთხოვა...

**- "კალიარისთან" თქვენი გამარჯვება დაუჯერებელი იყო...**

- ჩავთვალოთ, რომ ეს არის იღბალი, რომელიც გასული სეზონის ნაყოფია. მაშინ მეგონა, რომ მთელი მსოფლიო ჩვენ წინააღმდეგ იყო დარაზმული. ამიტომაც, ჩვენთვის ახლობელი გახდა ისეთი გრძნობებიც, როგორიცაა ტანჯვა და მოთმინება. აი, რის ხარჯზე მოვიგეთ კალიარიში. სრული სერიოზულობით ვამბობ: სერია B-მ ძალიან ბევრი რამ გვასწავლა. ადამიანმა ცხოვრებაში ყველაფერი უნდა გამოცადოს.

**- რა აზრის ხართ კლაუდიო რანიერიზე?**

- ჭკვიანი და გაწონასწორებული ადამიანია.

**- კაპელო და ლიპი კი ტელეკომენტატორები გახდნენ...**

- სამწუხაროდ, მათთვის ჯერ არ მისმენია და შეფასებებს ვერ გავაკეთებ. მაგრამ ასე მგონია, რომ მომავალ წელს ორივე თავის საქმეს დაუბრუნდება. ალბათ, ეს განტვირთვა ძალიან სჭირდებოდათ.




პრინცი ალბერი და ალესანდრო დელ პიერო დაჯილდოვების ცერემონიალზე

**- "იუვენტუსი" სერია A-ს ლიდერია, ისევე, როგორც ძველ და კეთილ დროს...**

- რეალურად, დღეს სერია A-ში ოთხი გუნდია, რომელსაც სკუდეტოს მოგება შეუძლია: "მილანი", "ინტერი", "რომა" და ჩვენ. რა თქმა უნდა, გვესმის, რომ ჩემპიონობის მოპოვება ძალიან, ძალიან ძნელი იქნება. ჩვენს მეტოქეებს უდიდესი რესურსები აქვთ. მაგრამ რა გვიშლის ხელს იმაში, რომ უმაღლესი მიზნები დავისახოთ? არაფერი! რესურსები ჩვენც გვაქვს. ამ სეზონში ევროტურნირებზე არ ვთამაშობთ და შესაბამისად, მთელ ძალებს ჩემპიონატს მოვახმართ.

**- "რომა"-"იუვე" ახლოვდება...**

- ჯერ მარტო ასეთი მატჩის მოლოდინი ადრენალინის დონეს ზრდის. "რომას" სეზონის წინ, ამხანაგურ მატჩში შევხვდით და მაშინ გამოჩნდა, როგორი მოწყურებულები ვიყავით გრანდებთან შეხვედრებს. ვფიქრობ, ჩვენი რეალური ძალა სწორედ მომავალ მატჩში გამოჩნდება. მაგრამ "რომამდე" ჯერ "უდინეზე" უნდა დავამარცხოთ. ესეც განსაკუთრებული მეტოქეა ჩვენთვის, "რომაში" ბრწყინვალე ფეხბურთელები თამაშობენ და კიდევ ერთხელ ვამბობ: ეს იქნება საუკეთესო საზომი "იუვენტუსის" დღევანდელი პოტენციალისთვის.

**- მართალია, რომ სეზონის სტარტიდანვე "იუვენტუსს" ის ხალხიც ქომაგობს, ვინც ადრე სხვა ბანაკში იყო? თითქოს, დღეს თქვენ მიმართ სიმპათიები გამორჩეულად დიდია...**

- არა მგონია. არ ვიცი, ვინ გააკეთა ამგვარი დასკვნა. ჩვენ კი ჯერ იმავეს ვხედავთ: სტადიონებზეც და მის გარეთაც ისევე გვხვდებიან, როგორც ადრე, "იუვეს" ავტობუსს ისევ ესვრიან ქვებს... სამწუხაროა... ისე კი, როცა ვინმე გისტვენს, ეს ზიანს ვერ მოგაყენებს. და რაკი გისტვენენ, ესე იგი შენი ეშინიათ. ეშინოდეთ, ძალიანაც კარგი...

**- არ გეჩვენებათ, რომ "იუვესთან" დამოკიდებულებაში არბიტრები უფრო მკაცრნი გახდნენ?**

- ალბათ, იმ ორ პენალტს გულისხმობთ... დიახ, ერთ მატჩში ორ 11-მეტრიანს ყოველდღე არ დანიშნავენ, თანაც "იუვენტუსის" კარში. სხვათა შორის, გასულ წელსაც, სეზონის დაწყების მომენტში, მრჩებოდა შთაბეჭდილება, რომ ცდილობენ "იუვენტუსს" დიდი უპირატესობა არ ჰქონდა.

**- კარიერის განმავლობაში თითქმის ყველაფერი მოიგეთ, რისი მოგებაც კი შეიძლებოდა. კიდევ გაქვთ რაიმე მიზანი ფეხბურთში?**

- გამარჯვება კარგია, მაგრამ კიდევ ერთხელ გამარჯვება უფრო უკეთესია. პროფესიონალ ფეხბურთელს, სანამ ის მოედანზეა, წარმატება არ უნდა ბეზრდებოდეს.

**- ჯერ არ გიფიქრიათ ეროვნული გუნდიდან წასვლა?**

- შეიძლება, ბანალურად ჟღერდეს, მაგრამ ბავშვობიდან ვოცნებობდი, მეთამაშა ნაკრებსა და "იუვენტუსში". ვიდრე თავს კარგად ვგრძნობ და ვხედავ, რომ ორივე ფრონტზე თამაშისთვის ძალები საკმარისად მაქვს, ყველაფერს გავაკეთებ იმისათვის, რომ რაც შეიძლება დიდხანს ვითამაშო.

**- და სტრესების არ გეშინიათ?**

- ფიზიკურად ძლიერი ვარ და სტრესებს ადვილად ვუმკლავდები, საბედნიეროდ...

**- რამ შეიძლება აიძულოს ფეხბურთელი, რომელმაც სერია B გამოიარა, გამოეთხოვოს "იუვენტუსს"?**

- შარშანდელი ამბების შემდეგ, გუნდი ბევრმა ფეხბურთელმა დატოვა. და იცით, ერთი წუთითაც არ მომსვლია აზრად, რომ ისინი გამეკრიტიკებინა. მე კი იმ არჩევანის გამო ახლაც ამაყი ვარ. ეს ნამდვილად სწორი არჩევანი იყო.

**- "რომა"-"იუვეს" შემდეგ მალე ტურინული დერბიც იქნება...**

- მერწმუნეთ, ძალიან ცხელი დერბი იქნება. "ტორინო" შეიცვალა, სოლიდური ფეხბურთელები და ძალიან ჭკვიანი მწვრთნელი ჰყავს. მე ვთვლი, რომ ეს იქნება ნამდვილი დერბი და იმედია, ფეხბურთის საზღვრებს არ გასცდება.

**- რეკობა "ინტერიდან" "ტორინოში" გადავიდა, ადრიანო კი მაინც დარჩა...**

- არ ვიცნობ ადრიანოს პრობლემებს, მაგრამ მჯერა, რომ მალე ყველაფერს მოაგვარებს. მას უდიდესი ტალანტი აქვს და წარმოუდგენელია, ეს ტალანტი გაუხსნელი დარჩეს. მან საკუთარ თავში მოტივაცია ხელახლა უნდა იპოვოს.

**- ტრეზეგემ თქვა, "იუვენტუსის" მაისურით 200 გოლი უნდა გავიტანოო...**

- მართლა? მე უკვე 218 გავიტანე და მინდა, ამ სეზონში 250-ან ზღვარს მივაღწიოთ. გაგიკვირდებათ? თვლით, რომ 32 გოლი ბევრია? არა მგონია...




ანჩელოტი რონალდოს ელოდება

ტრავმატოლოგიური მისტერია

# რონალდო მილანის ექიმებს აღარ ენდობა

**რონალდოს** საიდუმლოებით მოცულ ტრავმაზე უკვე ვწერდით. 31 ივლისს, "მილანის" წინასასეზონო პრეზენტაციის დროს, "კიჭამ" მარცხენა მუხლში ტკივილი იგრძნო და მას შემდეგ ბურთს აღარ გაკარებია, შესაბამისად, ჩემპიონატის სტარტიც გაუცდა. **კარლო ანჩელოტი** იმედოვნებდა, რომ რონალდოს 15 სექტემბერს "სიენასთან" ათამაშებდა, მაგრამ ეტყობა, ეს არ გამოვა, რადგან ფეხბურთელი სამკურნალოდ სამშობლოში გაემგზავრა. როგორც ჩანს, ის "მილანის" ექიმებს აღარ ენდობა. "როსონერის" დასტაქრებმა მის ტრავმას ვერაფერი გაუგეს. რონალდოს პირადმა ფიზიოთერაპევტმა კი "მილანის" ექიმებს არაკომპეტენტურობაში დასდო ბრალი:

*"ჩვენი აზრით, მკურნალობის ის მეთოდი, რასაც ისინი მიმართავდნენ, არ შეესაბამებოდა აუცილებელ ზომებს. ელემენტარულად, მათ ვერ გაიგეს, კონკრეტულად რა სახის დაზიანება აქვს რონალდოს. იმიტომაც ჩამოვიდა რონი ბრაზილიაში, რომ სურს, მოისმინოს იმ ხალხის აზრი, ვისაც ის ენდობა".*

ამასობაში, რონალდომ უკვე მოინახულა ბრაზილიის ნაკრების ექიმი **ჟოზე ლუიშ რუნკო**, რომელმაც პაციენტი საგულდაგულოდ გასინჯა და დაასკვნა, რომ ჯერ მარტო აღდგენითი პერიოდი ორ კვირას გასტანს. აი, რას ამბობს სეუ ჟოზე ბრაზილიურ გამოცემა "გლობოსთან" საუბარში:

*"ჩვენ გამოვიყენებთ მეთოდს, რომლის სახელწოდებაა "სიმაღლის ფაქტორი". ეს აღდგენითი პროცესის დაჩქარებაში დაგვეხმარება. საუბარია გენეტიკურ თერაპიაზე. კარგი იქნება, თუ რონალდო რიოში ერთი კვირით მაინც დარჩება".*

ინტერი

# კრუსი რჩება, კოკო... ჰოლივუდში

"ინტერმა" და **ხულიო კრუსმა** ერთგულების ფიცი 2009 წლის 30 ივნისამდე დადეს. ასე რომ, ყველანაირი ეჭვი იანვრის სატრანსფერო კამპანიის დროს არგენტინელი ფორვარდის "რომაში", ან რომელიმე ესპანურ კლუბში გადაბარგების თაობაზე, გაქარწყლებულია. **რობერტო მანჩინის** კრუსი სჭირდება იმ პირობებშიც კი, როცა მის ხელთაა უმაღლესი კლასის ფორვარდთა კვარტეტი, **ზლატან იბრაჰიმოვიჩის, ერნან კრესპოს, ადრიანოსა** და **დავიდ სუასოს** სახით. სეზონი გრძელია და კრუსს აუცილებლად მოუწევს თავისი ოსტატობის დამტკიცება. სხვათა შორის, ჩემპიონატის სასტარტო ტურში მანჩინიმ ის სულაც ძირითად შემადგენლობაში დააყენა. მწვრთნელს ახსოვს, რომ არაერთ საკვანძო მომენტში, შეცვლაზე შესულ არგენტინელს გადამწყვეტი გოლები გაუტანია. გასულ ჩემპიონატში მან მხოლოდ 15 მატჩში მიიღო მონაწილეობა და არცთუ ურიგო შედეგი აჩვენა - 7 გოლი. გავიხსენოთ, რომ მას ტრავმებიც აწუხებდა.

"ინტერთან" კონტრაქტის კიდევ ორი წლით გაგრძელებას 32 წლის კრუსი სიხარულით შეხვდა: *"ძალიან კმაყოფილი ვარ. ეს-ესაა ხელშეკრულება გავაგრძელეთ, თუმცა კარგა ხნით ადრე შევთანხმდით, რომ ასე მოვიქცეოდით. ამის პრობლემა არ ყოფილა. და საერთოდაც, "ინტერში" პირველივე დღიდან თავს ჩინებულად ვგრძნობ. გავაგრძელებ ისე, როგორც აქამდე ვაკეთებდი - ვარჯიშებზეც არ დავზოგავ თავს და მოედანზეც გავაკეთებ ჩემს საქმეს. დღეს კიდევ ერთხელ დავინახე, რომ "ინტერი" მენდობა და ვალდებული ვარ, ეს ნდობა 100 პროცენტით გავამართლო".*

სამაგიეროდ, "ნერაძური" აღარ ენდობა მარცხენა მცველ **ფრანჩესკო კოკოს**, რომელსაც თავისუფალი აგენტის სტატუსი მიანიჭა. კოკოს ხელშეკრულებას ყავლი 2009 წლის ივნისში გასდიოდა. მაგრამ "ინტერმა" გადაწყვიტა, რომ აღარ დაიჭიროს საქმე ტრავმებისადმი მიდრეკილ მცველთან, რომელსაც კარგა ხანია, ფეხბურთი ხეირიანად აღარ უთამაშია.

კოკომ ბოლო წლები არენდით "ტორინოსა" და "ლივორნოში" გაატარა, ახლა ამერიკაში მიემგზავრება, მაგრამ არა MLS-ში სათამაშოდ. ისე, რამდენიმე ორი იქაური კლუბი, მათ შორის "რედ ბული" და "ნიუ ინგლენდი", მას მართლაც სთავაზობდა სარფიან კონტრაქტს, მაგრამ 30 წლის მოთამაშემ უკვე განაცხადა საფეხბურთო კარიერის დასრულების თაობაზე და ახლა მსახიობობას იწყებს. ამერიკაც ამიტომ აირჩია საცხოვრებლად. როგორც აღმოჩნდა, საფეხბურთო მოედნების ნაცვლად, მას ჰოლივუდის გადასაღებ მოედნებზე იწვევენ. აი, ასეა საქმე. ვნახოთ, როგორი იქნება კოკო ახალ ამპლუაში.



კოკო მსახიობი ხდება



ვალენტინ ნასტასე

ამის თაობაზე ცოტა ხნით ადრე, ბუქარესტის "დინამოსა" და "ლაციოს" საჩემპიონთალიგო მატჩის მიმოხილვაში დავწერეთ. საქმე ასე იყო: რუმინული კლუბის მცველმა **ვალენტინ ნასტასემ** საკუთარ საჯარიმოში წააქცია ერთ-ერთი რომელი, რის გამოც არბიტრმა

სკანდალი

# რა ღირდა ეგ პენალტი?

## იტალიაში ნათამაშებ რუმინელ მცველს იტალიელებთან გარიგება ბრალდება

11-მეტრიანი დანიშნა. სასჯელის ზომა სამართლიანი იყო და ამაში ეჭვი არავის შეუტანია. მითქმა-მოთქმა ატყდა მხოლოდ ნასტასეს საქციელზე, ხოლო ეჭვი იმან გააჩინა, რომ 11-მეტრიანი გადამწყვეტ მომენტში დაიდო. **ტომაზო როკიმ** ზუსტი დარტყმით უპასუხა პირველ ტაიმში **ფლორინ ბრატუს** მიერ გატანილ გოლს და ორი მატჩის ჯამში ანგარიში გათანაბრდა...

მატჩისშემდგომ პრესკონფერენციაზე, "დინამოს" მაშინდელმა მწვრთნელმა **მირჩა რედნიკმა** (რომელიც ახლახან **ვალტერ ძენგამ** შეცვალა) არაორაზროვანი პასუხი გასცა კითხვაზე, თუ რას ფიქრობდა აღნიშნული ეპიზოდის ირგვლივ: *"ნასტასე კარგი ფეხბურთელი იყო"* - თქვა რედნიკმა. ამით ის დაეთანხმა ფანების მოწოდებას (მატჩის ბოლომდე ისინი სკანდირებდნენ - "ნასტასე, წაეთრიე"!) და ფეხბურთელი, ფაქტობრივად, გუნდიდან გაუშვა. თუმცა გულშემატკივართა მიერ [illegible] ნასტასე ისედაც აღარ აპირებდა გუნდში გაჩერებას. მოგვიანებით, მან გაკვირვება გამოთქვა მწვრთნელის სიტყვების გამო...

და მაინც, რატომ გაჩნდა ეჭვი იმაზე, რომ ფეხბურთელი პენალტზე შეგნებულად წავიდა. ერთი შეხედვით, მიზეზი მეტად ბანალურია: ის იტალიაშია ("ასკოლი") ნათამაშები და ეტყობა, "ლაციოს" მესვეურნი მასზე იოლად გავიდნენო. ასეა თუ ისე, მას სამშობლოში აღარ დაედგომება. ბუქარესტში გამომავალმა გაზეთმა "ფაზატიკმა" პირველ გვერდზე დაბეჭდა ის ყბადაღებული ეპიზოდი და ზედაც სტატია დაურთო სათაურით - "რა ღირდა პენალტი"? სტატიაში მავანი პერსონა ამტკიცებს, რომ ნასტასემ ამ გარიგებაშიი 300 ათასი გირვანქა აილო. უცნაურია, რომ ფეხბურთელს აზრადაც არ მოსდის, უჩივლოს გაზეთს და იქ მოყვანილი "ფაქტის" დამტკიცება მოითხოვოს. ის სამშობლოდან აბარგებას ამჯობინებს, რაც ბუნებრივად აღრმავებს ეჭვს, რომ [illegible] ყველაფერი სუფთად არ იყო...

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინტერვიუ რუუდ ვან ნისტელროისთან

# რეალი შარშანდელზე ბევრად ძლიერი იქნება



**რუუდ ვან ნისტელროის ინტერვიუ უეფას ოფიციალურ ვებგვერდზე გამოქვეყნდა. "რეალის" თავდამსხმელი მადრიდში შეკრებილ ჰოლანდიურ დიასპორაზე, თავდასხმაში გაზრდილ კონკურენციაზე, ორ ფრონტზე ბრძოლასა და ესპანელ თუ ევროპელ კონკურენტებზე საუბრობს.**

**- გასულ სეზონში თქვენი გოლებით "რეალის" გულშემატკივართა საყოველთაო სიყვარული დაიმსახურეთ. ხომ არ გეჩვენებათ, რომ ამ სეზონში თქვენგან უფრო მეტს ელიან?**

- ჩემს თავს ყველაზე დიდ მოთხოვნებს თვითონვე ვუყენებ. დიახ, საზოგადოება ბევრ გოლს ითხოვს, მაგრამ ამას ვითხოვ მეც. ყოველთვის ვცდილობ, ბოლომდე დავიხარჯო, მაქსიმალური რაოდენობის გოლი გავიტანო, თანაგუნდელებს მხარი ავუბა და თავდაუზოგავად ვივარჯიშო. ეს ჩემი მოვალეობაა. მინდა, გუნდს დავეხმარო, რათა მან რაც შეიძლება, მეტი ტიტული მოიპოვოს.

**- როგორც ჩანს, როისტონ დრენტეს, ვესლი სნეიდერისა და არიენ რობენის ტრანსფერებით, "რეალმა" ჰოლანდიელ ფეხბურთელებზე გააკეთა აქცენტი. ამ ფაქტს როგორ აფასებთ?**

- მე ჰოლანდიელი ვარ. ამიტომ უზომოდ მიხარია, რომ ჩემი თანამემამულეები "რეალის" დონის კლუბში ჩაირიცხნენ. ისინი მადრიდში შემთხვევით არ ჩამოუყვანიათ. თქვენ მიერ ჩამოთვლილი ფეხბურთელები უმაღლესი კლასის ვარსკვლავები არიან. ისინი ამას მალე დაამტკიცებენ. მათ წარმატებაში ეჭვი არ მეპარება.

**- "რეალის" სხვა ტრანსფერებს როგორღა აფასებთ?**

- უკლებლივ ყველა ახალწვეული მაღალი კლასის ოსტატია. არ გეგონოთ, ვინმეს დაუმსახურებლად ვაქებდე. ისინი ვარჯიშებზე გავიცანი. თამაშებში საკუთარი თვალით ვნახე, რა შეუძლიათ. ამიტომაც დარწმუნებული ვარ, რომ მათი მოსვლით "რეალი" მხოლოდ და მხოლოდ გაძლიერდა. ჩვენ შარშანდელზე ბევრად ძლიერები ვიქნებით.

**- გეგმა უკვე შეადგინეთ? რამდენი გოლი გატანას აპირებთ?**

- არა, გეგმა ნამდვილად არ შემიდგენია და არც არასოდეს მომსვლია თავში ასეთი რამ.

**- სატრანსფერო ფანჯარა დაიხურა. ალბათ, იცით, რომელმა კლუბმა რა ტრანსფერები განახორციელა. პრიმერა დივიზიონში მადრიდელთა უმთავრეს კონკურენტად ვის მიიჩნევთ?**

- ახალ არაფერს ვიტყვი. ჩვენ გარდა, ჩემპიონობისათვის "ბარსელონა", "ვალენსია" და "სევილია" იბრძოლებენ. მათ შესანიშნავი შემადგენლობები ჰყავთ. ფეხბურთელები მრავალი წელია, გვერდიგვერდ თამაშობენ. ისინი ერთმანეთს საკუთარი ძმებივით იცნობენ. "სარაგოსის" დავიწყებაც არ შეიძლება და რა თქმა უნდა, "ატლეტიკოსაც" სათანადო პატივი უნდა მივაგოთ. მადრიდელებმა საუცხოო ფეხბურთელები შეიძინეს. ესპანეთის ჩემპიონატში კონკურენცია საგრძნობლად გაიზარდა.

**- ევროპელ კონკურენტებზე რაღას გვეტყვით?**

- "მილანი", "ჩელსი", "ბარსელონა", "ლიონი", "ვალენსია"... ამ სიის გაგრძელება უსასრულოდ შეიძლება. ყველა კონკურენტის ჩამოთვლა შორს წაგვიყვანს. როცა გუნდი ჩემპიონთა ლიგაში თამაშობს, ეს იმას ნიშნავს, რომ საკმარისად ანგარიშგასაწევი შემადგენლობა ჰყავს და მას ნებისმიერი თამაშის მოგება შეუძლია.

**- ესპანეთის ჩემპიონატის მოგების შემდეგ, აქცენტს ჩემპიონთა ლიგაზე ხომ არ გააკეთებთ? თქვენი აზრით, რომელ ტურნირში გაქვთ უკეთესი შანსი და საერთოდ, ესპანეთის პირველობასა და ჩემპიონთა ლიგას შორის რა განსხვავებას ხედავთ?**

- მე პირადად ორივე ფრონტზე კომფორტულად ვგრძნობ თავს. ორივე ტიტულისათვის ბრძოლა საინტერესოა. განსხვავება კი თვალსაჩინოა: პრიმერა დივიზიონის მოსაგებად სტაბილურობაა საჭირო. ეს ხანგრძლივი ტურნირია, იქ ყველას აქვს შეცდომის დაშვების უფლება. ჩემპიონთა ლიგაში კი, საკმარისია ფლეი ოფში გაალწიო, რომ ყველა თამაში ფინალს ემსგავსება. ერთი უნებლიე შეცდომაც კი საკმარისია იმისათვის, რომ თასისათვის ბრძოლას გამოეთიშო.

**- ეს სეზონი თქვენთვის შარშანდელივით იოლი არ იქნება. გუნდში სავიოლა და სოლდადო მოვიდნენ. ვან ნისტელროი შეუცვლელი თავდამსხმელი აღარ იქნება. თქვენთვის ეს პლუსია თუ მინუსი?**

რა თქმა უნდა, პლუსი. კონკურენცია მოდუნების საშუალებას არ გაძლევს. შენი უპირატესობა ყოველ წუთს უნდა ამტკიცო. თავდაუზოგავად უნდა იმუშავო. ყველა ფეხბურთელის თავდაუზოგავი შრომით კი მოგებული მთელი გუნდი რჩება.



ვალტერ ძენგა

დანიშვნა

## ძენგა რუმინეთში დაბრუნდა

**ვალტერ ძენგა** რუმინეთში დაბრუნდა. მან ბუქარესტის "დინამოსთან" ორწლიანი კონტრაქტი გააფორმა. იტალიელი მწვრთნელის ამოცანაა, კლუბმა ქვეყნის ჩემპიონობა შეინარჩუნოს, აგრეთვე უეფას თასის ფლეი ოფში გავიდეს. ძენგა რუმინულ ფეხბურთს ხუთი თითივით იცნობს. მას დედაქალაქის სხვა ორ კლუბში, "ნაციონალსა" და "სტიაუაში" უმწვრთნელია. ძენგას იტალიის ნაკრებში შემადგენლობაში 58 მატჩი აქვს ჩატარებული. ის 1990 წლის მუნდიალის ბრინჯაოს პრიზიორია. ძენგამ საკლუბო კარიერის უმეტესი ნაწილი "ინტერში" გაატარა. 1982-94 წლებში მან "ნერაძურის" შემადგენლობაში 328 მატჩი ჩაატარა.

### ინგლისი

#### I ლიგა

V ტური

| | |
|---|---|
| ბრაიტონი-მილუოლი | 3:0 |
| ნორთჰემპტონი-დონკასტერი | 2:0 |
| კარლაილი-ტრანმერი | 0:1 |
| კრიუ-ჰადერსფილდი | 2:0 |
| ლიდსი-ჰარტლპული | 2:0 |
| ლეიტონი-ბორნმუთი | 1:0 |
| ლუტონი-როვერსი | 1:2 |
| საუთენდი-ჯილინგემი | 3:0 |
| უოლსოლი-პორტ ვეილი | 0:0 |
| სუინდონი-იეოვილი | 0:1 |

#### II ლიგა

V ტური

| | |
|---|---|
| აკრინგტონი-გრიმსბი | 4:1 |
| ჩესტერი-მორეკამბი | 0:1 |
| ჩესტერფილდი-ბერი | 3:1 |
| დაგენჰემი-ბარნეტი | 1:1 |
| ჰერეფორდი-მაკლსფილდი | 0:1 |
| ლინკოლნი-ბრედფორდი | 1:2 |
| მილტონი-ნოტსი | 3:0 |
| როტერჰემი-დარლინგტონი | 0:2 |
| სტოკპორტი-შრიუსბერი | 1:1 |
| უიკომბი-ბრენტფორდი | 1:0 |
| პიტერბრო-მენსფილდი | 2:1 |

#### კონფერენცია

VIII ტური

| | |
|---|---|
| ოლდერშოტი-ნორთვიჩი | 5:0 |
| ალტრინჩემი-ოქსფორდი | 1:3 |
| კროული-დროილსდენი | 5:0 |
| ექსეტერი-კემბრიჯი | 1:1 |
| გრეისი-ფორესტ გრინი | 0:1 |
| ჰისტონი-ფარსლი | 1:2 |
| კიდერმინსტერი-იორკი | 3:0 |
| სალისბერი-რაშდენი | 1:1 |
| უეიმაუთი-გრეივსენდი | 2:0 |
| ბარტონი-ტორკი | დღეს |
| სტივენიჯი-სტეფორდი | დღეს |

### ჩილე

გადადებული მატჩები

| | |
|---|---|
| კობრესალი-უაჩიპატო | 2:1 |
| ოჰიგინსი-კობრელოა | 2:2 |
| ლა სერენა-კოკიმბო | 2:2 |

### იტალია

#### სერია B

III ტური

| | |
|---|---|
| ალბინოლეფე-გროსეტო | 2:1 |
| ასკოლი-რიმინი | 0:0 |
| ბარი-ვიჩენცა | 2:0 |
| ბოლონია-რავენა | 2:1 |
| ჩეზენა-პიზა | 1:2 |
| ფროზინონე-აველინო | 2:1 |
| მანტოვა-მესინა | 4:0 |
| მოდენა-სპეცია | 2:2 |
| ტრევიზო-კიევო | 0:1 |
| ტრიესტინა-ლეჩე | 1:1 |

#### სერია C1/A

III ტური

| | |
|---|---|
| კავეზე-კრემონეზე | 1:1 |
| ფოჯა-ლეკო | 2:1 |
| ფოლინო-ნოვარა | 1:2 |
| პადოვა-ლენიანო | 1:1 |
| პაგანეზე-მანფრედონია | 1:1 |
| პროპატრია-სასუოლო | 1:2 |
| ტერნანა-მონცა | 0:0 |
| ვენეცია-ჩიტადელა | 1:1 |
| ვერონა-პრო სესტო | 1:1 |

#### სერია C1/B

III ტური

| | |
|---|---|
| ანკონა-ლუკეზე | 2:0 |
| გალიპოლი-სორენტო | 3:2 |
| მარტინა-იუვესტაბია | 2:2 |
| პერუჯა-კროტონე | 2:1 |
| პისტოიეზე-ტარანტო | 0:0 |
| პოტენცა-მასეზე | 2:0 |
| სალერნიტანა-არეცო | 4:2 |
| სამბენედეტეზე-ლანჩანო | 1:1 |
| სანჯოვანეზე-პესკარა | 1:1 |

### ბრაზილია

XXV ტური

| | |
|---|---|
| კრუზეირო-გრემიო | 2:0 |
| სანტოსი-ჟუვენტუდე | 1:0 |
| ფიგეირენსე-ატ. მინეირო | 2:1 |
| ინტერნასიონალი-ფლამენგო | 3:0 |
| ვასკო და გამა-სან პაულუ | 0:2 |

*დანარჩენი მატჩები გვიან დასრულდა*

### ესპანეთი

#### II დივიზიონი

III ტური

| | |
|---|---|
| სელტა-ეიბარი | 0:1 |
| ხიმნასტიკი-კასტელონი | 1:0 |
| გრანადა-ტენერიფე | 4:1 |
| მალაგა-კორდობა | 4:1 |
| სევილია A-ალავესი | 1:0 |
| სპორტინგი-ელჩე | 1:1 |
| ნუმანსია-ხერესი | 2:1 |
| ფეროლი-ლას პალმასი | 3:1 |
| ერკულესი-ალბასეტე | 2:0 |
| სოსიედადი-ეხიდო | 0:1 |
| კადისი-სალამანკა | 1:0 |

### გერმანია

#### რეგიონალლიგა (ჩრ)

VIII ტური

| | |
|---|---|
| ალენი-დინამო (დრ) | 1:2 |
| დორტმუნდი II-ჰამბურგი II | 3:1 |
| ბრაუნშვაიგი-ვუპერტალი | 1:4 |
| ფორტუნა-ფერლი | 3:0 |
| ემდენი-კოტბუსი II | 1:0 |
| ობერჰაუზენი-მაგდებურგი | 2:1 |
| ბაბელსბერგი-ესენი | 1:3 |
| ერფურტი-უნიონი | 2:0 |
| ვოლფსბურგი II-ვერდერი II | 1:0 |

#### რეგიონალლიგა (სამ)

VII ტური

| | |
|---|---|
| შტუტგარტი II-პფულენდორფი | 2:0 |
| კარლსრუე II-შტ. კიკერსი | 0:0 |
| კასელი-ელვერსბერგი | 3:0 |
| ბაიერნი II-ინგოლშტადტი | 1:1 |
| ზიგენი-რეგენსბურგი | 1:3 |
| აალენი-როიტლინგენი | 5:1 |
| ბურგჰაუზენი-მიუნხენი | 0:0 |
| ოგერსჰაიმი-ფრანკფურტი | 1:3 |
| ზანდჰაუზენი-უნტერჰახინგი | 1:0 |

### სერბეთი

გადადებული მატჩი

| | |
|---|---|
| ბორაცი-ბანატი | 0:0 |
| ჰაიდუკი-ცრვენა ზვეზდა | გადაიდო |

### დანია

#### II დივიზიონი

VI ტური

| | |
|---|---|
| სიონდერილი-კიოლდინგი | 2:2 |
| ფრემი-აკადემისკი | 2:1 |
| ფრედერისია-ჰერფიოლგე | 1:1 |
| კიოგე-ოლსტიკე | 2:1 |
| ნესტვედი-ჰვიდოვრე | 1:0 |
| ნიკიობინგი-ჰიკ | 3:0 |
| სკივე-სილკებორგი | 1:1 |
| ვეილე-ფრემადი | 2:1 |

### ნორვეგია

#### II დივიზიონი

XXII ტური

| | |
|---|---|
| ბრინი-ჰამარი | 3:0 |
| ლოვ ჰამ-ჰიონეფოსი | 3:1 |
| მოსი-ნოტოდენი | 3:1 |
| რაუფოსი-მანდალი | 1:4 |
| ტრიომსდალენი-ბოდო გლიმტი | 0:0 |
| ჰაუგესუნდი-კონგსვინგერი | 2:2 |
| მიოლდე-სკეიდი | 0:0 |
| სიოგნდალი-სპარტა | 1:1 |

### შვედეთი

#### II დივიზიონი

XXIII ტური

| | |
|---|---|
| ფალკენბერგი-ნორჩოპინგი | 1:2 |
| მიალბიუ-ლიუნგსკილე | 0:2 |
| ოსტერსი-სირიუსი | 1:2 |
| ენჩოპინგსი-დეგერფორსი | დღეს |
| სილვია-იონჩოპინგსი | დღეს |

### ამხანაგური მატჩები

| | |
|---|---|
| ყაზახეთი-ტაჯიკეთი | 1:1 |
| განა-მაროკო | 2:0 |
| კვიპროსი-სომხეთი | 3:1 |
| ეკვადორი-სალვადორი | 5:1 |
| ვენესუელა-პარაგვაი | 3:2 |
| პერუ-კოლუმბია | 2:2 |
| აშშ-ბრაზილია | 2:4 |
| მექსიკა-პანამა | შეწყდა |

### შვეიცარია

#### ჩელენჯლიგა

გადადებული მატჩები

| | |
|---|---|
| ვინტერტური-ლოკარნო | 2:0 |
| სერვეტი-დელემონი | 1:1 |

### ურუგვაი

VI ტური

| | |
|---|---|
| პენიაროლი-უონდერერსი | 0:1 |
| დეფენსორი-დანუბიო | 0:0 |
| რამპლა-რივერ პლეიტი | 3:1 |
| პროგრესო-ფენიქსი | 1:4 |
| სერო-სენტრალი | 0:0 |
| ლივერპული-ხუვენტუდი | 1:1 |
| ტაკუარემბო-მირამარი | 0:0 |

### მექსიკა

VII ტური

| | |
|---|---|
| ტეკოსი-ხაგუარესი | 2:1 |
| ატლასი-მონტერეი | 2:2 |
| სან ლუისი-გვადალახარა | 0:0 |
| კრუს აზული-პაჩუკა | 1:2 |
| ტიგრესი-ატლანტე | 2:3 |
| მორელია-პუებლა | 2:0 |
| ტოლუკა-ვერაკრუსი | 2:1 |
| ნეკაქსა-პუმასი | გვ. დასრულდა |
| ს. ლაგუნა-ამერიკა | გვ. დასრულდა |

### აშშ

XXIII ტური

| | |
|---|---|
| ლოს ანჯელესი-კოლორადო | 3:1 |
| დალასი-ტორონტო | 2:0 |
| ჰიუსტონი-სოლტ ლეიკი | 4:3 |
| კოლამბუსი-ჩიკაგო | 0:1 |
| დი სი იუნაიტედი-ნიუ ინგლენდი | 4:2 |
| ჩივასი-ნიუ იორკი | გვ. დასრულდა |

### მსოფლიო ჩემპიონატი

#### UNDER 17

III ადგილისთვის

| | |
|---|---|
| განა-გერმანია | 1:2 |

ფინალი

| | |
|---|---|
| ესპანეთი-ნიგერია | 0:0, პენ. 0:3 |

### ევრო 2009

#### Under 21

| | |
|---|---|
| აზერბაიჯანი-საბერძნეთი | 0:2 |
| ალბანეთი-ხორვატია | 1:0 |
| სომხეთი-ჩეხეთი | 1:1 |
| ლუქსემბურგი-თურქეთი | 2:3 |
| შვეიცარია-მაკედონია | 1:1 |
| ფინეთი-შოტლანდია | 3:2 |
| სერბეთი-ბელარუსი | 3:1 |
| ბოსნია-მალტა | 4:0 |

### აფრიკის თასი

#### შესარჩევი

| | |
|---|---|
| კენია-ანგოლა | 2:1 |
| უგანდა-ნიგერი | 3:1 |
| ნიგერია-ლესოტო | 2:0 |
| კდრ-ლიბია | 1:1 |
| ეკვ. გვინეა-კამერუნი | 0:0 |
| ეთიოპია-ნამიბია | 2:3 |
| რუანდა-ლიბერია | 4:0 |
| გაბონი-კოტ დ'ივუარი | 0:0 |
| სენეგალი-ბურკინა ფასო | 5:1 |
| ტანზანია-მოზამბიკი | 0:1 |
| ბურუნდი-ეგვიპტე | 0:0 |
| ზიმბაბვე-მალავი | 3:1 |
| მავრიტანია-სეიშელი | 1:1 |
| სვაზილენდი-ერითრეა | 0:0 |
| ჩადი-კონგო | 1:1 |
| ს. აფრიკა-ზამბია | 1:3 |
| სუდანი-ტუნისი | 3:2 |
| გამბია-ალჟირი | 2:1 |
| გვინეა-კაბო ვერდე | 4:0 |

### არგენტინა

VII ტური

| | |
|---|---|
| ოლიმპო-არგ. ხუნიორსი | 1:1 |
| ბანფილდი-როსარიო | 3:2 |
| ხიმნასია (ხ)-ტიგრე | 0:2 |
| ნიუელსი-ლანუსი | 0:0 |
| ინდეპენდიენტე-სან მარტინი | 2:2 |
| ურაკანი-ხიმნასია (ლ) | 0:1 |
| ესტუდიანტესი-რასინგი | 2:1 |
| სან ლორენსო-არსენალი | 2:4 |
| რივერი-ველესი | 5:0 |
| კოლონი-ბოკა | გვ. დასრულდა |

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ჩოგბურთი

# ბორჯომი გაიხსნა

ამ უქმეებზე ლეილა მესხის ჩოგბურთის აკადემიის კორტებზე საჩოგბურთო ტურნირის საკვალიფიკაციო ეტაპის მატჩები გაიმართა და ის 32 მონაწილე გაირკვა, ვინც დღეიდან ერთმანეთს პირველობას შეეცილება. ტურნირს კი მინერალური წყლების კომპანია "ბორჯომი" პატრონობს და მისი სახელობის თასი თამაშდება. "ბორჯომის თასი" ტრადიციული ტურნირია და წელს მეთერთმეტედ ტარდება. საპრიზო ფონდი 10 ათასი დოლარია. გარდა "ბორჯომისა" ტურნირს კომპანია "კოკა-კოლა" და "ავსტრიის ავიახაზებიც" უდგანან მხარში; საინფორმაციო მხარდაჭერას კი საზოგადოებრივი ტელევიზია, რადიო "ფორტუნა" და გაზეთი "ლელო" ახორციელებენ.

საკვალიფიკაციო ტურნირში 29 ჩოგბურთელი ჩაება, აქედან ქართველი 9 იყო. აქედან ძირითად ბადეში კი მხოლოდ **მაგდა ოქრუაშვილმა** გააღწია.

ძირითადი ბადის 32 მონაწილიდან 12 ქართველია. ნაწილმა რეიტინგით მიიღო ძირითად ბადეში ასპარეზობის უფლება, ნაწილმა კი "უაილდ ქარდით" - ასეთი სამია: **ნინო მებუკე, თათია მიქაძე** და **ანა ჯიქია**.

წილისყრამ ოთხი ქართველი ერთმანეთის პირისპირ დააყენა: ქართული დერბი **სოფიკო შაფათავა-მაგდა ოქრუაშვილსა** და **სალომე ჩაჩხუნაშვილი-ნინო მებუკეს** შორის გაიმართება. დანარჩენ ქართველთა მეტოქეები არიან: **ეკა გორგოძე**-ავგუსტა ციბიშევა; **თათია მიქაძე**-დარია შილინა; **თეონა ცერცვაძე**-იულია კირილენკო; **მანანა შაფაქიძე**-პეტრა მოკრა; **თინათინ ყავლაშვილი**-ეკატერინა მალიარჩიკოვა; **ანა ჯიქია**-ოფელია პოლოსიანი; **სოფიკო ქვაცაბაია**-ჟანა პანფილკინა; **მარიამ ქურდაძე**-კატერინა მალახოვა.

განთესილი 8 ჩოგბურთელია. პირველია **რუსი ელიზავეტა ტოჩილოვსკაია;** მეორე - **სოფიო შაფათავა; მანანა შაფაქიძე** მეხუთეა, **ეკა გორგოძე** - მეშვიდე.

ტურნირში წყვილებიც ასპარეზობენ. ქართველთა რაოდენობა აქაც თვალსაჩინოა: 10. ამათგან რვა ერთმანეთს დაუწყვილდა, ორმა კი - მანანა შაფაქიძემ და ეკა გორგოძემ რუსი და ბელარუსი მეწყვილეები არჩიეს: შაფაქიძე ავგუსტა ციბიშევასთან ერთად იბრძოლებს პირველობისთვის, გორგოძე კი ვიქტორია ველიამიანავასთან შეამხანაგდა.

წყვილებში ოთხი განთესილია. პირველ ნომრად **შაფათავა-ციბიშევას** წყვილია მიჩნეული.

სულ ტურნირზე 12 ქვეყნის წარმომადგენელია: ჩეხეთი, რუსეთი, უკრაინა, ბელარუსი, აზერბაიჯანი, სომხეთი, მოლდოვა, ესტონეთი, ისრაელი, ჩინეთი, სლოვაკეთი და საქართველო. თამაშები დილის 10 საათიდან იწყება და გვიან საღამომდე გრძელდება.

**ზვიად შათირიშვილი**






## ფრენბურთი

# მეშვიდე ადგილზე

მსოფლიო ტურის ბოლოსწინა ეტაპი, სტარი იაბლონკიში (პოლონეთი), **გეორ-გიამ** მე-7 ადგილზე დაასრულა. შეჯიბრების მესამე დღეს ჩვენმა ფრენბურთელებმა, რომლებიც ტურნირზე მე-11 ნომრად იყვნენ განთესილი, მე-4 ნომერ გერმანულ დუეტთან **ბრინკთან** და **დიკმანთან** წააგეს - 18:21, 18:21. გეორ-გიამ რეიტინგში 300 ქულა მიითვალა და ქისა 8 000 ამერიკული დოლარით შეივსო. წლევანდელი ტურის ბოლო ეტაპი 25-30 სექტემბერს ბრაზილიის ქალაქ ფორტალეზაში გაიმართება. იქ ორივე ქართული წყვილი იასპარეზებს.

**ბესიკ ჯანგავაძე**



წყვილთა ტურნირის ფინალისტები. მარცხნივ ოქსანა კალაშნიკოვა

# შავი შაბათი ოქსანასთვის

შაბათს ამერიკის ღია პირველობის ახალგაზრდულ ტურნირში ქართული ჩოგბურთის ამომავალმა ვარსკვლავმა, 17 წლის **ოქსანა კალაშნიკოვამ** ორი მარცხი განიცადა: მან ჯერ ერთეულთა თანრიგის ნახევარფინალში წააგო, შემდეგ - წყვილების ფინალში. მსოფლიოს მე-17 ჩოგანი ახალგაზრდებში "ფლეშინგ მედოუს" მე-13 კორტზე სლოვაკ **კრისტინა კუცოვას** შეხვდა, რომელმაც დღით ადრე პირველი ჩოგანი რუსი **ანასტასია პავლიუჩენკოვა** დაამარცხა. აქამდე ეს ჩოგბურთელები ერთმანეთს ერთხელ შეხვედრიან დიდების ტურნირში, ის მატჩი ქართველმა მოიგო. სამწუხაროდ, კუცოვამ შური იძია, ოქსანა მას მხოლოდ პირველ სეტში გაუძალიანდა - 5:7, 1:6. ორიოდ საათის მერე კალაშნიკოვას კვლავ კორტზე უხმეს, ამჯერად წყვილთა თანრიგის ფინალის სათამაშოდ. მე-3 ნომრად განთესილი კალაშნიკოვა და რუსი **ქსენია ლიკინა**, მე-2 ნომრად განთესილ **ურსულა რადვანსკას** (პოლონეთი) და **ქსენია მილევსკაიას** (ბელარუსი) ხვდებოდნენ, მეტოქეთა უპირატესობა აშკარა იყო, ტიტულიც მათ დარჩათ - 1:6, 2:6. შეხვედრა სულ რაღაც 57 წუთს გაგრძელდა. ევროპის ვიცე-ჩემპიონ კალაშნიკოვასთვის "დიდი სლემის" ტურნირის ერთეულთა თანრიგის ნახევარფინალში გასვლა მაინც დიდი წარმატებაა. ამერიკის ღია პირველობის შემდეგ კალაშნიკოვა, სავარუდოდ, რეიტინგში მოწინავე ათეულში შევა.

## ყავლაშვილის მეორე ტიტული

სამ წელიწადზე მეტი აშორებს 20 წლის **თინათინ ყავლაშვილის** პირველ და მეორე ტიტულებს. პირველად მან 17 წლის ასაკში სტამბოლის საერთაშორისო ტურნირი (10 ათასი დოლარი) მოიგო, შემდეგ კი ყავლაშვილს ორი სეზონი გაუცდა. ბაქოში ძირითად ბადეში თინათინ ყავლაშვილი ათ ქართველ ჩოგბურთელთაგან ერთ-ერთი იყო, ის არ განუთესავთ. მიუხედავად ამისა, მან იოლად დაამარცხა ფავორიტები და ფინალში გავიდა. ფინალში ყავლაშვილის მეტოქე უკრაინელი **ლესია ცურენკო** იყო. ქართველმა ჩოგბურთელმა ორ სეტში იმარჯვა - 6:3, 6:4. გამარჯვებული ორშაბათიდან თბილისის საერთაშორისო ტურნირ "ბორჯომის თასზე" იასპარეზებს.

## ნოდარ ითონიშვილმა მეოთხედფინალი იკმარა

19 წლის **ნოდარ ითონიშვილმა** კაიროს საერთაშორისო ტურნირში (10 ათასი დოლარი) ასპარეზობა მეოთხედფინალში დაასრულა. ითონიშვილის მეტოქე მე-3 ნომრად განთესილი მასპინძელი **ქარიმ მაამუნი** (487) იყო. ითონიშვილმა ფავორიტს მედგარი წინააღმდეგობა გაუწია, თუმცა სეტებში თითოჯერ მაინც დათმო საკუთარი მოწოდება - 5:7, 4:6. წყვილთა თანრიგში ნოდარმა პირველივე რაუნდში წააგო.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

## სუმო

# ორი ქართული იორიკირი

ტოკიოს დარბაზ "კოკუგიკანში" დაიწყო წლის მეოთხე სუპერტურნირი, აკი ბაშო. ქართველი ფალავანი **ლევან ცაგურია (კოკაი)**, რაც უმაღლეს დივიზიონში გადავიდა, ბაშოს ყველაზე დაბალი რანგით შეხვდა - ის აღმოსავლეთის მე-12 მაეგაშირაა. კოკაის პირველი მეტოქე მასავით დაქვეითებული **ფუტენო** (მე-11 მაეგაშირა) გახლდათ, აქამდე მათ ურთიერთშეხვედრებში 4:4 იყო. კოკაიმ იორიკირის ილეთით იმარჯვა და პირველი მოგება აქტივში ჩაინერა. მან მარჯვენათი მკვიდრად ჩასჭიდა მეტოქეს მავაშში, მარცხენათი კი მას ყელში წვდა, ილეთიც საკმაოდ ეფექტური გამოუვიდა ექსკომუსუბის. დღეს კოკაის მეტოქე მე-13 მაეგაშირა **რიუოა**. ქართველი რიუოს აქამდე არასოდეს შეხვედრია.

ბაშო დიდი ჩემპიონის, **ასაშორიუს** გარეშე იმართება, რომელსაც არც ნოემბრის ბაშოზე აქვს ასპარეზობის უფლება. პირველივე დღის სენსაციის ავტორი მონღოლი კომუსუბი **ამაა**, რომელმაც თანამემამულე იოკოძუნა **ჰაკუჰო** დაამარცხა.

მესამე დივიზიონ მაკუშიტაში ორი ქართველი ასპარეზობს **ლევან გორგაძე (ტოჩინოშინი**, აღმოსავლეთის მე-6) და **თეიმურაზ ჯუღელი (გაგამარუ**, აღმოსავლეთის 48-ე). ტოჩინოშინი ძურიოს დივიზიონის დაწინაურების სავარაუდო ზონაშია, ოღონდ ამისთვის მას, სავარაუდოდ, დაუმარცხებლად გამოსვლა დასჭირდება. პირველი ორთაბრძოლა მან მოიგო, იორიკირით მეხუთე მაკუშიტა **ტაკეკაბუტო** დაამარცხა. აი, გაგამარუ კი კვლავ ვერ გვახარებს, გუშინ მან **ფუკუოკასთან** წააგო.



ჰომაშო კაიოს ამარცხებს

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

### აკი ბაშო

### სექტემბრის სუპერტურნირი

9-23 სექტემბერი, ტოკიო (იაპონია)

I დღე.: კოკაი-ფუტენო 1:0 (იორიკირი), ამა-ჰაკუჰო 1:0, ჩიოტაიკაი-კისენოსატო 1:0, კოტოოშუ-ტოკიტენკუ 1:0, ჰომაშო-კაიო 1:0, კოტომიცუკი-ტოჩინონადა 1:0, ამინიშიკი-კაკურიუ 1:0, ასასეკირიუ-ჰოკუტორიკი 1:0, კოტოშოგიკუ-დეჯიმა 1:0, ტოიონოშიმა-ვაკანოსატო 1:0, მიაბიამა-ტოიოჰიბიკი 1:0, კაიჰო-ტამანოშიმა 1:0, როჰო-ტოსანოუმი 1:0.

II დღე.: კოკაი-რიუო, ჰაკუჰო-ტოკიტენკუ, კოტოოშუ-ამა, კაიო-კისენოსატო, კოტომიცუკი-ჰომაშო, ჩიოტაიკაი-ტოჩინონადა, ასასეკირიუ-კაკურიუ, ამინიშიკი-ჰოკუტორიკი, კოტოშოგიკუ-ვაკანოსატო, დეჯიმა-ტოიონოშიმა, მიაბიამა-კაიჰო, ტოიოჰიბიკი-ტამანოშიმა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჭიდაობა

მსოფლიო ჩემპიონატი

# დარჩიამ ახალგზედა არჩია

გუშინ, ანტიკური ჭიდაობის ეროვნული ნაკრების თავკაცმა ბეგი დარჩიამ მსოფლიო პირველობაზე მონაწილე გუნდი დაასახელა: **მამუკა ხოზრევანიძე** (55), **დავით ბედინაძე** (60), **ლაშა ლომაძე** (66), **მანუჩარ კვირკველია** (74), **ბადრი ხასაია** (84), **რამაზ ნოზაძე** (96), **რევაზ ჭელიძე** (მძიმე).

ამ შემადგენლობიდან უმეტესობამ ადრევე გაინაღდა ბაქოში გამოსვლა, ყველაზე ბოლოს კი ხოზრევანიძისა და ჭელიძის ბედი გაირკვა. უფრო მაინც ხოზრევანიძისა, თორემ ჭელიძემ მსოფლიოზე წასვლა მას შემდეგ გაინაღდა, რაც აგვისტოში რუმინეთის ტურნირზე აჯობა თავის კონკურენტ **გურამ ფერსელიძეს** - ჭელიძემ ბრინჯაო მოიპოვა, ფერსელიძე კი მეხუთეზე გავიდა.

ხოზრევანიძისა და **ირაკლი ჭოჭუას** კონკურენცია კი მხოლოდ შაბათს გადაიჭრა ბორჯომში, დასკვნით შეკრებაზე გამართულ საკონტროლო შეხვედრაში. ეს ორთაბრძოლა ჭოჭუამ მოიგო - ორივე პერიოდი ფრედ დასრულდა და ჭოჭუამ ორივეჯერ ბოლო ქულის წყალობით გაიმარჯვა, მაგრამ შემდეგ ორჯერ დამარცხდა - **ლაშა გოგიტაძესთან** და **გიორგი გვენეტაძესთან**. დარჩიას გადაწყვეტილებაზე სწორედ ამან იმოქმედა - ჭოჭუა დასკვნით ეტაპს მომზადებული ვერ შეხვდა და მწვრთნელმაც არჩევანი ახალგაზრდა ფალავანზე შეაჩერა. არადა, ბორჯომში წასვლამდე დარჩია უფრო ჭოჭუასკენ იხრებოდა, როგორც უფრო გამოცდილისკენ.

ხოზრევანიძემ მსოფლიოზე წასვლის პირველი სერიოზული განაცხადი ივლისში, გივი კარტოზიას ტურნირის მოგებით გააკეთა. სხვათა შორის, მან ფინალში თურქი უსანტუ დაამარცხა, რომელმაც ნახევარფინალში ჭოჭუას მოუგო. იმის შემდეგ ხოზრევანიძემ კიდევ ერთი გამოცდა ჩააბარა წარმატებით - რუმინეთის საერთაშორისო ტურნირში ვერცხლის მედალი მოიპოვა.

მისი შედეგები მისასალმებელია, რომ არა ერთი საჩოთირო ნიუანსი - ზედმეტი წონა. საკონტროლოებამდე დარჩია მას ცოტა უნდობლად ამის გამოც უყურებდა. აქამდე ხოზრევანიძეს სუფთა წონით, ანუ რეალურად 55 კილოგრამს არასოდეს უჭიდავია - საქართველოში ზედა წონაში გამოდიოდა, საერთაშორისო ტურნირებზე კი ზედმეტი 2 კილოგრამით ასპარეზობა დაშვებულია. ხოზრევანიძეც სწორედ ამ შეღავათს იყენებდა, მაგრამ ახლა ბაქოში ბოლომდე მოუწევს დაკლება. საკითხავი სწორედ ესაა - რამდენად აიტანს იგი ამას. არიან მოჭიდავეები, რომლებიც რამდენიმე კილოგრამის დაკლებასაც უმტკივნეულოდ ეგუებიან, მაგრამ ზოგისთვის გრამების დაკარგვაც კი ტანჯვაა. თუმცა ფაქტია, რომ იგი ძალზე ნიჭიერია და მისი სახით ღირსეული მოჭიდავე იზრდება. თუმცა ჯერ კიდევ ბორჯომში წასვლამდე ამ თემაზე საუბრისას დარჩიამ ისიც დაამატა, გააჩნია, რომელ წონაშიაო. ჯერჯერობით ეს 55-ში მოხდა, დანარჩენი კი მომავლის საქმეა.

გუნდის დანარჩენ წევრებზე სათქმელი ბევრიც არაფერია, რადგან ამას ტიტულების ჩამოთვლაც ეყოფა - ბედინაძე ევროპისა და მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონია; კვირკველია - ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონი; ხასაია - მსოფლიოს ვიცე და ევროპის ჩემპიონი; ნოზაძე - ევროპის ჩემპიონი, მსოფლიო პრიზიორი და ოლიმპიადის ვერცხლის მედალოსანი. ჯერჯერობით უტიტულონი ლომაძე და ჭელიძე არიან, მაგრამ გამოცდილება არც ერთს აკლია.



ირაკლი ჭოჭუა ამჯერად ნაკრების მიღმა დარჩა

ჩვენები 14 სექტემბერს გაემგზავრებიან ბაქოში, ტურნირში კი 17-დან ჩაებმებიან. აქვე გეტყვით, რომ ბაქოში პეკინის ოლიმპიადის ლიცენზიებიც გათამაშდება - ყოველ წონაში 8. ხელმოცარულებს ორივე სტილის ჭიდაობაში გაისად საგზურების მოსაპოვებლად ორ-ორი შანსი მიეცემათ. "ანტიკოსთა" სალიცენზიო ტურნირებს 10-11 მაისს ტუნისი და 24-25 მაისს ვარშავა უმასპინძლებენ, "თავისუფლებისას" - 19-20 აპრილს - შვეიცარია, 3-4 მაისს - სერბეთი. ამათგან პირველ ტურნირებში ლიცენზიებს ხუთეულში მოხვედრილები მიიღებენ, მეორეებში - მხოლოდ პრიზიორები.

აქვე იმასაც განვმარტავ, რომ ლიცენზიას იღებს ფედერაცია და არა სპორტსმენი. ამდენად, მისი მოპოვება ოლიმპიადაზე წასვლის გარანტია არაა. შეიძლება ისეც მოხდეს, რომ ვიღაცამ წლეულს საგზური დაისაკუთროს, მაგრამ გაისად კონკურენტმა აჯობოს და თამაშებზეც ის წაიყვანონ.

დღეს ნაკრების შემადგენლობა თავისუფალი ჭიდაობის ეროვნული გუნდის მწვრთნელმა **ზაზა თურმანიძემ** უნდა დაასახელოს.

**ირაკლი თავაძე**

კრივი

კადეტთა მსოფლიო ჩემპიონატი

# შარშანდელის გამეორება

ბაქოში დასრულდა კადეტ მოკრივეთა მსოფლიო ჩემპიონატი. შეჯიბრების უკანასკნელ დღეს, ერთადერთი ქართველი - **რომან თავაძე** (70 კგ) იყო შემორჩენილი რინგს, რომელიც ოქროს მედლისთვის იბრძოდა.

ფინალში თავაძის მეტოქე იყო კუბელი **პლატ რეი**. კუბური კრივის სიძლიერე ალბათ ყველას კარგად მოეხსენება და სიმართლე გითხრათ, მაინცდამაინც დიდი იმედი არც გვქონია, რომ ჩვენებური რეის დამარცხებას შეძლებდა.

მოულოდნელად, თავაძემ საკმაოდ კარგად დაიწყო და პირველ რაუნდში, მინიმალური სხვაობით დაჯაბნა კიდეც კუბელი - 3:2. თუმცა მეორე რაუნდში, პლატ რეი სრული სიმძლავრით ამოქმედდა, ათი ქულით გაიჭრა წინ და მეტოქე ორჯერ ნოკდაუნში ჩააგდო. მსაჯებმა ორთაბრძოლა შეაჩერეს და აშკარა უპირატესობის გამო, გამარჯვება მიანიჭეს კუბელს.

ამრიგად, წლევანდელი მსოფლიო ჩემპიონატი ჩვენთვის ზუსტად ისე დამთავრდა, როგორც შარშან - ერთი ვერცხლით. შარშან, ფინალში იჩხუბა **ზაალ კვაჭატაძემ**, რომელიც წლეულს ასაკის გამო ველარ წავიდა მსოფლიო ჩემპიონატზე, ახლა კი ანალოგიური შედეგი რომან თავაძემ აჩვენა.

ვულოცავთ რომანს ესოდენ საპატიო ტიტულს და მომავალშიც წარმატებებს ვუსურვებთ.

ეროვნული ნაკრები

# რვა მედალი ერევნიდან

ერევანში დასრულდა ედუარდ არისტაკესიანის სახელობის მოკრივეთა საერთაშორისო ტურნირი. ცნობისათვის - არისტაკესიანი თბილისში, ავლაბარში გაზრდილია, რომელმაც შემდეგ ისტორიულ სამშობლოს მოაშურა და იქაური კრივისთვის ძალიან ბევრი რამ გააკეთა.

არისტაკესიანის სახელობის ტურნირი, საქართველოს ეროვნული ნაკრებისთვის უკანასკნელი შეჯიბრება იყო მოახლოებული პეკინის ოლიმპიადის სალიცენზიო მსოფლიო ჩემპიონატის წინ. სომხეთში წასვლა თავიდან არც იყო დაგეგმილი, მაგრამ ნაკრების ახალმა თავკაცმა **თენგიზ მესხაძემ** მოისურვა შეგირდების საქმეში ნახვა.

მესხაძის ხელმეორე დებიუტი საკმაოდ შთამბეჭდავი გამოდგა. მან ათი მოკრივე იახლა ერევანში და ორის გარდა, ყველამ მედალი მოიპოვა.

ოქროს მედლები მოიპოვეს **ლევან ღვამიჩავამ** (64 კგ) და **ბექა ლობჟანიძემ** (+91 კგ), მხოლოდ ფინალები დათმეს **კახა ჟვანიამ** (69 კგ) და **დავით ნიკოლაურმა** (81 კგ), ხოლო **ალექსანდრე ჩეჩელიანი, ზვიად ხადური** (ორივე 48 კგ), **კობა ფხაკაძე** (57 კგ) და **გიორგი ნაკანი** (75 კგ) მესამეები იყვნენ.

ამრიგად, საქართველოს ნაკრებს დარჩა ორი დასკვნითი შეკრება მსოფლიო ჩემპიონატზე წასვლამდე. აქედან, ერთი შეკრება სომხეთში, წაკხაძორის ოლიმპიურ ბაზაზეა დაგეგმილი, მეორე კი საქართველოში. ამას გარდა, გუნდის ხელმძღვანელობა არც ნაკრებს მიღმა დარჩენილ მოკრივეებს ივიწყებს. ამ დღეებში, ეროვნული ნაკრების მეორე შემადგენლობა რუსეთში წავა და საერთაშორისო ტურნირზე იკრივებს.

**კობა ხატისაშვილი**

თარიღი

**მიხეილ ქორქია.** 10.09.1948, ქუთაისი - 08.02.2004, თბილისი. კალათბურთი (196 სმ). თამაშობდა თბილისის "დინამოსა" (1965-79) და სსრკ ნაკრებში (1971-77). 1972 წლის მიუნხენის ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი და 1976 წლის მონრეალის ოლიმპიადის მესამე პრიზიორი, ევროპის ჩემპიონი (1971) და ორგზის მეორე პრიზიორი (1975, 77), სსრკ ჩემპიონი (1968) და მეორე პრიზიორი (1969), სსრკ თასის მფლობელი (1969). იყო ქუთაისის "ტორპედოს" ფეხბურთელთა გუნდის ერთ-ერთი მეპატრონე და მისი პრეზიდენტი (1998-იდან). სსრკ სპორტის დამსახურებული ოსტატი, ღირსებისა და გორგასლის II ხარისხის ორდენების კავალერი.

**ალექსანდრე ტუტაკაევი.** დაიბადა 10.09.1943, თბილისი. ცურვა, ბრასი. ევროპის ჩემპიონი (1966 - კომბინირებული ესტაფეტა 4X100 მ) და მეორე პრიზიორი (1966 - 200 მ), სსრკ ჩემპიონი (1966 - 200 მ), მეორე (1964 - 400 მ) და ორგზის მესამე (4X100 მ, 1966 - 100 მ) პრიზიორი, 1964 წლის ტოკიოს ოლიმპიური თამაშების მონაწილე (200 მ - IV ადგილი; კომბინირებული ესტაფეტა 4X100 მ - IV ადგილი). საუკეთესო პირადი შედეგები: ბრასი 100 მ - 1.09.1 წთ, 200 მ - 2829.8 წთ. საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი.

**მოისეი კასიანიკი.** 10.09.1911, ნოვი ჟიტომირი, დნეპროპეტროვსკის ოლქი (უკრაინა) - 1988, ვოლგოგრადი (რუსეთი). ძალოსნობა. (60 კგ). მსოფლიოსა (1946) და ევროპის (1947) ჩემპიონატების მესამე პრიზიორი, სსრკ ხუთგზის ჩემპიონი (1936, 37, 43, 44, 46), ხუთგზის მეორე (1938, 39, 40, 47, 48) და მესამე პრიზიორი (1950). დამყარებული აქვს სსრკ 24 რეკორდი. სსრკ სპორტის დამსახურებული ოსტატი, საერთაშორისო კატეგორიის მსაჯი. 1938 წლიდან საქართველოში ცხოვრობდა.

**ავთანდილ ციბაძე.** 10.09.1925, თბილისი - 17.12.2001, იქვე. პედაგოგიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, საქართველოს პედაგოგიური აკადემიის ნამდვილი წევრი, საქართველოს ფიზიკური კულტურისა და სპორტის დამსახურებული მოღვაწე. 30-ზე მეტი წიგნის ავტორი. მისი ნაშრომები გამოქვეყნებულია ბელგრადში, ათენში, მოსკოვში, კიევში, ლენინგრადსა და ლაიპციგში. 50 წლის განმავლობაში სპორტის აკადემიაში კითხულობდა ლექციებს, იყო ფიზიკური კულტურისა და სპორტს ისტორიის კათედრის გამგე. ქართული სპორტის ისტორიის საკითხებზე გამოსცა 10 სახელმძღვანელო, თავისივე სცენარით შექმნა სასწავლო კინოფილმები, რომლებიც პრემიით აღინიშნა. აქტიურად მონაწილეობდა სეოკ-ის დაფუძნებაში. მისი თაოსნობით დაარსდა ოლიმპიური აკადემია, რომელსაც სიცოცხლის ბოლომდე ხელმძღვანელობდა.



ქ. თბილისის მერიის ოლიმპიური მზადების მთავარი ცენტრის გ. ეგნატაშვილის სახელობის სპორტის სახეობათა ფილიალის თანამშრომლები, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტი დაბადებიდან 75 წლისთავს ულოცავენ ღვაწლმოსილ პედაგოგს, საქართველოს დამსახურებულ მწვრთნელს სპორტულ ტანვარჯიშში **ოთარ მიქელაძეს.**

ოთარ მიქელაძემ მოამზადა 5 საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი, 35 სპორტის ოსტატი, 100-ზე მეტი ოსტატობის კანდიდატი და პირველთანრიგოსანი. მის აღზრდილთა შორის არიან ცნობილი ტანმოვარჯიშეები - ამირან ნოზაძე, მალხაზ თათარაძე, ივანე კევლიშვილი, ევროპის ჩემპიონები აკრობატიკაში - გიორგი პაპუაშვილი და გიორგი მაკასარაშვილი...

საქართველოს ტანვარჯიშის სახეობათა ეროვნული ფედერაცია დაბადებიდან 75 წლისთავს ულოცავს საქართველოს დამსახურებულ მწვრთნელს სპორტულ ტანვარჯიშში **ოთარ მიქელაძეს.**

საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი და საქართველოს ოლიმპიური ფონდი დაბადების დღეს ულოცავენ სეოკ-ის გენერალურ მდივანს და ფონდის ვიცე-პრეზიდენტს **ემზარ ზენაიშვილს.**

საქართველოს ტანვარჯიშის სახეობათა ეროვნული ფედერაცია დაბადების დღეს ულოცავს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის გენერალურ მდივანს და საქართველოს ოლიმპიური ფონდის ვიცე-პრეზიდენტს **ემზარ ზენაიშვილს.**

ჭადრაკი

# უქმეებმა უქმად ჩაიარა...

სამწუხაროდ, **ლელა ჯავახიშვილმა** შაბათ-კვირას ჩვეულად ვერ ითამაშა ბაქოს ტურნირზე: მეხუთე ტურში პოლონელ **მონიკა სოცკოს** შავებით არაფერი დაანება და ყაიმით ითამაშა, რაც ცუდი შედეგი ნამდვილად არ იყო, თუმცა მეექვსე ტურში თეთრებით აზერბაიჯანელ **ფირუზა ველიხანლისთან** მარცხი კი ნამდვილად მოულოდნელი გახდა. ლელამ დებიუტი მთლად კარგად ვერ გაითამაშა, მაგრამ შუა თამაშში შეძლო მეტოქის იერიშების გაუვნებელყოფა და საყაიმო ენდშპილში გადავიდა: დაფაზე თითო ეტლი და სამ-სამი პაიკი დარჩა. სამწუხაროდ, ლელა ვერ გაერკვა პოზიციაში, შეცდა და წააგო. მარცხმა ქართველი მოჭადრაკე პირველი ადგილიდან მესამეზე ჩამოაქვეითა. მისი ადგილი ბულგარელმა **ანტუანეტა სტეფანოვამ** დაიკავა 5 ქულით; მეორეზე მონიკა სოცკოა 4,5 ქულით. ლელა მესამეა 4 ქულით, ამდენივე აქვს შვედ **პია კრამლინგს**. შემდეგ ადგილებზე არიან: 5. **ვიქტორია ჩმილიტე** - 3; 6. **კატერინა ლაჰნო** - 3; 7. **ფირუზა ველიხანლი** - 2,5; 8. **სოფი მიიე** - 2; 9. **ნარგიზ უმუდოვა** - 1,5; 10. **ილაჰა კადიმოვა** - 0,5.

დღეს, მეშვიდე ტურში ლელა ჯავახიშვილი შავებით პია კრამლინგს ხვდება. სხვა წყვილები: ლაჰნო-უმუდოვა; სოცკო-სტეფანოვა; ველიხანლი-ჩმილიტე; კადიმოვა-მიიე.

**ზვიად შათირიშვილი**

# ფანცულაია მეორეა

სტამბოლის საჭადრაკო ფესტივალი თურქმა **მიხაილ გურევიჩმა** მოიგო 9 შესაძლებლიდან 8 ქულით. 7.5 ქულა 11 მოჭადრაკემ, მათ შორის ექვსმა ქართველმა დააგროვა, კოეფიციენტით კი მეორე ადგილი **ლევან ფანცულაიას** მიეკუთვნა.

ქართველების შედეგები: 2. **ლევან ფანცულაია - 7.5, 5. გიორგი მარგველაშვილი - 7.5, 6. ლევან აროშიძე - 7.5, 7. კონსტანტინე შანავა - 7.5, 10. დავით არუთინიანი - 7.5, 11. დავით ლომსაძე - 7.5, 14. დავით ჯოჯუა - 7, 26. დავით მალალაშვილი - 6.5, 28. გიგა ყუფარაძე - 6.5, 29. შოთა აზალაძე - 6.5, 31. ნინო ხურციძე - 6.5, 33. ივერი ჭილაძე - 6.5, 38. ნანა ძაგნიძე - 6.5, 41. ბელა ხოტენაშვილი - 6.5, 46. ინგა ჭარხალაშვილი - 6.5, 49. ბაჩანა მორჩიაშვილი - 6, 52. თორნიკე სანიკიძე - 6, 58. დავით ზარქუა - 6, 60. მაკა ფურცელაძე - 6, 61. ნონა დათუაშვილი - 6, 67. ანა გავაშელი - 6, 75. მერი ჟორჟოლიანი - 6, 101. სალომე მელია - 5.5, 104. სოფიკო ტერელაძე - 5.5, 107. ნინო ბაციაშვილი - 5.5, 111. გიორგი გამზარდია - 5.5, 115. არმენ გრიგორიევი - 5.5, 140. არჩილ ბერუაშვილი - 5, 157. ანა ბუცხრიკიძე - 5**

ხელბურთი

# სამი წაგება

ორივე ქართულმა კლუბმა "ევროპის თასის" პირველი რაუნდის ორივე მატჩი სტუმრად ჩაატარა. "თბილისი" სლოვაკურ "პოვაჟსკა ბისტრიცას" ეწვია. პირველ მატჩში ჩვენებმა მედგარი წინააღმდეგობა გაუწიეს მეტოქეს, ტაიმი მხოლოდ 5 ბურთით წააგეს, საბოლოოდ კი 25:33 დამარცხდნენ. მეორე მატჩში კი საპირისპირო სურათის მომსწრენი გავხდით, ქართველებმა ველარაფერი დაუპირისპირეს "პოვაჟსკა ბისტრიცას" და 14:35 წააგეს. აღსანიშნავია, რომ პირველ ტაიმში "თბილისმა" 5 გოლზე მეტი ვერ გაიტანა. "თბილისი" გათამაშებას გამოეთიშა.

ქვეყნის ჩემპიონი "სტუ თელავი" ლიტვის "ვილნიუსს" ესტუმრა და პირველ მატჩში 18:30 დამარცხდა. მეორე მატჩის შედეგი ჯერჯერობით უცნობია.

# არგენტინამ პატივი დაგვდო

RUGBY WORLD CUP 2007 FRANCE



არგენტინელთა გუშინდელი ვარჯიში. წინა პლანზე - აუგუსტინ პიშო და მარიო ლედესმა

**დღეს მსოფლიო თასზე დასვენების დღეა. ხვალ ერთადერთი მატჩია, არგენტინა-საქართველო.**

საფრანგეთთან მოგების შემდეგ არგენტინას 4 დღეზე ნაკლები ჰქონდა დარჩენილი მეორე თამაშამდე ძალების ალსადგენად. ამიტომაც, მოსალოდნელი იყო, რომ **მარსელო ლოფრედა** საქართველოს წინააღმდეგ თხუთმეტივე მოთამაშეს გამოცვლიდა, მაგრამ მწვრთნელმა პირველი მატჩის დამწყები შემადგენლობიდან სულ 6 კაცი დაასვენა, გუნდის ხერხემალი კი - 2,8,9,10, 15 ნომრები, ძირითადი დამრტყმელი და კიდევ სამი მოთამაშე უცვლელი დატოვა. აგერ შემადგენლობაც - მუქი შრიფტით ისინი არიან, ვინც საფრანგეთთან თამაში დაიწყო.

არგენტინა: **15. იგნასიო კორლეტო, 14. ლუკას ბორხესი,** 13. გონსალო ტიესი, **12. ფელიპე კონტეპომი,** 11. ფედერიკო მარტინ-არამბურუ, **10. ხუან ერნანდესი, 9. აუგუსტინ პიშო:** 1. მარკოს აიერსა, **2. მარიო ლედესმა,** 3. სანტიაგო გონსალეს-ბონორინო, 4. რიმას ალვარესი, **5. პატრისიო ალბასეტე,** 6. მარტინ დურანი, **7.ხუან ფერნანდეს ლობე, 8. ხუან ლეგისამონი** / 16. ალბერტო ბასუალდო, 17. ომარ ჰასანი, 18. ესტებან ლოსადა, 19. მარტინ შუსტერმანი, 20. ნიკოლას ფერნანდეს მირანდა, 21. ფედერიკო ტოდესკინი, 22. ფედერიკო სერა-მირასი

რაგბში 5 დღეში ორჯერ თამაში აშკარა ანომალიაა. არგენტინას გადამწყვეტი თამაში 30 სექტემბერს აქვს ირლანდიასთან, იქამდე, 22 სექტემბერს კი ნამიბიას ეთამაშება. როგორც ხედავთ, არავითარი აუცილებლობა ფრანგებთან ნაომარი მოთამაშეების კიდევ ერთხელ დასაქმებისა არ არსებობდა - მწვრთნელს შეეძლო ყველანი დაესვენებინა და სარეპეტიციოდ ნამიბიასთან მატჩი გამოეყენებინა. აქედან ერთადერთი დასკვნის გამოტანა შეიძლება - მარსელო ლოფრედა საქართველოს ნაკრებს საკმაოდ უფრთხის და მეორე შემადგენლობას არ ენდობა. თანაც, არგენტინას ძალიან კონკრეტული ამოცანა ექნება გადასაჭრელი ჩვენთან მატჩში - სულ ცოტა 4 ლელოს გატანა და პრემიალური ქულის დაბევება. ეს აუცილებელია, რადგანაც ამ ჯგუფში გადამწყვეტი შესაძლოა სწორედ პრემიალური ქულების რაოდენობა გამოდგეს. ამიტომაც, გარისკვად არ ღირს. მოსალოდნელია, რომ გუნდის ლიდერები, **ლედესმა, ლეგისამონი, პიშო, ერნანდესი, კონტეპომი, კორლეტო** რაც შეიძლება სწრაფად შეეცდებიან მოგების და პრემიის დაბევებასაც. აქედან გამომდინარე, მაქსიმალური კონცენტრაცია, ცხადია, მთელი თამაშის განმავლობაში დაგვჭირდება, მაგრამ განსაკუთრებით - დასაწყისში.

მარტო ვარაუდების ამარა რომ არ დავრჩეთ, აგერ არგენტინელთა კაპიტნისა და მწვრთნელის მატჩისწინა კომენტარები, რითაც დასტურდება, რომ მეტოქე საკმაოდ ფრთხილადაა.

**აუგუსტინ პიშო:** - *საფრანგეთთან მოგების შემდეგ მსოფლიო თასზეც შეიძლება ოცნება. რატომაც არა, ოცნებას კაცი არ მოუკლავს, მაგრამ საქმეს რეალურად თუ შევხედავთ, ჯერ მომდევნო თამაში გვაქვს მოსაგები საქართველოსთან. ჩვენ ლათინები ვართ და ერთ დღეს საფრანგეთის დამარცხება თუ შეგვიძლია, არაა გამორიცხული, მეორე თამაში ჩაგვივარდეს, ამიტომაც მობილიზებულნი უნდა ვიყოთ. ამ ჩემპიონატზე მხოლოდ ჩვენ მოგვიწია ოთხდღიანი ინტერვალით თამაში, რაც სამართლიანად არ მიმაჩნია, მაგრამ რას იზამ...*

**მარსელო ლოფრედა:** - *საქართველოსთან მოდუნება არ შეიძლება. კარგ სტარტის შემდეგ კარგი გაგრძელებაა საჭირო. საფრანგეთთან გამარჯვება უკვა წარსულია, ახლა იმაზე უნდა ვიფიქროთ, რაც წინ გველოდება.*

ძალიანაც კარგი. ძალიან ძლიერი მეტოქე პატივს გვდებს და თითქმის უძლიერესი შემადგენლობით გვეთამაშება! ჩვენც პატივს დავდებთ და მაქსიმალურ წინააღმდეგობას გავუწევთ!

ფულბეკი **იგნასიო კორლეტო** კი არათუ ჯგუფიდან გასვლაზე, უკვე ნახევარფინალზე ფიქრობს: - *საფრანგეთის დამარცხება მხოლოდ პირველი საფეხური იყო, ჩვენ მარტო ამ თამაშის მოგება ვერ დაგვაკმაყოფილებს - მეტი გვსურს. ჩვენ აუცილებლად უნდა ვამარცხოთ საქართველო, შემდეგ ნამიბია და, რაც მთავარია, ირლანდია. ამით ჯგუფში პირველ ადგილზე გავალთ და შედარებით იოლ მეოთხედფინალს - შოტლანდიასთან ან იტალიასთან თამაშს დავიბევებთ!*



მარსელო ლოფრედა

გუშინ, თამაშამდე ზუსტად 48 საათით ადრე ჩვენი ნაკრების სამწვრთნელო შტაბმაც დაასახელა 22-კაციანი რაზმი. ცხადია, უძლიერესი და ყველაზე გამოცდილი მოთამაშეებისგან შემდგარი. აი ისიც:

საქართველო: **15. პალიკო ჯიმშელაძე, 14. ირაკლი მაჩხანელი, 13. მალხაზ ურჯუკაშვილი, 12. ირაკლი გიორგაძე, 11. ბესიკ ხამაშურიძე, 10. მერაბ კვირიკაშვილი, 9. ირაკლი აბუსერიძე; 1. დავით ხინჩაგიშვილი, 2. აქვსენტი გიორგაძე, 3. დავით ზირაქაშვილი, 4. ილია ზედგინიძე (კაპ), 5. მამუკა გორგოძე, 6. გიორგი ჩხაიძე, 7. გია ლაბაძე, 8. ბესო უდესიანი; /** 16.გოდერძი შველიძე, 17.ავთანდილ კოპალიანი, 18. ვიქტორ დიდებულიძე 19. ზვიად მაისურაძე, 20. ბიძინა სამხარაძე, 21. რეზო გიგაური, 22. გიორგი შკინინი.

ნიკოლოზ აბაშიძე

### 8 სექტემბერი. მარსელი. C
### ზელანდია-იტალია 76:14

ზელ: (15-9) მაკდონალდი, ჰაულიტი, მულიაინა (ტოეავა 53), მაკალისტერი, სივივატუ, კარტერი (მეიჯერი 60), კელეჰერი (ლეონარდი 52); (1-8) ვუდკოკი (ტიალატა 54), მეალამუ (ოლივერი 52), ჰეიმენი სბ 42, ჯეკი, ვილიამსი (ლაუაკი 71), კოლინზი, მაკქოუ (მასოი 60), სოოიალო - *11ლ (მაკჰოუ 2, ჰაულიტი 3, მულიაინა, სივივატუ 2, ჯეკი, კოლინზი 2); 9გ (კარტერი 7, მაკალისტერი 2); ს (კარტერი)*

იტა: (15-9) ბორტოლუსი (გალონი 67), რობერტსონი, მაზი, მირ. ბერგამასკო, სტანოევიჩი, დემარინი, ტრონკონი (გრიფენი 67); (1-8) პერუჯინი (ლოჩიჩერო 41), ონგარო (ფესტუჩა 57), კასტროჯოვანი (პერუჯინი 55, სბ 62), დელაპე (ბერნაბო 55), ბორტოლამი, ძანი (ვოსავაი 42), მაუ. ბერგამასკო, პარისე - *2ლ (სტანოევიჩი, მირ. ბერგამასკო); 2გ (ბორტოლუსი, დემარინი)*

მსაჯი: ვეინ ბარნსი (ინგ)

### 8 სექტემბერი. ლიონი. B
### ავსტრალია-იაპონია 91:3

ავს: (15-9) ლეითემი, ეშლი-კუპერი (მიჩელი 59), მორტლოკი (ჯერარდი 68), მეტ გიტო, ტუკირი, ლარქემი (ბარნსი 54), გრეგანი; (1-8) დანინგი (ბაქსტერი 68), მური (ფრეიერი 67), ბაქსტერი (შეპერდსონი 51), შარპი (მაკმენიმენი 51), ვიკერმანი, ელსომი, სმითი, პალუ (ჰოილზი 67) - *13ლ (შარპი, ელსომი 3, ეშლი-კუპერი, ლეითემი 2, ბარნსი 2, მიჩელი 2, სმითი, ფრეიერი ); 10გ (მორტლოკი 7, გიტო 3); 2ს (მორტლოკი)*

იაპ: (15-9) კუსუმი, კიტაგავა, ტაირა, ოტო, ონოზავა, ონო, იატომი; (1-8) იამამოტო, ინოკუჩი, იამამურა, კუმაგაე, ვატუვეი, ვატანაბე, სასაკი (მაკირი 48), კისო - *ს (ონო)*

მსაჯი: ალან ლუისი (ირლ)

### 8 სექტემბერი. ლანსი. A
### ინგლისი-აშშ 28:10

ინგ: (15-9) კუეტო, ლუსი, ნუნი, ქეთი (ფარელი 63), რობინსონი (ტეიტი 67), ბარკლი, პერი (რიჩარდსი 60); (1-8) შერიდანი, რიგანი (ჩატერი 63), ვიკერი (სტივენსი 63), შოუ (ქორი 63), ქეი, ვორსლი (მუდი 69), რისი, დალალიო - *3ლ (რობინსონი, ბარკლი, რისი); 2გ; 3ს (ბარკლი)*

აშშ: (15-9) ვაილსი, სიკა (მალიფა 52), ემერიკი სბ 80, ესიკია სბ 30, ნგვენია, ჰერკასი, ერსკინი; (1-8). მაკდონალდი (მოეაკიოლა 60), ლენცი (ბარდეტი 53), ოსენტროვსკი (მექსტედი 69), გროსი, მანგანი, სტენფილი, ქლევერი ბლუმფილდი (ბასაური 56) - *ლ (მოაეკიოლა); გ, ს (ჰერკასი)*

მსაჯი: ჯონათან კაპლანი (ს.აფრ)

### 9 სექტემბერი. ნანტი. B
### უელსი-კანადა 42:17

უელ: (15-9) მორგანი (გარ. თომასი 49), მ. ჯოუნზი, შენკლინი, პარკერი, შ. ვილიამსი, ჰუკი (სტ. ჯოუნზი 49), პილი (ფილიპსი 66); (1-8) გ. ჯენკინსი, რისი (რის-თომასი 65), ა. ჯოუნზი (დ. ჯოუნზი 69), გაფი (ოუენი 65), ა.ვ. ჯოუნზი, ჯ. თომასი, მ. ვილიამსი (ჩარვისი 60), პოპემი - *5ლ (პარკერი, ა.-ვ. ჯოუნზი, შ. ვილიამსი-2, ჩარვისი); 4გ (სტ. ჯოუნზი); 3ს (ჰუკი)*

კან: (15-9) პაიკი, ვანდერმერვე, კალპენი, სპაისერი, პრიჩარდი, მონრო (სმითი 66), ვილიამსი (ფერპატრიკი 76); (1-8) ჩნოუ (დ. ფლეჩი 57), რიორდანი, თიელი (შ. ფლეჩი 33), ტეიტი (ბურაკი 69), ჯეიმზი, ქედმორი (კარპენტერი 61), ბიდლი (იუქსი 66), სტივენი - *3ლ (ქედმორი, კალპენი, ვილიამსი); გ (პრიჩარდი)*

მსაჯი: ალენ როლანი (ირლ)

### 9 სექტემბერი. პარიზი. A
### სამხ. აფრიკა-სამოა 59:7

აფრ: (15-9) მონტგომერი (შტაინი 43), პიტერსენი, ფური, დევილიე, ჰაბანა, ჯეიმზი (პრეტორიუსი 58), დიუპრე (იანუარი 64); (1-8) დიურანი (ბრ. ბოთა 51), ჯ. სმითი (დიუპლესი 62), ფანდერლინდე (დიურანი 67), ბაკ. ბოთა (მულერი 64), მეტფილდი, ბურხერი, ჟ. სმითი, როსუ (ფანჰირდენი 58) - *8ლ (ჰაბანა 4, მონტგომერი 2, ფური, პიტერსენი); 5გ,3ს (მონტგომერი)*

სამ: (15-9) ლემი, ფაატაუ (ლიმა 60, ფუგა 65), ვილიამსი, მეაფოუ (სეველიი 60), ა. ტუილაგი, ფუიმაონო-საპოუ (კრიჩტონი 57), პოლუ; (1-8) ვაა (ლეალამანუა 61), შვალგერი, ჯონსტონი, ტეკორი (პერდი 55), თომპსონი, ლეო, სიტიტი, ჰ. ტუილაგი (ვაელუაგა 57) - *ლ,გ (ვილიამსი)*

მსაჯი: პოლ ჰონისი (ზელ)

### 9 სექტემბერი. სენტ ეტიენი. C
### შოტლანდია-პორტუგალია 56:10

შოტ: (15-9) რ. ლემონი, შ. ლემონი, დიროლო (საუსველი 52), დიუი, ვებსტერი, პარქსი (პატერსონი 58), ბლერი (რ. ლოუსონი 66); (1-8) ჯეკობსენი (ქერი 36), ს.ლოუსონი (ფორდი 69), ი. მარი, ჰაინსი, ს. მარი (მაკლიოდი 62), ვაითი (ბრაუნი 62), ჰოგი, ტეილორი - *8ლ (რ. ლემონი 2, ს.ლოუსონი, დიუი, პარქსი, საუსველი, ბრაუნი, ფორდი); 8გ (პარქსი 5, პატერსონი 3)*

პორ: (15-9) ლეალი, დავ. მატეუში, სოუსა (პორტელა 38), დიო. მატეუში, კარვალიუ, დ. პინტუ (კაბრალი 60), ჟ. პინტუ (პისარა); (1-8) კორდეირუ (მურე 60), ფერეირა (კორეია 52), შპაჩუკი, გ. უვა, პენალვა (მურინელო 52), სევერინო, ჟ. უვა, ვ. უვა სბ 40 (კოუტინიო 64) - *ლ (კარვალიუ); გ,ს (დუარტე პინტუ)*

მსაჯი: სტივ ველში (ზელ)

### 9 სექტემბერი. ბორდო. D
### ირლანდია-ნამიბია 32:17

ირლ: (15-9) დემპსი, თრიმბლი, ოდრისკოლი (მერფი 80), დარსი, ჰიკი, ოგარა (პ. ვოლისი 80), სტრინგერი; (1-8) ჰორანი (ს.ბესტი 62), რ. ბესტი (ფლენერი 62), ჰეიესი, ოკალაჰანი, ოკონელი, ისტერბი, დ. ვოლისი (ნ. ბესტი 69), ლიმი - *5ლ (ოდრისკოლი, თრიმბლი, ისტერბი, საჯარიმო, ფლენერი); 2გ,ს (ოგარა)*

ნამ: (15-9) ლოსპერი (აფრიკა 80), ვიტბუი, ლანხენჰოვენი, ფანზილი, ბოკი, ვესელსი, იანჩისი (ფანტონდერი 51); (1-8) ლენსინხი (რედელინგჰოისი 50), ჰორნი, (მაიერი 77) დიუტუა, კაზომბიაზე, ესტერჰოიზე, ნიუვენჰოისი, სენეკალი (მაკკენზი 22), ბურხერი (დიუპლესი 66-69) - *2ლ (ნიუვენჰოისი, ფანზილი); 2გ,ს (ვესელსი)*

მსაჯი: ჟოელ ჟუტჟი (საფ)

| A ჯგუფი | თ | მ | ფ | წ | ბ | პ | ქ |
| --- | --- | --- | --- | --- | --- | --- | --- |
| ს.აფრიკა | 1 | 1 | 0 | 0 | 59-7 | 1 | 5 |
| ინგლისი | 1 | 1 | 0 | 0 | 28-10 | - | 4 |
| აშშ | 1 | 0 | 0 | 1 | 10-28 | - | 0 |
| სამოა | 1 | 0 | 0 | 1 | 7-59 | - | 0 |
| ტონგა | - | - | - | - | - | - | - |

12 სექტემბერი, 16:00 აშშ-ტონგა

| B ჯგუფი | თ | მ | ფ | წ | ბ | პ | ქ |
| --- | --- | --- | --- | --- | --- | --- | --- |
| ავსტრალია | 1 | 1 | 0 | 0 | 91-3 | 1 | 5 |
| უელსი | 1 | 1 | 0 | 0 | 42-17 | 1 | 5 |
| კანადა | 1 | 0 | 0 | 1 | 17-42 | - | 0 |
| იაპონია | 1 | 0 | 0 | 1 | 3-91 | - | 0 |
| ფიჯი | - | - | - | - | - | - | - |

12 სექტემბერი, 20:00 იაპონია-ფიჯი

| C ჯგუფი | თ | მ | ფ | წ | ბ | პ | ქ |
| --- | --- | --- | --- | --- | --- | --- | --- |
| ზელანდია | 1 | 1 | 0 | 0 | 76-14 | 1 | 5 |
| შოტლანდია | 1 | 1 | 0 | 0 | 56-10 | 1 | 5 |
| პორტუგალ. | 1 | 0 | 0 | 1 | 10-56 | - | 0 |
| იტალია | 1 | 0 | 0 | 1 | 14-76 | - | 0 |
| რუმინეთი | - | - | - | - | - | - | - |

12 სექტემბერი, 22:00 იტალია-რუმინეთი

| D ჯგუფი | თ | მ | ფ | წ | ბ | პ | ქ |
| --- | --- | --- | --- | --- | --- | --- | --- |
| ირლანდია | 1 | 1 | 0 | 0 | 32-17 | 1 | 5 |
| არგენტინა | 1 | 1 | 0 | 0 | 17-12 | - | 4 |
| საფრანგეთი | 1 | 0 | 0 | 1 | 12-17 | 1 | 1 |
| ნამიბია | 1 | 0 | 0 | 1 | 17-32 | - | 0 |
| საქართველო | - | - | - | - | - | - | - |

11 სექტემბერი, 20:00 არგენტ.-საქართველო

# საქართველოსთან ასე დაგვერხევა!

ჩვენმა მთავარმა მეტოქემ ნამიბიამ წუხელ მცირე სენსაცია გამოაცხო და ირლანდიას მეორე ტაიმი 14:12 მოუგო! უძლიერესი შემადგენლობით მოთამაშე ირლანდიელები, საფიქრალია, რომ ტრავმებს მოერიდნენ და თავი მაინცდამაინც არ გამოუდვიათ.

პირველი ტაიმი ირლანდიამ სამი ლელოთი, 20:3 მოიგო. ნამიბიელთა გოლი პირველი ტაიმის მეორე წამატებულ წუთზე **ემილ ვესელსმა** გაიტანა, იქამდე კი აფრიკელებს ერთი საჯარიმო და ორი არეკნი ჰქონდათ აცილებული. ირლანდიამ პრემიის მომტანი საჯარიმო ლელო 50-ე წუთზე გაიტანა და თავი ქუდში დაიგულა - 27:3. მე-60 წუთზე **რაიან ვიტბუიმ** გაქრა ხაზი და შებოჭილმა მიაწოდა ბურთი **ჟაკ ნიუვენჰოისს, ვესელსმა კი** ლელო გარდასახა. ხუთ წუთში ნამიბია მეტოქეს 10 ქულამდე დაუახლოვდა **პიტ ფანზილის** ლელოს შემდეგ - 17:27. ირლანდიამ მხოლოდ დამთავრებამდე 5 წუთით გაზარდა ანგარიში - 32:17.

ორივე გუნდმა დაახლოებით თანაბარი დრო დაჰყო მეტოქის 22-ში, ირლანდიამ 6 წუთი და 20 წამი, ნამიბიამ - 6 წუთი და 12 წამი. თამაშის შემდეგ ირლანდიელთა განრისხებულმა მწვრთნელმა **ედი ოსალივანმა** ბრძანა: - 15 სექტემბერს, საქართველოსთანაც თუ ასე საზიზღრად ვითამაშეთ, წაგება არ აგვცდებაო! არა, მთლად წაგებაც არ უხსენებია, მაგრამ - დაგვერხევაო, დაახლოებით ასე თქვა. წინა მსოფლიო თასზე. 2003 წელს, ირლანდიამ ნამიბია 64:7 დაამარცხა.

კანადამ არა მეორე, არამედ პირველი ტაიმი მოუგო უელსს - 12:9 და მეორის დასაწყისში გატანილი მესამე ლელოთი კიდევ უფრო გაზარდა სხვაობა - 17:9! თითქოს სენსაცია ხდებოდა, მაგრამ თამაშში უელსელთა ლიდერები **გარეს თომასი** და **სტივენ ჯოუნზი** ჩაებნენ, ამის შემდეგ კი კანადამ 5 ლელო მიიღო და ველარც თვითონ გაიტანა მეოთხე, პრემიის მომტანი - 17:42.

შოტლანდიასთან თამაში შემდეგ კმაყოფილი იყო "რაგბის მოურინიოდ" შერაცხული პორტუგალიელთა მწვრთნელი **ტომაშ მორაეში** - მისმა გუნდმა ლელო გაუტანა შოტლანდიას, ხოლო მწვრთნელმა თქვა, რომ მის გუნდს გამოცდილების მეტი ამ თამაშში არაფერი აკლდა - რამდენიმე იოლი ლელო სწორედ ამის გამო გავუშვითო.

შაბათ-კვირას გამარჯვებული გუნდებიდან პრემია მხოლოდ ინგლისმა ვერ მოიხვეჭა. მსოფლიო თასის მფლობელმა მხოლოდ 3 ლელოთი და 18 ქულით მოუგო ყოჩაღ ამერიკელებს. საფიქრალია, რომ ინგლისს მეოთხედფინალში გასასვლელად მძიმე ბრძოლა მოელის 22 სექტემბერს, სამოასთან.

იტალიამ კი ძალიან ჩაისვარა ზელანდიასთან თამაშის პირველ 20 წუთში - 0:38! მერე ორი ლელოთი ცოტა კი მოიწმინდა ნამუსი და ალარც მეტოქე აუშვა 100 ქულამდე, მაგრამ ამ კოშმარულ 20 წუთს რაც მალე დაივიწყებენ, მით უკეთესი.



ირლანდია-ნამიბია. ბრაიან ოდრისკოლის ლელო

ევროპასკეტი 2007

# რემატჩი რევანშის გარეშე

**მეორე ეტაპი**

**E ჯგუფი**

**ესპანეთი-საბერძნეთი 76:58**

23:15, 22:9, 11:15, 20:19

**ესპანეთი:** რ. ფერნანდესი (20 ქ. 4 მ. 2 პ. 2 ჩ), პ. გასოლი (15 ქ. 5 მ. 5 პ. 2 ჩ), ფ. რეიესი (10 ქ. 8 მ), ნავარო (7 ქ).

**საბერძნეთი:** ბურუსისი (10 ქ. 5 მ), პაპალუკასი (9 ქ. 5 მ), სპანულისი (8 ქ), ხაცივრეტასი (8 ქ), დიამანტიდისი (8 ქ).

ხორვატიასთან მომხდარ გაუგებრობას თუ არ ჩავთვლით, ესპანეთი ყველაზე დომინანტურ და მასპინძელ-ფავორიტისთვის შესაფერის კალათბურთს თამაშობს. პირენეელთა ოპონენტებისთვის "ყველა ბედნიერებასთან" ერთად, ესპანეთს მეორე ჯგუფურ ეტაპზე ტრავმამოშუშებული **ხუან ნავარო** შეუერთდა, რამაც ისედაც უძლიერესი შემადგენლობა თითქმის სუსტი წერტილის გარეშე დატოვა.

რაც შეეხება საბერძნეთს, გუნდი აშკარად არ არის ფორმაში. მთელი ტურნირის განმავლობაში ევროპის მოქმედი ჩემპიონის რიგებში სტაბილურად არავის უთამაშია. დაცვის მონსტრები - **თეო პაპალუკასი** და **დიმიტრიოს დიამანტიდისი** ზანტად, თითქოსდა უგულოდ თამაშობენ, რაც ამ გუნდის საბოლოო გამოსვლაზე აისახება. **დიმოს დიკუდისი**, რომელმაც სერბეთთან და იმის წინა მატჩში თავი გაიგიჟა, მომდევნო ორ შეხვედრაში მოედანზე სანთლით საძებარი იყო.

ყველაზე დიდი იმედგაცრუება კი ბერძნების ცენტრი **ლაზაროს პაპადოპულოსია**. რუსეთთან უქულოდ დარჩენილმა ვარსკვლავმა, იგივე "გმირობა" ესპანეთთან, კერძოდ კი **პაუ გასოლთან** ჯახშიც გაიმეორა. არავინ დავობს, რომ გასოლი ლაზაროსზე გაცილებით მაღალი დონის სრულყოფილი მოთამაშეა, მაგრამ მადრიდის "რეალის" ახალწვეულის ასე გამაიმუნება მაინც ძნელად წარმოსადგენი იყო.

ესპანეთმა არაჩვეულებრივად ითამაშა დაცვაში და ბოლო მეოთხედში ოდნავ მეტი მოტივაციითა და მონდომებით რომ გასულიყო მოედანზე, საბერძნეთს იქნებ 50 ქულაც ვერ დაეგროვებინა.

მოკლედ, ევროპისა და მსოფლიოს მოქმედი ჩემპიონების რეკლამირებული დაპირისპირება მხოლოდ ფორმალობა გამოდგა.

ესპანეთი გუშინ, ალბათ, რუსეთსაც მოუგებდა და ჯგუფში პირველ ადგილს აღარავის დაუთმობს. მეორე ჯგუფში კი გუნდები ყველაფერს ილონებენ, მეოთხე ადგილს რომ ასცდნენ. აბა, მადრიდში მასპინძელთან თამაში ვის სურს?

**პორტუგალია-რუსეთი 65:78**

13:16, 17:28, 19:24, 16:10

**პორტუგალია:** კოელიო (11 ქ. 4 მ), მ. ფერნანდესი (10 ქ. 2 პ), ევორა (10 ქ. 6 მ), ჟორდაო (10 ქ. 3 მ), მირანდა (10 ქ. 3 მ).

**რუსეთი:** კირილენკო (16 ქ. 4 მ. 3 პ), ხრიაპა (11 ქ. 11 მ. 4 ჩ. 2 პ), მორგუნოვი (11 ქ), პაშუტინი (10 ქ), მონია (10 ქ. 5 მ).

თამაში, რომელზეც ბევრი არაფერია სათქმელი. რუსეთმა რამდენიმე ინდივიდუალისტის მაღალი კლასის ხარჯზე, მეორე მეოთხედის დასაწყისიდან უშანსოდ დატოვა პორტუგალია, **ანდრეი კირილენკომ** კი პირველ მეოთხედში 8 ქულა, 4 მოხსნა და 3 პასი დააგროვა. რუსეთმა ამ მოგებით მეოთხედფინალში თამაშის უფლება მოიპოვა, პორტუგალიამ კი თამაშიდან სროლების მხოლოდ 34 პროცენტი (64-ში 22) გამოიყენა.

**ისრაელი-ხორვატია 80:75**

14:17, 19:18, 20:16, 27:24

**ისრაელი:** ი. გრინი (17 ქ. 16 მ. 3 დ), ჯ. რობერტსი (15 ქ), ტაპირო (11 ქ. 7 პ. 4 მ. 3 ჩ), თამირი (11 ქ).

**ხორვატია:** კასუნი (18 ქ. 7 მ), უკიჩი (10 ქ), მ. პოპოვიჩი (9 ქ), პლანიჩიჩი (9 ქ. 4 მ).

ისრაელს **იანივ გრინი** რომ გამოაკლო, გუნდი, მეორე ჯგუფურ ეტაპზე გასვლას ვინ ჩივის, საერთოდ, უმაღლესი დივიზიონის ერთ-ერთ აუტსაიდერად იქცევა. გრინმა თავის სანაკრებო კარიერაში ერთ-ერთი საუკეთესო შეხვედრა ჩაატარა და მხოლოდ პირველი ტაიმის შემდეგ, მის ანგარიშზე 11 ქულა და 9 მოხსნა იყო.

იანივის დომინაცია ისრაელს ნამდვილად სჭირდებოდა, რადგან მათ ფარქვეშეთში, ოპონენტებს უშანსოდ ტოვებდა ხორვატთა უნიჭიერესი ცენტრი **მარიო კასუნი**, რომელმაც ერთ-ერთ სათამაშო მონაკვეთში ზედიზედ ოთხი სროლა გამოიყენა.

ძირითადის დასრულებამდე 22 წამით ადრე, კასუნის ჩატენვით ხორვატიამ ჩამორჩენა სამ ქულამდე (75:78) შეამცირა, თუმცა დარჩენილ დროში ებრაელებმა საჯარიმოები კარგად შეასრულეს და თამაშიც მათ სასარგებლოდ დასრულდა. ისრაელმა სერბეთის მერე ხორვატიაც დაამარცხა.

| | მ/წ | ქ |
|---|---|---|
| 1. რუსეთი | 3-0 | 6 |
| 2. ესპანეთი | 2-1 | 5 |
| 3. ხორვატია | 2-1 | 5 |
| 4. საბერძნეთი | 1-2 | 4 |
| 5. ისრაელი | 1-2 | 4 |
| 6. პორტუგალია | 0-3 | 3 |

**F ჯგუფი**

**საფრანგეთი-გერმანია 78:66**

26:20, 21:19, 15:10, 16:17

**საფრანგეთი:** ტ. პარკერი (23 ქ. 5 მ. 3 პ), ფ. პიეტრუსი (12 ქ. 4 მ. 2 პ), კირკსეი (12 ქ. 3 მ. 2 ჩ), ტურიაფი (11 ქ), დიაო (7 ქ. 10 მ).

**გერმანია:** ნოვიცკი (28 ქ. 6 მ), ოკულაჯა (14 ქ. 9 მ), ჰამანი (8 ქ. 5 მ).

საფრანგეთი მთლიანად **ტონი პარკერზე**, გერმანია კი **დირკ ნოვიცკიზეა** დამოკიდებული. "სან ანტონიოსა" და "დალასის" ვარსკვლავები ამ მატჩშიც ბობოქრობდნენ, მაგრამ რა ქნას დირკმა, თუ პარკერს მასზე გაცილებით ძლიერი თანაგუნდელები ჰყავს?

ნოვიცკიმ თავისი წილი ქულები ამჯერადაც გამოჭედა, მაგრამ, ამასთან, 9 სამქულიანიდან 7 გააფუჭა და დაცვაშიც ძალიან ბევრი შეცდომა დაუშვა.

**კლოდ ბერჟოს** გუნდმა 15:2 გაქცევით 43:30 უპირატესობა მოიპოვა და აღსანიშნავია, რომ ამ "ცუნამიში" პარკერმა მხოლოდ ორქულიანი წვლილი შეიტანა. ივაჟკაცეს **ფლორან პიეტრუსმა** და **ტარიკ კირკსეიმ**, რომლებმაც 5-5 ქულა მოიმკეს, ნოვიცკიმ კი ამავე მონაკვეთში 3 სროლა გააფუჭა.

გერმანიამ ერთიც გაიბრძოლა და ნოვიცკისა და **ადემოლა ოკულაჯას** ძალისხმევით ჩამორჩენა ორ ქულამდე (45:47) შეამცირა, თუმცა ამას საფრანგეთის 12:0 გაქცევა მოჰყვა, პარკერმა 7 ქულა და 2 პასი მოიმკო და თამაშის ბედიც გადაწყდა.

**იტალია-ლიტვა 74:79**

13:21, 26:19, 22:22, 13:17

**იტალია:** ბარნიანი (15 ქ. 7 მ), ბაზილე (13 ქ. 4 მ), მარკონატო (10 ქ. 2 პ), ბელინელი (9 ქ), ბულერი (9 ქ), სორანია (8 ქ).

**ლიტვა:** კაუკენასი (22 ქ. 3 მ. 2 პ), იასიკიავიჩუსი (13 ქ. 4 პ. 3 მ. 2 ჩ), დ. ლავრინოვიჩი (11 ქ. 3 მ), კლეიზა (8 ქ. 9 მ), სონგაილა (8 ქ. 4 მ).

2003 წლის ჩემპიონმა ლიტვამ ზედიზედ მეოთხე მატჩი მოიგო და რუსეთისა და სლოვენიის დარად, ტურნირზე წაუგებლად თამაშობს.

**რიმანტას კაუკენასმა** 22 ქულა დააგროვა, ძირითადის დასრულებამდე 3 წუთითა და 12 წამით ადრე კი, სამქულიანით თავისი გუნდის 9:2 გადამწყვეტი გაქცევა დაიწყო.

იტალიამ ვერც იმით ისარგებლა, რომ ლიტველთა სუპერვარსკვლავმა და მათმა საუკეთესო მოთამაშე **შარუნას იასიკიავიჩუსმა** მთელი მეორე ტაიმი საზარდულის ტრავმით ჩაატარა. შარასი რომ ჯანზე ვერ იყო, მისი სტატისტიკიდანაც ჩანს - იასიკიავიჩუსმა შეხვედრა 7 (!) შეცდომით დაასრულა. მას მესამე მეოთხედში ტკივილგამაყუჩებელიც გაუკეთეს და იმისი გაფიქრებაც კი არ გვსურს, რას დაემსგავსება ლიტვა (და მთლიანად ტურნირიც) შარასის გარეშე. იმედია, ტრავმა სერიოზული არ იქნება.

პირველ მეოთხედში ლიტვა 11 ქულითაც კი დაწინაურდა, თუმცა წინა სამი მატჩის არ იყოს, ამჯერადაც უხასიათოდ ჩაატარა მეორე ნახევარი და იტალიას ფარქვეშეთიდან სროლები ოდნავ უკეთ რომ შეესრულებინა, აპენინელები ნამდვილად დაამარცხებდნენ მათზე გაცილებით კარგად დაკომპლექტებულ მეტოქეს.

ლიტველების გამარჯვების ერთ-ერთი მიზეზი მოხსნებზე 41:29 უპირატესობა იყო. ამასთან ერთად, იტალიამ 26 სამქულიანიდან 20 გააფუჭა და მეორე ეტაპის დარჩენილ ორ მატჩს თუ არ მოიგებს, ბრძოლას ველარ გააგრძელებს. ამასთან ერთად, იტალიელები სხვების გამოსვლაზეც იქნებიან დამოკიდებულნი.

**თურქეთი-სლოვენია 51:66**

15:20, 14:11, 11:15, 11:20

**თურქეთი:** თურქოღლუ (17 ქ. 8 მ), ოქური (14 ქ. 6 მ), გონლუმი (4 ქ. 9 მ).

**სლოვენია:** ნესტეროვიჩი (13 ქ. 6 მ. 2 ჩ), სლოკარი (12 ქ), დრაგიჩი (11 ქ. 4 მ. 3 პ. 2 ჩ), დ. ლორბეკი (7 ქ).

ბრწყინვალე გუნდურ კალათბურთს თამაშობს სლოვენია. **რაშო ნესტეროვიჩი** ასეთი მოტივირებული კარგა ხანი არავის უნახავს, ხოლო სათადარიგოების მხრივ კი, სლოვენიელთა მთავარ მწვრთნელ **ალეშ პიპანს**, მართლაც რომ სერიოზული კონტინგენტი ჰყავს შეკრებილი.

ნესტეროვიჩმა ამჯერად 13 ქულა დააგროვა, ხოლო სათადარიგო **უროშ სლოკარმა** კი, 19 წუთში გუნდს 12 ქულა შესძინა.

**ბოგდან ტანიევიჩის** თურქეთი კი ამჯერადაც საცოდავი საცქერი იყო. სლოვენიამ ბოლო მეოთხედში 11:0 გაქცევით, მეტოქე 17 ქულით (57:40) ჩამოიტოვა და ყველაფერი ამით დასრულდა. სლოვენია ჩემპიონობის ერთ-ერთი ფავორიტი თუ არა, ყოველ შემთხვევაში, ნახევარფინალში გასვლის რეალური პრეტენდენტია.

| | მ/წ | ქ |
|---|---|---|
| 1. ლიტვა | 3-0 | 6 |
| 2. სლოვენია | 3-0 | 6 |
| 3. საფრანგეთი | 2-1 | 5 |
| 4. გერმანია | 1-2 | 4 |
| 5. იტალია | 0-3 | 3 |
| 6. თურქეთი | 0-3 | 3 |

**ზურაბ თალაკვაძე**



ესპანეთს ნავარო დაუბრუნდა




ეროვნული ბიბლიოთეკა

სერბეთის ნაკრებში კრიზისია

მწვრთნელები

# ვინ ჩაიბარებს სერბეთს?

სერბეთის ნაკრების მთავარი მწვრთნელის, **ზორან სლავნიჩის** ბედი უახლოეს დღეებში გადაწყდება.

თავად სლავნიჩმა, ევროპის ჩემპიონატზე საშინელი გამოსვლის შემდეგ, ნაკრებიდან წასვლა არ ისურვა. ჯგუფურ ეტაპზე სამივე მატჩის წაგების შემდეგ, დებიუტანტმა მწვრთნელმა განაცხადა, რომ მხოლოდ იმ შემთხვევაში დატოვებს პოსტს, თუ სერბეთის საკალათბურთო კავშირის ექსპერტთა საბჭოს თუნდაც ერთ წევრს ექნება მის მიერ გაწეული სამუშაოს მიმართ პრეტენზია.

კავშირის პრეზიდენტმა **დრაგან კაპიჩიჩმა** განაცხადა, რომ სლავნიჩისგან გაწეული სამუშაოს შესახებ დაწვრილებით ანგარიშს ელის და საბჭო მხოლოდ ამის შემდეგ გაარკვევს, თუ ვინ უნდა უხელმძღვანელოს სერბეთის ნაკრებს.

და მაინც, სლავნიჩის მხრიდან პოსტის შენარჩუნების შანსი ძალიან დაბალია. იგივე კაპიჩიჩი არასოდეს მალავდა თავის სიმპათიებს სერბული კალათბურთის ლეგენდის, **ალექსანდრ ჯორჯევიჩის** მიმართ. სანამ ნაკრებს სლავნიჩი ჩაიბარებდა, მთავარი მწვრთნელობა სწორედ ჯორჯევიჩს შესთავაზეს, მაგრამ ეს უკანასკნელი იტალიის "მილანის" დამრიგებელი იყო და საკლუბო კალათბურთის მიტოვება არ ისურვა. ახლა კი ჯორჯევიჩი უმუშევარია (მიუხედავად იმისა, რომ მან "მილანი" იტალიის ჩემპიონატის ნახევარფინალში გაიყვანა და გუნდი ევროლიგაში დააბრუნა, ივნისში კლუბის ხელმძღვანელობამ სერბს კარისკენ მიუთითა) და ის, ალბათ, უარს აღარ იტყვის კაპიჩიჩის განმეორებით წინადადებაზე.

გარდა ჯორჯევიჩისა, სერბული პრესა კიდევ ორი კანდიდატის გვარს ასახელებს: **ვლადიმირ ვუკოიჩიჩი** და **მიროსლავ ნიკოლიჩი**, რომლებიც სერბეთის ჩემპიონატში მოღვაწეობენ.

თუ სერბეთის ნაკრებს მწვრთნელი შეეცვალა, ახალი დამრიგებელი ბოლო ხუთ წელიწადში ნაკრების რიგით მეხუთე თავკაცი იქნება. 2002 წლიდან მოყოლებული, როცა სერბებმა **სვეტისლავ პეშიჩის** მეცადინეობით მსოფლიო ჩემპიონატი მოიგეს, ნაკრებს **დუშკო ვუიოშევიჩი** (ევრობასკეტი-2003), **ჟელკო ობრადოვიჩი** (2004 წლის ოლიმპიადა და ევრობასკეტი-2005), **დრაგან შაკოტა** (2006 წლის მსოფლიო ჩემპიონატი) და **ზორან სლავნიჩი** (ევრობასკეტი-2007) წვრთნიდნენ. ამ პერიოდში, ერთ დროს მრისხანე გუნდის საუკეთესო მაჩვენებელი 2003 წელს, შვედეთში გამართულ ევროპის პირველობაზე მოპოვებული მეექვსე ადგილი გახლავთ.

## ლატვია უმწვრთნელოდ დარჩა

ევროპის ჩემპიონატის პირველი ჯგუფური ეტაპის დასრულების შემდეგ, გადადგომის შესახებ განცხადება გააკეთა ლატვიის ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა **კარლის მუჟნიექსმა**.

ლატვიელებმა ევრობასკეტი რიხით დაიწყეს, როცა ხორვატიის ნაკრებს მოუგეს, მაგრამ ბოლო ტურში პორტუგალიასთან მოულოდნელად წაგების შემდეგ, ჯგუფში ჩარჩნენ. სწორედ ამ მარცხის შემდეგ გადაწყვიტა ნაკრების დატოვება მუჟნიექსმა.

*"პორტუგალიასთან წაგების შემდეგ გადავწყვიტე, აღარ გავაგრძელო კონტრაქტი, რომელსაც ამ ჩემპიონატის დასრულებისთანავე ეწურება ვადა",* - განუცხადა ჟურნალისტებს ლატვიელმა სპეციალისტმა.

## ჯინობილი ოლიმპიადაზე ითამაშებს

"სან ანტონიო სპურსის" ერთ-ერთმა ლიდერმა **მანუ ჯინობილიმ** გაზეთ "კლარინისთვის" მიცემულ ინტერვიუში განაცხადა, რომ ის აღფრთოვანებულია ამერიკის ჩემპიონატში არგენტინის ნაკრების თამაშით, რომლის წყალობითაც, მოქმედმა ოლიმპიურმა ჩემპიონმა პეკინის თამაშების საგზური მოიპოვა.

*"ეჭვი არ მეპარებოდა, რომ ოლიმპიადაზე მოვხვდებოდით. ჩემი პარტნიორების გამო არ ვნერვიულობდი, რადგან მათ მიერ ნაკრებში ნაჩვენები თამაშის დონე ძალიან მაღალი იყო. მათი დიდი მადლობელი ვარ, ვინაიდან ოლიმპიადაზე თამაშისა და ოთხი წლის წინათ მოპოვებული ტიტულის დაცვის შესაძლებლობა მომცეს. იმედი მაქვს, რომ კვლავ შევძლებთ ისეთი თამაშის ჩვენებას, რომელმაც ათენში წარმატება მოგვიტანა. ის მოთამაშეები, რომლებმაც შესარჩევი ტურნირი გამოვტოვეთ, არგენტინულმა პრესამ გაგვაკრიტიკა, მაგრამ ყველა ჩვენგანს უარის თქმის საკუთარი მიზეზი ჰქონდა. ჩემს შემთხვევაში, მიზეზი იყო ის, რომ ფიზიკურად ვერ შევძლებდი დამატებითი დატვირთვებისთვის გაძლებას. მაგრამ მომავალში, არგენტინის ნაკრებში გამოსვლას გავაგრძელებ და შევეცდები, პეკინის ოლიმპიადაზე საუკეთესო თამაში ვაჩვენო",* - აცხადებს ჯინობილი.

## ჯექსონი დიდების დარბაზში

გასულ უიქ ენდზე, "ჩიკაგო ბულზისა" და "ლოს ანჯელეს ლეიკერსის" ლეგენდარული დამრიგებელი **ფილ ჯექსონი** NBA-ის დიდების დარბაზში შეიყვანეს.

საზეიმო ცერემონიაზე ჯექსონმა განაცხადა, რომ მისი წარმატებების მიზეზი კალათბურთელებთან და სამწვრთნელო შტაბთან კარგი ურთიერთობა იყო.

ჯექსონი შარშან, ზამთარში დაასახელეს დიდების დარბაზში მოხვედრის კანდიდატად, ხოლო ოფიციალური ცერემონია გასულ შაბათს გაიმართა.

შეგახსენებთ, რომ ეს მწვრთნელი, ლეგენდარულ **რედ აუერბახთან** ერთად, NBA-ის რეკორდსმენია საჩემპიონო ტიტულების რაოდენობით. ჯექსონი ცხრაჯერ იყო ლიგის ჩემპიონი - ექვსჯერ "ჩიკაგოს", ხოლო სამჯერ "ლეიკერსის" მწვრთნელობისას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ავტოსპორტი

### ფორმულა 1. იტალიის დიდი პრიზი

# ალონსოს იტალიური ტრიუმფი

მსოფლიოს ორგზის ჩემპიონის, ესპანელი **ფერნანდო ალონსოს** გამარჯვებით დასრულდა ფორმულა ერთის მსოფლიო ჩემპიონატის მე-13 ეტაპი, იტალიის დიდი პრიზი, რის შემდეგაც, მან ჩემპიონატის ლიდერთან, ბრიტანელ **ლუის ჰემილტონთან** ჩამორჩენა სამ ქულამდე შეამცირა.

"მაკლარენის" პილოტებმა იტალიური რბოლის კვარცხლბეკის ორი უმაღლესი საფეხური დაიკავეს და კონსტრუქტორთა პირველობაზე, უახლოეს მდევარ "ფერარისთან" უპირატესობაც გაზარდეს. თუმცა არაა გამორიცხული, რომ პილოტებმაც და გუნდმაც ყველაფერი მომდევნო ეტაპამდე დაკარგონ - ბელგიის დიდ პრიზამდე, რომელიც ერთ კვირაში ჩატარდება, უნდა გაიმართოს ეგრეთ წოდებული "შპიონაჟის საქმის" განხილვა, რომელშიც "მაკლარენს" "ფერარის" ტექნიკური ინფორმაციის არალეგალურად მოპოვებასა და გამოყენებაში ედება ბრალი.

თუ ინგლისურ გუნდს დაუმტკიცდა, რომ მისმა ინჟინრებმა "ფერარისგან" მოპოვებული ტექნიკური ინფორმაცია ბოლიდის სრულყოფისათვის გამოიყენეს, მაშინ "მაკლარენის" ამ სეზონის ყველა შედეგი გაუქმდება, გუნდს კი ორწლიანი დისკვალიფიკაციით დასჯიან.

საქმე იქამდეც კი გართულდა, რომ საკვალიფიკაციო სესიის დაწყებამდე ცოტა ხნით ადრე, "მაკლარენის" ბოქსებს პოლიცია მიადგა ჩხრეკის ჩატარების მოთხოვნით. მართალია, შემდეგ პოლიციელებმა ჩხრეკისგან თავი შეიკავეს და მხოლოდ გუნდის ხელმძღვანელობასთან გასაუბრებას დასჯერდნენ, მაგრამ ამას "მაკლარენის" მიერ საპროტესტო ნოტის გამოქვეყნება მოჰყვა. ნოტაში ნათქვამია, რომ იტალიელ სამართალდამცველთა ქმედებას არანაირი საფუძველი არ გააჩნდა, მათი მთავარი მიზანი კი ინგლისური გუნდისთვის კვალიფიკაციისთვის კარგად მომზადებაში ხელის შეშლა იყო.

იტალიის დიდი პრიზის წინ, იტალიურ პრესაში გაჩნდა ცნობა იმის შესახებ, რომ გამოძიებას "მაკლარენის" წინააღმდეგ ახალი სამხილები აქვს მოპოვებული. ლაპარაკია ალონსოსა და გუნდის ტესტპილოტს, ესპანელ **პედრო დე ლა როსას** შორის ელექტრონული ფოსტით მიმოწერაზე. როგორც ამბობენ, ეს წერილები გამოძიებისთვის "მნიშვნელოვან ინფორმაციას შეიცავს".

სხვათა შორის, იტალიაში გამგზავრებამდე, ფია-ს (საერთაშორისო საავტომობილო ფედერაცია) ტექნიკურმა კომისიამ "მაკლარენი" 50 000 დოლარით დააჯარიმა. ეს კი იმის გამო მოხდა, რომ ინგლისურმა გუნდმა უნგრეთის რბოლაზე ახალი, შემსუბუქებული გადაცემათა კოლოფი ისე გამოიყენა, რომ მისთვის სავალდებულო ქრეშტესტები არ ჩაუტარებია.

"მაკლარენის" განცხადებით, კოლოფი წინა ვერსიის მოდერნიზებული ვარიანტია და ტესტირებას არ საჭიროებდა. მაგრამ ფია-ს ტექნიკური კომისიის დელეგატების აზრით, კოლოფის კონსტრუქციაში მნიშვნელოვანი ცვლილებებია შეტანილი, რის გამოც, ის აუცილებლად ექვემდებარება ტესტირებას.

კვალიფიკაციის წინ, ბოლო თავისუფალი პრაქტიკის მიწურულს, სერიოზული ავარია მოუვიდა "ფერარის" ფინელ პილოტ **კიმი რაიკონენს**. მერვე მოსახვევის წინ, მან თავისი ბოლიდის საჭეზე კონტროლი დაკარგა და საბურავების დამცავ ზოლში შევარდა. საბედნიეროდ, პილოტი ინციდენტს ყოველგვარი ტრავმის გარეშე გადაურჩა. მან გარე დახმარების გარეშე დატოვა ნამტვრევებად ქცეული მანქანა. ეგაა, რბოლის წინ კისრის არეში ტკივილს უჩიოდა. თუმცა სამედიცინო შემოწმების შემდეგ, ექიმებმა კვალიფიკაციაშიც და რბოლაშიც გამოსვლის ნება დართეს. სხვათა შორის, ინციდენტი იმ ადგილას მოხდა, სადაც მანქანების სიჩქარე 330 კმ/სთ სიჩქარეს აღწევს.

კვალიფიკაცია კი ალონსომ მოიგო, ვისთვისაც ეს მაისის შემდეგ პირველი პოულია. უფრო სწორედ, მეორე, მაგრამ უნგრეთში მოპოვებული პოული მას კვალიფიკაციის მიწურულს მომხდარი ინციდენტის გამო ჩამოერთვა. ჰემილტონი მეორე ადგილს დასჯერდა და განაცხადა, რომ რბოლაში თანაგუნდელის დამარცხება ძალიან ძნელი იქნებოდა.



ალონსო სეზონში მეოთხე გამარჯვებას ზეიმობს

სხვათა შორის, მის ვარაუდს ზურგს სტატისტიკაც უმაგრებს - ამ სეზონში რბოლებს მეტწილად ის პილოტები იგებენ, რომლებმაც კვალიფიკაციაში გაიმარჯვეს. ესეც რომ არა, ამ ტრასაზე აეროდინამიკური ელემენტები მაქსიმალურად განტვირთულია, რის გამოც გასწრება მეტისმეტად გაძნელებულიაო, - განაცხადა ჩემპიონატის ლიდერმა.

კვალიფიკაცია მეორე შედეგით დაასრულა ჰემილტონმა, ვინც თითქმის ნახევარი წამით აჯობა მესამეზე გასულ მასას. მეოთხე შედეგი კარგა ხანს რაიკონენს ჰქონდა, მაგრამ კვალიფიკაციის მიწურულს, მისი შედეგი გერმანელმა **ნიკ ჰაიდფელდმა** გააუმჯობესა.

რბოლას კი ორი გამორჩეული მომენტი ჰქონდა. რა თქმა უნდა, მათგან ერთი სტარტია, რომელზეც ალონსომ დროული რეაგირება მოასწრო და ლიდერობა შეინარჩუნა, მაგრამ ჰემილტონმა ვერ შეძლო პოზიციის შენარჩუნება - სტარტ-ფინიშის სწორზე მას "ფერარის" ბრაზილიელმა **ფელიპე მასამ** გაუარა, მაგრამ ბრიტანელმა პირველ მოსახვევამდე მოასწრო საპასუხო მანევრის შესრულება და მეტოქეს გარე რადიუსით შეასწრო მოსახვევში. თუმცა სანამ იქ შევიდოდა, მასას "ფერარი" მის "მაკლარენს" ბორბლით გამოედო. ჰემილტონმა საჭე დაიმორჩილა და იმისათვის, რომ ტრასიდან არ გავარდნილიყო, მოსახვევი მოჭრა. წესით, ეს დაუშვებელია, მაგრამ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ პილოტი საგანგებო სიტუაციაში არ იმყოფება. რამდენადაც ბრიტანელ პილოტს მეტოქესთან მცირე კოლიზია მოუვიდა, სტიუარდებმაც მისი ქმედება წესის დარღვევად არ შეაფასეს.

მეორე საინტერესო მომენტი რბოლის მიწურულს დაფიქსირდა. უფრო სწორედ, ჰემილტონის მეორე პიტ სტოპის შემდეგ. ბოქსში მეორე ვიზიტის შემდეგ, ტრასაზე დაბრუნებული ბრიტანელი მესამე ადგილამდე ჩამოქვეითდა, მეორეზე კი რაიკონენმა გადაინაცვლა, ვინც ერთადერთი პიტსტოპით იასპარეზა. მაგრამ ჰემილტონმა სწრაფად შეამცირა ფინელთან ჩამორჩენა და ორი წრის შემდეგ, შესანიშნავი მანევრით, უკანაც მოიტოვა. ეს ფინიშამდე ათი წრით ადრე მოხდა. ამის შემდეგ, ტრასაზე საინტერესო აღარაფერი მომხდარა.

ალონსომ პირველმა გადაკვეთა ფინიშის ხაზი და მიმდინარე სეზონში მეოთხე გამარჯვება მოიპოვა. ის ახლა თანაგუნდელს კლასიფიკაციაში სამი ქულითღა ჩამორჩება და იმედოვნებს, რომ სეზონის ბოლომდე წინ გასვლას შეძლებს. სამაგიეროდ, ჩემპიონობის ყოველგვარი იმედი გადაეწურა მასას, ვინც იტალიური რბოლა უქულოდ დაასრულა და ამით, მეოთხე ადგილზე გადაინაცვლა. თუმცა ბრაზილიელი დასძენს, რომ ბელგიურ რბოლამდე ბევრი რამ პარიზში, "შპიონაჟის საქმის" განხილვაზე გადაწყდება და თუ "მაკლარენს" მკაცრად დასჯიან, მაშინ მას ჩემპიონობის იმედიც დაუბრუნდება - თანაგუნდელ რაიკონენს ხომ მხოლოდ ხუთი ქულით ჩამორჩება...

**მერაბ ლორთქიფანიძე**

### იტალიის დიდი პრიზი

**მონცა (იტალია). 306.720 კმ (5.793 კმ X 53 წრე)**

| | |
|---|---|
| 1. ფერნანდო ალონსო (ესპანეთი, მაკლარენ-მერსედესი) | 1:18:37.806 |
| 2. ლუის ჰემილტონი (ბრიტანეთი, მაკლარენ-მერსედესი) | + 00:06.062 |
| 3. კიმი რაიკონენი (ფინეთი, ფერარი) | 00:27.325 |
| 4. ნიკ ჰაიდფელდი (გერმანია, ბემვე-ზაუბერი) | 00:56.562 |
| 5. რობერტ კუბიცა (პოლონეთი, ბემვე ზაუბერი) | 01:00.558 |
| 6. ნიკო როსბერგი (გერმანია, უილიამს-ტოიოტა) | 01:05.810 |
| 7. ჰეიკი კოვალაინენი (ფინეთი, რენო) | 01:06.751 |
| 8. ჯენსონ ბატონი (ბრიტანეთი, ჰონდა) | 01:12.168 |
| 9. მარკ უებერი (ავსტრალია, რედ ბულ-რენო) | 01:15.879 |
| 10. რუბენს ბარიკელო (ბრაზილია, ჰონდა) | 01:16.958 |
| 11. იარნო ტრული (იტალია, ტოიოტა) | 01:17.736 |
| 12. ჯანკარლო ფიზიკელა (იტალია, რენო) | 1 წრე |
| 13. ალექსანდერ ვურცი (ავსტრია, უილიამს-ტოიოტა) | 1 წრე |
| 14. ენტონი დევიდსონი (ბრიტანეთი, სუპერ აგური-ჰონდა) | 1 წრე |
| 15. რალფ შუმახერი (გერმანია, ტოიოტა) | 1 წრე |
| 16. ტაკუმა სატო (იაპონია, სუპერ აგური-ჰონდა) | 1 წრე |
| 17. ვიტანტონიო ლიუცი (იტალია, ტორო როსო-ფერარი) | 1 წრე |
| 18. სებასტიან ფეტელი (გერმანია, ტორო როსო-ფერარი) | 1 წრე |
| 19. ადრიან სუტილი (გერმანია, სპაიკერ-ფერარი) | 1 წრე |
| 20. საკონ იამამოტო (იაპონია, სპაიკერ-ფერარი ) | 1 წრე |
| გ. ფელიპე მასა (ბრაზილია, ფერარი) | 43 წრე |
| გ. დევიდ კულტჰარდი (ბრიტანეთი, რედ ბულ-რენო) | 52 წრე |

*(შენიშვნა: გ - გამოეთიშა)*

*უსწრაფესი წრე: ფერნანდო ალონსო 1:22.871, მე-15 წრე*

### პირადი კლასიფიკაცია

1. ლუის ჰემილტონი 92 ქულა; 2. ფერნანდო ალონსო 89; 3. კიმი რაიკონენი 74; 4. ფელიპე მასა 69; 5. ნიკ ჰაიდფელდი 52; 6. რობერტ კუბიცა 33; 7. ჰეიკი კოვალაინენი 21; 8. ჯანკარლო ფიზიკელა 17; 9. ალექსანდერ ვურცი 13; 10. ნიკო როსბერგი 12; 11. მარკ უებერი 8; 12. დევიდ კულტჰარდი 8; 13. იარნო ტრული 7; 14. რალფ შუმახერი 5; 15. ტაკუმა სატო 4; 16. ჯენსონ ბატონი 2; 17. სებასტიან ფეტელი 1

### კონსტრუქტორთა პირველობა

1. მაკლარენ-მერსედესი 166 ქულა; 2. ფერარი 143; 3. BMW ზაუბერი 86; 4. რენო 38; 5. უილიამს-ტოიოტა 25; 6. რედ ბულ-რენო 16; 7. ტოიოტა 12; 8. სუპერ აგური-ჰონდა 4; 9. ჰონდა 2

## ცხელი ხაზი

### კალათბურთი

**ევროპის ჩემპიონატი**

**მამაკაცები**

| | |
|---|---|
| ისრაელი-პორტუგალია | 85:94 |
| საბერძნეთი-ხორვატია | 81:78 |
| ესპანეთი-რუსეთი | 81:69 |

### ფრენბურთი

**ევროპის ჩემპიონატი**

**მამაკაცები**

| | |
|---|---|
| ბელგია-თურქეთი | 3:2 |
| გერმანია-პოლანდია | 0:3 |
| იტალია-ბულგარეთი | 0:3 |
| საფრანგეთი-ესპანეთი | 0:3 |
| რუსეთი-პოლონეთი | 3:0 |
| სერბეთი-საბერძნეთი | 3:1 |

### ჰოკეი

**რუსეთი**

| | |
|---|---|
| დინამო-სიბირი | 6:0 |
| სკა-ლადა | 5:2 |
| ტორპედო-ავანგარდი | 3:1 |
| ხიმიკი-ს. იულაევი | [illegible] |
| მედ-მეტალურგი (ნ) | 1:1 ბულ. 2:1 |
| ცსკა-სპარტაკი | 2:0 |

**გერმანია**

| | |
|---|---|
| ჰამბურგი-შტრაუბინგი | 2:3 |
| დუისბურგი-ინგოლშტადტი | 3:3 ბულ. 3:4 |
| მანჰაიმი-აისბარენი | 3:6 |
| აუგსბურგი-ჰანოვერი | 2:4 |
| ვოლფსბურგი-კიოლნი | 4:3 |
| იზერლონი-ნიურნბერგი | 9:10 |
| ფრანკფურტი-კრეფელდი | 3:2 |

**სლოვაკეთი**

| | |
|---|---|
| ჟილინა-კოშიცე | 2:2 |
| კეჟმაროკი-სლოვაკეთი (ახ) | 7:1 |
| მიკულაში-პოპრადი | 1:4 |
| სკალიცა-მარტინი | 4:1 |
| სლოვანი-ტრენჩინი | 1:1 |
| ნიტრა-ზვოლენი | 2:5 |

### ჩოგბურთი

**ATP. აშშ-ის ღია**

ფედერერი-ჯოკოვიჩი *გვიან დასრულდა*

ფორმულა 1

## ფიზიკელა რენოში დარჩება

იტალიელ ავტომრბოლ **ჯანკარლო ფიზიკელას** "რენოსთან" კონტრაქტი ამ სეზონის ბოლოს ეწურება, მაგრამ მას იმედი აქვს, რომ საგაისოდ ფრანგული საჯინიბოში დარჩება და იქ ზედიზედ მეოთხე სეზონს ჩაატარებს.

*"შესაძლოა, "რენომ" ამ კვირას გააგრძელოს ჩემთან კონტრაქტი. ჩემი მთავარი მიზანი, აქ კიდევ ერთი წლით დარჩენაა. წლევანდელი სეზონი ძალიან რთული იყო ჩვენთვის, მაგრამ მე რაც შემეძლო ყველაფერი გავაკეთე. მოუთმენლად ველი ახალი ხელშეკრულების გაფორმებას"*, - მოჰყავს ფიზიკელას სიტყვები სააგენტო "როიტერს".

შეგახსენებთ, რომ ამ მომენტისთვის, იტალიელი პილოტი პირად ჩათვლაში მერვე ადგილზეა და ორი ქულით ჩამორჩება თანაგუნდელ **ჰეიკი კოვალაინენს**.

ჩოგბურთი

## ჯოკოვიჩი მასტერსზე მოხვდა

სერბი **ნოვაკ ჯოკოვიჩი**, რომელიც "ფლეშინგ მედოუს" კორტებზე კარიერაში პირველად გავიდა "დიდი სლემის" ტურნირების ფინალში, მესამე ჩოგბურთელი გახდა, ვინც ამ სეზონის შემაჯამებელ ტურნირში მონაწილეობის უფლება მოიპოვა.

მასტერსის თასი 11-18 ნოემბერს მადრიდში გაიმართება და ჯოკოვიჩამდე, ამ ტურნირის საგზურები შვეიცარიელმა **როჯერ ფედერერმა** და ესპანელმა **რაფაელ ნადალმა** მოიპოვეს.

რაც შეეხება წყვილთა თანრიგს, ანალოგიურ ტურნირში მონაწილე ორი დუეტია ცნობილი. ამერიკელი ძმების, **ბობ** და **მაიკ ბრაიანების** ტანდემს კანადელი **დანიელ ნესტორისა** და ბაჰამის კუნძულების წარმომადგენლის, **მარკ ნოულსის** წყვილი შეუერთდა.

## სუარესი დიდი სპორტიდან წავიდა

31 წლის არგენტინელმა **პაოლა სუარესმა** კარიერის დასრულების შესახებ ოფიციალური განცხადება გააკეთა.

ეს ჩოგბურთელი წყვილთა თანრიგში გამოსვლით იყო ცნობილი და ერთი პერიოდი მსოფლიო კლასიფიკაციაში პირველ ადგილსაც იკავებდა. სუარესს წყვილებში 44 ტიტული აქვს მოგებული, მათ შორის ავსტრალიის ღია პირველობა (2004), როლან გაროსი (2001, 02, 04, 05) და აშშ-ის ღია პირველობა (2003, 04). რაც შეეხება ერთეულთა თანრიგს, აქ არგენტინელმა მხოლოდ 4 ტურნირის მოგება შეძლო.

## მძლეოსნობა

### ახალი მსოფლიო რეკორდი

# პაუელი გაფრინდა...

იამაიკელმა მძლეოსანმა **ასაფა პაუელმა** 100 მეტრ დისტანციაზე რბენაში მსოფლიოს ახალი რეკორდი დაამყარა. ის 9.74 წამში ჩაეტია, რაც თავისივე მიღწევას სამი მეასედი წამით სჯობს. რეკორდი იტალიის ქალაქ რიეტიში, IAAF-ის გრან-პრიზე დამყარდა. 24 წლის სპორტსმენი გრან-პრისთვის სტოკჰოლმში ვარჯიშობდა და ჯერ კიდევ მაშინ გამოთქვა იმედი, რომ თავის რეკორდის დაამხობდა: *"მსოფლიო ჩემპიონატის შემდეგ, სადაც შეცდომები დავუშვი, მწვრთნელთან ერთად ბევრი ვიშრომე და ჩვეული ფორმა აღვიდგინე. მე დავბრუნდი"* - განუცხადა "რაისპორტს" იამაიკელმა მსოფლიო რეკორდსმენმა.

შეგახსენებთ, რომ ოსაკაში, მსოფლიო ჩემპიონატზე, პაუელი **ტაისონ გეიმ** და **დერიკ ეტკისნმა** დაამარცხეს. იამაიკელმა 100 მეტრზე 9.96 წამი აჩვენა და ბრინჯაოს მედალს დასჯერდა. დიდ ტურნირებზე ასაფას, ჯერჯერობით, არ უმართლებს: 2003 წლის მსოფლიო ჩემპიონატზე მას დისკვალიფიკაცია მისცეს, 2005-ში ტრავმამ შეუშალა ხელი, ათენის ოლიმპიადაზე კი მეხუთე ადგილით დაკმაყოფილდა. სამაგიეროდ, ის კვლავ რჩება მსოფლიოს უსწრაფეს ადამიანად, ახლა უკვე სამი მეასედი წამით გაუმჯობესებული შედეგით.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**



## ჰოკეი

NHL. ტრანსფერები

# ლიგა ბალასტს იშორებს


ედ ბელფური

გასულ და მომავალ სეზონებს შორის სატრანსფერო პერიოდში უპრეცედენტო შემთხვევა დაფიქსირდა: ამ ზაფხულს, ჰოკეის ეროვნული ლიგიდან ევროპაში 41 (!) ჰოკეისტი გადაბარგდა.

ალბათ, პირველად ჰოკეის ისტორიაში, NHL ევროპული ლიგების მიმართ ეჭვიანობს. ამერიკაში ვერ გაუგიათ, რომ ისეთმა ვარსკვლავებმა, როგორებიც არიან **ედ ბელფური და ალექსეი იაშინი**, NHL-ის კლუბებს ევროპული გუნდები ამჯობინეს. ამერიკელების გაკვირვება გასაგებია: ისინი მიჩვეულნი არიან თავიანთ ჰეგემონიას და იქ გამარჯვებულ გუნდს, ამაყად უწოდებენ მსოფლიო ჩემპიონს. და უცებ, ისინი იგებენ, რომ თურმე ჰოკეი ევროპაშიც არსებობს.

თუ ბელფურსა და იაშინს არ ჩავთვლით, 2007 წლის ზაფხულში ევროპულმა კლუბებმა NHL-ის საშუალო და დაბალი დონის კონტინგენტი ჩაიგდეს ხელთ. უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, ესენი არიან მესამე და მეოთხე ხუთეულების წევრები. ტენდენცია სახეზეა: თუ NHL-ის მთავარი ვარსკვლავებისთვის ფინანსურად მომგებიანია იქაურ ლიგაში თამაში, რანგით დაბალ ჰოკეისტებს ევროპაში უფრო მეტს უხდიან. ოკეანის გაღმა ასეთი მოთამაშის საშუალო ხელფასი წელიწადში 400-600 ათასი დოლარია, რუსეთის სუპერლიგაში კი, ორჯერ მეტი.

ყველაფერი აქედან გამომდინარე, ჰოკეის საერთაშორისო ფედერაციას ულირს ევროლიგის პროექტის წარმოებაში ჩაშვება. ამ შემთხვევაში, ევროპაში შესაძლოა რანგით უფრო მაღალი ოკეანისგაღმელი მოთამაშეებიც გამოჩნდნენ.

### რეინჯერსმა ლიჩს ნომერი აჩუქა

"ნიუ იორკ რეინჯერსის" ხელმძღვანელობამ გადაწყვიტა სათანადოდ დააფასოს ამ გუნდის ყოფილი მცველის, **ბრაიან ლიჩის** ღვაწლი და მას სამუდამო მფლობელობაში გადასცეს მეორე ნომრიანი მაისურა.

"რეინჯერსის" ყოფილმა კაპიტანმა ამ კლუბის რიგებში 1129 მატჩი ჩაატარა და 981 ქულა (240 შაიბა+741 პასი) დააგროვა. ნიუიორკელებმა 1994 წელს, ლიჩის კაპიტნობით სტენლის თასი მოიპოვეს, თავად მცველი კი, იმავე სეზონში ფლეი ოფის საუკეთესო მოთამაშედ დაასახელეს. ლიჩმა კარიერა გასული სეზონის დასრულების შემდეგ შეწყვიტა.

ბრაიანის მაისურას "მედისონ სკვერ გარდენის" თაღზე მომავალი წლის 24 იანვარს ალმართავენ. მანამდე, მსგავსი პატივი "რეინჯერსში" ოთხ ჰოკეისტს ღირსებია - **როდ გილბერტს** (მე-7 ნომერი), **ედი ჯაკომინს** (1), **მაიკ რიხტერსა** (35) და **მარკ მესიეს** (11).

### ოტავამ ფორსბერგი მოიკითხა

ჯერაც გაურკვეველი რჩება ცნობილი შვედი ჰოკეისტის, **პეტერ ფორსბერგის** ბედი. ვეტერან ფორვარდს კვლავაც ვერ გადაუწყვეტია, გააგრძელოს თუ არა კარიერა. არც ის არის ცნობილი, თამაშის გაგრძელების შემთხვევაში, რომელ კლუბში ჩაირიცხება ის.

სანამ შვედი ამ ფიქრებშია, მისი შემადგენლობაში ხილვის სურვილი სტენლის თასის შარშანდელმა ფინალისტმა "ოტავა სენატორზმა" გამოთქვა. ამ კლუბის გენერალური მენეჯერი **ბრაიან მიურეი** გასულ კვირას ორჯერ შეხვდა ჰოკეისტის აგენტს, **დონ ბეიზლის** და მის კლიენტთან კონტრაქტის გაფორმება ოფიციალურად შესთავაზა.

შეგახსენებთ, რომ ფორსბერგს გასული სეზონის დიდი ნაწილი ტრავმების გამო გაუცდა. მან "ფილადელფიისა" და "ნეშვილის" რიგებში 57 მატჩი ჩაატარა და 55 ქულა (13+42) დააგროვა. ფორსბერგის ბოლო განცხადებების მიხედვით, ჰოკეისტს ტრავმის ბოლომდე მოშუშება და თავდაპირველად შვედეთის ლიგაში თამაში აქვს განზრახული.

### რას აპირებენ სელიანე და ნიდერმაიერი?

ამ კვირას გაირკვევა სტენლის თასის მფლობელ "ანაჰაიმ დაქსის" ლიდერების, **ტეემუ სელიანესა** და **სკოტ ნიდერმაიერის** საკითხი. ორივე ვეტერანი რთული არჩევანის წინაშეა - მათ არ იციან ჰოკეიდან წავიდნენ თუ კიდევ ერთი წლით გააგრძელონ "იხვებთან" კონტრაქტები.

სელიანე ხვალ ჩავა ფინეთიდან ამერიკაში და შეხვედრას გამართავს "ანაჰაიმის" ხელმძღვანელობასთან. სავარაუდოდ, სწორედ ამ აუდიენციის დროს გაირკვევა ფინელი ფორვარდის მომავალი.

*"ტეემუს გასულ კვირას ვესაუბრე და მან მითხრა, რომ საბოლოო გადაწყვეტილება ჯერ არ მიუღია. მანვე ისიც განაცხადა, რომ მე ვიქნები პირველი, ვინც მისი მომავალი გეგმების შესახებ შევიტყობ"*, - აცხადებს 37 წლის სელიანეს აგენტი **დონ ბეიზლი**.

ამ კვირასვე გავიგებთ, თუ რა გეგმები აქვს შარშანდელი ფლეი ოფის საუკეთესო მოთამაშეს, **სკოტ ნიდერმაიერს**. ცნობილია, რომ ხვალ, NHL-ის გუნდების საწვრთნელი ბანაკები იხსნება და ვეტერანი მცველი არ აპირებს "ანაჰაიმთან" ერთად ვარჯიშების განახლებას.

როგორც ამერიკული პრესა იტყობინება, 34 წლის ჰოკეისტი ხუთშაბათს პრესკონფერენციას მოიწვევს და საბოლოოდ გამოაცხადებს დიდი სპორტიდან წასვლის შესახებ.

### ბლუზმა ახალგაზრდა კანადელი დაიმაგრა

ახალი სეზონის წინ, "სენტ ლუის ბლუზმა" ფორვარდი **დევიდ პერონი** გაიფორმა. ხელშეკრულების დეტალები პრესისთვის უცნობი დარჩა.

19 წლის პერონი ამჟამად კანადის ახალგაზრდული ნაკრების ღირსებას იცავს. უკვე ორი კვირაა, ეს გუნდი რუსეთის ნაკრებთან სუპერსერიას მართავს. პერონისა და მისი თანაგუნდელების მონდომებით, კანადელებმა მინასთან გაასწორეს რუსები და მათ შვიდიდან შვიდივე შეხვედრა მოუგეს.

შარშან, "სენტ ლუისის" ახალწვეული კვებეკის იუნიორთა ლიგაში თამაშობდა და ჩემპიონატის ლიდერი იყო გოლებისა (39) და ქულების (83) რაოდენობით.

## ჩოგბურთი

აშშ-ის ღია პირველობა

# ჟუსტინი ჩემპიონია

აშშ-ის ღია პირველობის ქალთა ფინალი ფინალს არ ჰგავდა. მსოფლიოს პირველმა ჩოგანმა, ბელგიელმა **ჟუსტინ ანემა** ისე იოლად დაამარცხა ამავე ტურნირის ყოფილი ჩემპიონი, რუსი **სვეტლანა კუზნეცოვა**, იფიქრებდი, პირველი წრის შეხვედრა მოიგოო. ჟუსტინმა ფინალის სადარი ორი თამაში ფინალამდე მოიგო - ჯერ **სერენა უილიამსი** გამოთიშა ტურნირს, შემდეგ კი **ვენუს უილიამსიც**. ორივე ეს შეხვედრა კი უფრო შეეფერებოდა ფინალს, ვიდრე კუზნეცოვასთან თამაში.

*"ეს გამარჯვება ჩემთვის უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე აქ პირველად მოპოვებული ტიტული. აქ ისევ ოჯახთან ერთად ჩამოვედი. ისინი ყველანაირად მამხნევებდნენ და ეს ძალიან დამეხმარა. მათთან ერთად სიმშვიდეს ვგრძნობ და ეს დიდ ტურნირებზე თამაშისას ძალიან მნიშვნელოვანია. კიდევ ერთხელ ყველას დავანახე, რომ ჩოგბურთში მარტო ფიზიკური მონაცემები ყველაფერს არ ნიშნავს. ალბათ, ბევრი ფიქრობდა, რომ ნიუ იორკში მეორედ ველარ მოვიგებდი. მე კი ეს შევძელი და ამით ძალიან ვამაყობ"*, - განაცხადა ჟუსტინმა, ვინც აშშ-ის ღია პირველად 2003 წელს მოიგო.

ცნობისათვის, ბელგიელი, ვისი სიმაღლეც სულ რაღაც 1.67 სანტიმეტრია, წონა კი - 57 კილოგრამი, ვტა-ს ტურზე ერთ-ერთი ყველაზე ტანმორჩილი ჩოგბურთელია. ამის მიუხედავად, ტურნირი ისე მოიგო, ერთი სეტიც არ დაუთმია.

ჟუსტინისთვის ეს ამ სეზონში მოპოვებული, დიდი სლემის სერიის მეორე ტიტულია (კარიერაში სულ შვიდი აქვს მოგებული). პირველი მან საფრანგეთის ღიაზე მოიპოვა. სერიის დანარჩენი ორი ტიტული უილიამსების ნადავლია - ავსტრალიაში გამარჯვება სერენამ მოიპოვა, უიმბლდონზე კი ვენუსს არ ჰყავდა ბადალი.

ამ ეტაპზე, ჟუსტინს დიდი სლემის სერიის ოთხიდან სამის ტიტულები აქვს მოპოვებული. მის მიღწევათა გალერეას მხოლოდ ერთი, უიმბლდონის თასი აკლია. ამ ტურნირის ფინალში მას ორჯერ აქვს ნათამაშები, მაგრამ ორივე შემთხვევაში კორტი წაგებულმა დატოვა.

*"ვაპირებ ოდესმე უიმბლდონის მოგებას? ვფიქრობ, რომ ეს შემიძლია, მაგრამ ახლა ამაზე ნამდვილად არ ვფიქრობ. ახლა იმით ვხარობ, რომ კარიერაში დიდი სლემის მეშვიდე ტიტული მოვიპოვე"*, - ამბობს ჟუსტინი, ვინც ვტა-ს ტურზე ერთადერთი ჩოგბურთელია, ერთ ტურნირზე ორივე უილიამსის დამარცხება რომ შეძლო.

ალსანიშნავია, რომ ჟუსტინმა რვა ბრეიკ პოინტიდან ოთხი გამოიყენა. მის მეტოქეს ბრეიკის ექვსი შანსი ჰქონდა, მაგრამ ვერცერთის გამოყენება ვერ შეძლო. ნამატჩევს ბელგიელმა განაცხადა, სანამ კორტზე გავიდოდი, ცოტას ვნერვიულობდი, მაგრამ როგორც კი პირველი დარტყმა შევასრულე, მაშინვე მთლიანად თამაშზე გადავერთე და ნერვიულობაც დამავიწყდაო.

ანენი ლაზერის სიზუსტით გზავნიდა ბურთს კორტის ერთი კუთხიდან მეორისკენ და ასე რუსს შეტევაზე გადასვლის საშუალებას უსპობდა და მუდმივად დაცვაზე ზრუნვას აიძულებდა.

*"როცა ჟუსტინი კარგად თამაშობს, შენც მაქსიმალურად უნდა დაიხარჯო, რომ მისი დამარცხება შეძლო. სხვა შემთხვევაში, წაგება გარდაუვალია. ალბათ დამეთანხმებით, რომ ეს არ იყო ჩემი საუკეთესო თამაში. არ ვიცი რატომ, მაგრამ სისწრაფე მაკლდა. ახლა ისღა დამრჩენია, ამ ფინალის ჩანაწერი კარგად შევისწავლო და შესაბამისი დასკვნები გამოვიტანო"*, - განაცხადა კუზნეცოვამ, ვისაც აშშ-ის ღია 2004 წელს აქვს მოგებული. ფინალში თამაშის წყალობით, რუსი ჩოგბურთელი ახალ რეიტინგში მეორე ადგილზე გადაინაცვლებს.

მამაკაცთა ფინალში თამაშის უფლება კი მოიპოვეს მსოფლიოს პირველმა ჩოგანმა, აშშ-ის ღიას სამგზის ჩემპიონმა, შვეიცარიელმა **როჯერ ფედერერმა** და სერბმა **ნოვაკ ჯოკოვიჩმა**. პირველმა ნახევარფინალში რუსი **ნიკოლაი დავიდენკო** დაამარცხა, მეორემ კი - ესპანელი **დავიდ ფერერი**.

ალსანიშნავია, რომ სერბი მეჩოგნისთვის ეს დიდი სლემის ტურნირის პირველი ფინალი იქნება. ფედერერმა ხაზი გაუსვა იმ ფაქტს, რომ ჯოკოვიჩის ასაკში მას ასეთი მიღწევები არ ჰქონდა და არც დიდი სლემის ტურნირის ფინალში უთამაშია. ასე რომ, ნოვაკს დიდი მომავალი უნდა ჰქონდესო. სერბმა კი, ფინალში იმისათვის გავედი, რომ ჩემპიონი გავხდეო. მოკლედ, საინტერესო ფინალის ხილვა გველის...

მამაკაცთა წყვილების ფინალში კი შვედი **სიმონ ასპელინისა** და **ჯულიან ნოულის** დუეტმა, ფინალში ჩეხების, **ლუკაშ დლუჰისა** და **პაველ ვიზნერის** წყვილს მოუგო და პირველად გახდა დიდი სლემის ტურნირის ჩემპიონი. არადა, ამ სერიის ტურნირებზე ერთ წყვილში მათ სულ მესამედ ითამაშეს. ნოულზს დიდი სლემის ტურნირის ფინალში ერთხელ უკვე ნათამაშები აქვს, ოღონდ, სხვა ჩოგბურთელთან წყვილში - სერბ **ნენად ზიმონიჩთან** ერთად მან 2004 წლის უიმბლდონის ფინალი წაგო. სხვათა შორის, ნოულზს ამ სეზონში მეწყვილედ თანამემამულე **იურგენ მელცერი** ჰყავდა შერჩეული, მაგრამ ამას ტრავმა ჰქონდა, რის გამოც არჩევანი ასპელინზე შეაჩერა.

რაც შეეხებათ დლუჰისა და ვიზნერს, მათ საფრანგეთის ღიას ფინალსაც მიაღწიეს და მაშინაც ხელი მოეცარათ.

**ნიუ იორკი (აშშ). ჰარდი**

**საპრიზო ფონდი**: 19 653 000 დოლარი

**ქალები**

ფინალი

**ჟუსტინ ანენი** (ბელ, 1)-სვეტლანა კუზნეცოვა (რუს, 4) 6:1, 6:3

**მამაკაცები**

1/2 ფინალი

**როჯერ ფედერერი** (შვეი, 1)-ნიკოლაი დავიდენკო (რუს, 4) 7:5, 6:1, 7:5

**ნოვაკ ჯოკოვიჩი** (სერ, 3)-დავიდ ფერერი (ესპ, 15) 6:4, 6:4, 6:3

**მამაკაცთა წყვილები**

ფინალი

**სიმონ ასპელინი/ჯულიან ნოული** (შვედ/ავსტ, 10)-ლუკაშ დლუჰი/პაველ ვიზნერი (ჩეხ, 9) 7:5, 6:4


ჟუსტინმა ეს თასი მეორედ მოიგო


ლელო

სპორტული გაზეთი

განახლებულია ბადრი პატარკაციშვილის ხელშეწყობით

მთავარი რედაქტორი
თენგიზ გაჩეჩილაძე

დირექტორი
პაატა გელაშვილი

რედაქტორები
მამუკა ჩიხლაძე
გია თვალაბეიშვილი

ქართული სპორტი
ნიკოლოზ ნეფარიძე
პაატა თოთაძე
მერაბ მამულაშვილი
დავით ცაბაძე
ლევან ჯანეზაშვილი
გია ტუხაშვილი
დავით თავართქილაძე
ირაკლი თავაძე
ვაჟა სიმონიშვილი
ზვიად შათირიშვილი
კობა ხატისაშვილი
ბესიკ ჯანგავაძე

უცხოური სპორტი
შალვა ბიბილაშვილი
გოტფრიდ ლენცი
ილია ნიკოლაიშვილი
მერაბ ლორთქიფანიძე
დავით ჩუბინიძე
ზურაბ თალაკვაძე

რეგიონული კორესპონდენტები:
დავით კოხრეიძე, ვასილ გალახაძე, მერაბ გრძელიძე, მამუკა ქანთარია, ირაკლი დარცმელიძე, ნიკო ვაყელიშვილი

ფოტო
ალექსანდრე კოტორაშვილი
ნუგზარ სუარიძე

ტექნიკური რედაქტორი
მიხეილ ჯაში

ტექნიკური ჯგუფი:
მანანა აკიმოვა, მზია ელიზბარაშვილი, ხათუნა სამხარაძე, დავით გეგეჭკორი, დავით შალუტაშვილი, კობა გელაშვილი

კორექტურა
ლელა ხომასურიძე
ლევან ბიბილაშვილი

გავრცელების სამსახური და ფინანსური ჯგუფი:
დავით მაისურაძე (დირექტორის მოადგილე), გივი ვეშაპიძე, ქეთევან დიდბერიძე

მარკეტინგის სამსახური
თამარ ჯიმშარიანი (ტ: 46 34 48)
ბაქარ გაჩეჩილაძე (ტ: 899 91 87 17)

პირველი ნომერი გამოვიდა 1934 წლის 13 აპრილს თბილისში, სახელწოდებით "საქართველოს ფიზკულტურელი". 1936-39 წლებში ერქვა "ფიზკულტურელი", "ლელომდე" დაიბეჭდა 362 ნომერი. 1949 წლის 10 ივლისს გაზეთი აღადგინა მიხეილ კაკაბაძემ.

2006 წელს გაერთიანდა გაზეთ "სპორტთან".

სპორტი

გამოდიოდა 2002-06 წლებში.

ლელოს მთავარი რედაქტორები:
მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 64-76)
ერემო მახათაძე (1952-53)
ირაკლი უგულავა (1953-64)
ანზორ ბასილაია (1976-83)
არჩილ გოგელია (1984-85)
თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან)

პარტნიორი:
საქართველოს ოლიმპიური ფონდი

მისამართი
ახმეტელის 10ა,
0159 თბილისი
(დილომი, ახ. კინოსტუდია, პირველი სართული);
ტელეფონი: 46 30 98, 46 30 56, 46 32 62,
899 55 48 97 (მთ. რედაქტორი).
53-39-11
ფაქსი: +995 32 46 30 97
e-mail: sporti@sporti.ge;
ინდექსი 66435 INDEX

გამოდის ყოველდღე, გარდა კვირისა